პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 თებერვალი **ორშაბათი** 2014
№ 020 (14 241) ფასი 80 თეთრი

603/2 №17332



12

საქართველოს ნაკრები
უკრაინის საგზურისთვის
მეორე კალათიდან იბრძოლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვლიანი ბურთაობა ავჭალაში

# ბორჯღალოსნებმა ეშმაკები მოარჯულეს

128




13

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ფაჩულიას დაბრუნება და შენგელიას დებიუტი ჩიკაგოში



12

ზაზა ფაჩულია (№27)



თორნიკე შენგელია (მარჯვნივ)

## ბარსა ტახტიდან ჩამოაგდეს



ევროპული ფეხბურთის უქმეები

5-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო



დინამო-ჰაიდუკის მატჩის წინ. გიორგი ლორიამ (მარჯვნივ) ტრავმა მიიღო

# ტრავმების ეპიდემია

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. პოლონურ „პოდბესკიძიესთან" ფრედ დამთავრებული შეხვედრის მერე **მალხაზ ჟვანიას** გუნდი ამჯერად ხორვატიის ერთ-ერთ უძლიერეს და ტიტულიან კლუბს, სპლიტის „ჰაიდუკს" დაუპირისპირდა.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ხორვატიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" ყოფილი ნახევარმცველი **იგორ ტუდორი** გახლავთ; შარშანდელი სექტემბრიდან მოყოლებული კი ამ გუნდის ღირსებას პერსპექტიული ქართველი შემტევი, 21 წლის **გიორგი ილურიძე** იცავს, თუმცა გორის „დილას" ყოფილ ფეხბურთელს „დინამოს" წინააღმდეგ ჩატარებულ ტესტ-მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

..."პოდბესკიძიესთან" მატჩში „დინამოს" ერთდროულად სამი ფეხბურთელი დაუშავდა: **ოთარ კაკაბაძემ, დავით ხურცილავამ** და **გიორგი მერებაშვილმა** მოედანი ტრავმების გამო დატოვეს. სწორედ ამის გამოც იყო, რომ „ჰაიდუკის" წინააღმდეგ „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე გადაადგილება მოხდა.

ისე კი, პოლონელებთან ჩატარებულ საკონტროლო მატჩთან შედარებით, ამჯერად ძირითადში გამოჩნდნენ **გიორგი პაპავა, გიორგი რეხვიაშვილი, მათე ცინცაძე, გიორგი ჯანელიძე** და **ირაკლი მოდებაძე**. სამწუხაროდ, უსიამოვნებას ვერც „ჰაიდუკთან" მატჩში ავცდით: 30-ე წუთზე ტრავმა მიიღო „დინამოს" კაპიტანმა **გიორგი ლორიამ**, რომლის ნაცვლადაც მოედანზე გუნდის დებიუტანტი 24 წლის **ნიკა დაუშვილი** გამოჩნდა.

34-ე წუთზე კი „ჰაიდუკმა" ამ მატჩის პირველი გოლი გაიტანა: ხორვატებმა ბურთი საკუთარი საჯარიმოდან წამოიღეს, მოკლე პასებით მრავალსვლიანი კომბინაციაც გაითამაშეს (ამ საგოლე შეტევაში შვიდმა (!) ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა) და ჩვენს საჯარიმოში მყოფ **ჟან კუასიმ** საბოლოო დარტყმა უპრობლემოდ შეასრულა. 19 წლის ამ კოტდივუარელმა თავდამსხმელმა მეორე ტაიმშიც შეძლო თავის გამოჩენა: „ჰაიდუკმა" შეტევა მარცხენა ფლანგიდან წამოიწყო, რასაც ბურთის საპირისპირო ფლანგზე გადატანა და კარისკენ ზუსტი დარტყმაც მოჰყვა და ნიკა დაუშვილის მოგერიებულზეც ყველაზე ადრე სწორედ კუასი გაჩნდა და ახლო მანძილიდან გოლის გატანა არ გასჭირვებია.

ეს ყველაფერი 84-ე წუთზე მოხდა, ხუთ წუთში კი „დინამომ" ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო: მარჯვენა ფლანგიდან **დარკო გლიშიჩის** ჩამოწოდებულ კუთხურს **დორინ გოგამ** მოხდენილი თავური დარტყმა „მოაყოლა" და „ჰაიდუკის" მეკარეს შანსი არ დაუტოვა. „ჰაიდუკთან" მატჩში „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

**ლორია (30. დაუშვილი) - პაპავა, გველესიანი, რეხვიაშვილი, კვირკველია - ცინცაძე, ძარია (77. გორგიაშვილი), ჯანელიძე (46. გლიშიჩი) - ჩისკო (6. ვუო), მოდებაძე (68. პაპუნაშვილი), დიასამიძე (46. გოგა).**

მომდევნო საკონტროლო მატჩს „დინამო" დღეს ჩაატარებს „მლადა ბოლესლავთან" - ეს გუნდი ჩეხეთის ჩემპიონატში პირველი ეტაპის შემდეგ VI ადგილზეა, თუმცა მესამე ადგილზე მყოფ „ტეპლიცეს" სამი ქულით ჩამორჩება. ამას გარდა „მლადა ბოლესლავი" თასის მეოთხედფინალშიც არის გასული და, აქედან გამომდინარე, ევროტურნირებზე მოხვედრის შანსსაც ინარჩუნებს.

სხვათა შორის, ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი... **დუშან უჰრინი (უმცროსი)** გახლავთ, რომელიც თბილისის „დინამოს" შარშან დეკემბრის დასაწყისში დაემშვიდობა. 2014 წლის იანვრიდან „მლადა ბოლესლავს" ცნობილი ჩეხი სპეციალისტი **კარელ იაროლიმი** წვრთნის, რომელსაც გუნდში თავისი ვაჟი დახვდა: „ჰამბურგის" ყოფილი კაპიტანი, ბუნდესლიგაში 318 მატჩის ჩამტარებელი, 34 წლის **დავიდ იაროლიმი**. „მლადა ბოლესლავში" კიდევ ერთი ცნობილი ვეტერანი ასპარეზობს: 37 წლის **ირჟი შტაინერს** „ჰანოვერის" შემადგენლობაში არაერთი სეზონი აქვს გატარებული ბუნდესლიგაში.

ახლა კი ისევ „დინამოს" დავუბრუნდეთ: სამწუხაროდ, ოთარ კაკაბაძისა და დავით ხურცილავას ტრავმები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ამ ორივე მარჯვენა მცველს თურქული შეკრების მიტოვებამაც მოუწია და დაგეგმილ სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსს თბილისში გაივლიან. მათ ნაცვლად კი შაბათს დილით თურქეთში გაფრინდა „დინამო 2-ის" ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი: 21 წლის მარჯვენა მცველი **ვაკო ბაჩიაშვილი** და 19 წლის ცენტრალური მცველი **სანდრო გურეშიძე**. ეს უკანასკნელი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო, ამჟამად კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

დაბოლოს, „დინამოს" ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელის, **დავით კვირკველიას** კომენტარიც გვინდა შემოგთავაზოთ, რომელიც კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

*„მართლაც საუკეთესო პირობებში ვემზადებით. ყველაფერი უმაღლეს დონეზეა: სასტუმრო, სავარჯიშო მოედნები, საინტერესო სპარინგები. ჩვენს სათამაშო სქემაში ცვლილებებია: 4-4-2 შეიცვალა 4-3-3-ით. მწვრთნელი ბურთის უფრო მეტ კონტროლს გვთხოვს. ყველა ჩვენგანისათვის ნათელია, რომ სხვა მოთხოვნებია და ბუნებრივია, ამ ეტაპზე ხარვეზებიც იქნება. ჩვენი ამოცანაც მოსამზადებელ ეტაპზე სწორედ ამ ხარვეზების გამოსწორებაა. წლეულს სამი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ და ვფიქრობ, ჩვენს თამაშში უკვე არის დადებითი მომენტები. ყველაფერს ვაკეთებთ, 22 თებერვალს ანუ, სეზონის განახლებას სათანადოდ მომზადებულნი შევხვდეთ".*

**გია ტუხაშვილი**

მეტალურგი

# ნუ ჩამოგვწერთ!

## რუსთავში ახალწვეულები წარადგინეს

**რუსთავის „მეტალურგი" თურქეთშია და ვარლამ კილასონიას გუნდს ხვალ პირველი საკონტროლო მატჩიც ელოდება ორენბურგის „გაზოვიკთან". „მეტალურგის" მეტოქე ამჟამად რუსეთის პირველ ლიგაში გამოდის და ამ გუნდის შემადგენლობაში მახაჩყალის „ანჟის", თბილისის „დინამოსა" და გორის „დილას" ყოფილი ფეხბურთელი, 26 წლის საყრდენი ნახევარმცველი ზურაბ არზიანი ასპარეზობს.**

**თურქეთში გამგზავრებამდე კი „მეტალურგმა" თავისი ახალწვეულები წარადგინა და მუდმივნომრიანი მაისურები გადასცა. რუსთაველმა კლუბმა ქართულ სპორტულ მედიას „ფოლადის" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში უმასპინძლა და ახალწვეულების წარდგენამდე გუნდის დირექტორმა ზაზა დოლიძემ და მთავარმა მწვრთნელმა ვარლამ კილასონიამ მოკლედ მიმოიხილეს გუნდში არსებული სიტუაცია.**

**ზაზა დოლიძე:** *„პირველ ეტაპთან შედარებით გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდა; უპირველეს ყოვლისა, ახალი მთავარი მწვრთნელი გვყავს, ადგილობრივი და გამოცდილი სპეციალისტი ვარლამ კილასონია, რომელსაც რუსთავში ყველა პატივს სცემს და აფასებს. საბედნიეროდ, ჩვენს გუნდში არსებული პრობლემებიც წარსულს ჩაბარდა: კვლავაც გვერდში გვიდგას ჩვენი მთავარი დამფინანსებელი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა; ქალაქის მერიაც და საკრებულოც მაქსიმალურ ხელშეწყობას გვპირდება და იმის იმედიც მაქვს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდანაც მივიღებთ დახმარებას. შესაძლოა, ბევრმა ჩამოგვწერა კიდეც, მაგრამ ამ, ფაქტობრივად, ახალ გუნდს მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი მიზნები ექნება როგორც ჩემპიონატში, ასევე - თასის გათამაშებაშიც. ძალიან მიხარია, რომ დუბლშემადგენლობიდან რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა მთავარ გუნდში და „მეტალურგი" მეორე ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იქნება".*

**ვარლამ კილასონია:** *„გუნდიდან ძალიან ბევრი ფეხბურთელი წავიდა, თუმცა ბევრიც დავიმატეთ. მზადება 10 იანვარის დავიწყეთ, ახლა კი თურქეთში მივემგზავრებით და ოთხ საკონტროლო მატჩსაც ჩავატარებთ. იმის მიუხედავად, რომ გუნდში უამრავი ახალწვეულია, მიზანი უცვლელი რჩება - ყველა ღონეს ვიხმართ ზედა ექვსეულში მოსახვედრად! ამას გარდა, მთელი სერიოზულობით მივუდგებით თასის გათამაშებასაც; კარგად ვიცით, თუ როგორი სერიოზული მეტოქე (თბილისის „დინამო" - რედ.) გვეყოლება მეოთხედფინალში, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. მიმაჩნია, რომ ურიგო შემადგენლობა არ გვეყოლება და ფეხბურთელებსაც მშვენიერი შანსი ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინონ. თურქეთში 22 ფეხბურთელით მივდივართ, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც რუსთავში დარჩებიან და დუბლშემადგენლობასთან ერთად გააგრძელებენ მომზადებას. მონდომებას კი არავის დავუკარგავთ და თავის გამოჩენის შანსს ყველას მივცემთ."*



გიორგი სეთურიძე მეტალურგში წარადგინეს

ამის შემდეგ „მეტალურგის" დირექტორმა და მთავარმა მწვრთნელმა ახალწვეულებს მუდმივნომრიანი მაისურები გადასცეს. გუნდის 12 ახალწვეული ამიერიდან შემდეგი ნომრებით იასპარეზებს:

25 წლის შემტევი ნახევარმცველი **გიორგი მიქაბერიძე** - 11, 28 წლის მარჯვენა მცველი **გიორგი სეთურიძე** - 77, 28 წლის **დავით ლომაია** - 14, 21 წლის ნახევარმცველი (მცველი) **ვარლამ კილასონია** (უმცროსი) - 88, 25 წლის ცენტრფორვარდი **ბესიკ ჩიმაკაძე** - 24, 20 წლის საყრდენი ნახევარმცველი **მერაბ გიგაური** - 17, 18 წლის ნახევარმცველი **გიორგი კილასონია** - 13, 20 წლის ნახევარმცველი **კახაბერ კაკაშვილი** - 8, 27 წლის ფორვარდი **მამუკა ტორონჯაძე** - 27, 21 წლის მარჯვენა მცველი **არჩილ ტვილდიანი** - 99, 20 წლის ნახევარმცველი **დაჩი ცნობილაძე** - 15, 18 წლის თავდამსხმელი **ბექა ოქროპირიძე** - 33.

„გაზოვიკის" შემდეგ „მეტალურგი" მომდევნო საკონტროლო მატჩს 6 თებერვალს ჩაატარებს თურქმენეთის ნაკრებთან, 9 თებერვალს რუმინელ „ტირგუ მურეშს" დაუპირისპირდება, 12 თებერვალს დანიშნული ბოლო სპარინგის მეტოქის ვინაობა კი ადგილზე გაირკვევა.

**გია ტუხაშვილი**

ტორპედო

# მატება მოსკოვიდან

**დავით ხურციძე** „ტორპედოში" ითამაშებს. ფეხბურთელი ქუთაისში სამშაბათს ჩამოფრინდება და რიონისპირელებს შეუერთდება. მისი სახელი და გვარი ქართველ გულშემატკივარს ბევრს არაფერს ეუბნება, მაგრამ 20 წლის მოთამაშეს საინტერესო წარსული აქვს, რაზეც ადრე „ლელო" წერდა. ხურციძე ქუთაისელია, მაგრამ წლების წინათ გადავიდა მოსკოვში, ცსკა-ში ვარჯიშობდა და ახლა რუსეთის მოქალაქეა.

მისი ტრანსფერი ცსკა-ს ეკუთვნის, მოსკოველთა ძირითად კლუბთან ერთად არაერთი შეკრებაც გაუვლია, თუმცა რეზერვისტთა გუნდში თამაშობდა, რამდენიმე შეხვედრა კი რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებშიც ჩაატარა. ხურციძეს მცველადაც ათამაშებდნენ და ნახევარმცველადაც. 2012/13 წლების სეზონში, ცსკა-ს დუბლებში ჩატარებულ 23 მატჩში (აქედან 19 - სასტარტოში) 2 გოლი გაიტანა და 6 ყვითელი ბარათი მიიღო. 2013 წელს, 19-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირზე (NextGen Series), ცსკა-მ „აიაქსი" 2:0 რომ დაამარცხა, იმ შეხვედრაში ანგარიში 45-ე წუთზე ხურციძემ გახსნა და შეუცვლელადაც ითამაშა.

შარშან ზაფხულში, სათამაშო პრაქტიკის მისაღებად და დიდ ფეხბურთთან ადაპტაციისთვის, ხურციძე მეორე ლიგის ბინადარ პენზის „ზენიტში" მიავლინეს. ამ გუნდში მან სულ 4-ჯერ ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა.

კიდევ ერთი სიახლე „ტორპედოსგან": მოგეხსენებათ, 2013 წლის დეკემბერში კომპანია „ვისოლმა" ქუთაისური კლუბის დაფინანსება შეწყვიტა. ბუნებრივია, ამან „ტორპედოში" თანამდებობრივი ცვლილებები გამოიწვია. პოსტი უკვე დატოვა ქუთათურთა აღმასრულებელმა დირექტორმა **გოგა პაპიაშვილმაც**, რომელიც საფეხბურთო სამყაროში წესიერი და საქმიანი ადამიანის რეპუტაციით სარგებლობს.

*„ტორპედოში" განვითარებულ ბოლო დროინდელ მოვლენებზე არ ვილაპარაკებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კლუბის ერთიდან მეორე მეპატრონის ხელში გადაბარების პროცესში ჩემს წილ პასუხისმგებლობას ბოლომდე შევასრულებ და მაქსიმალურად ვეცდები, ეს მოკლე დროში მოხერხდეს. ვისარგებლებ შემთხვევით და, ქუთაისელ გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის დიდ მადლობას გადავუხდი. გუნდის საკეთილდღეოდ, წვიმასა და ქარში, ერთად ვიდექით. მინდა იცოდეთ, რომ თუ რომელიმე ქართულ კლუბს ვუგულშემატკივრებ, ჩემთვის პირველი მუდამ „ტორპედო" იქნება. ძალიან მინდა, 9 მარტს თბილისის „დინამოსთან" თამაშზეც ჩამოვიდე და გუნდს მხარი დავუჭიროთ. სენტიმენტალობა არ მახასიათებს, მაგრამ ძალიან მიჭირს გუნდის დატოვება. აქაურობა ჩემი მეორე სახლი იყო. „ტორპედოს" და, ზოგადად, ქუთაისს მთელი გულით წარმატებებს ვუსურვებ",* - ამბობს გოგა პაპიაშვილი „ტორპედოს" პრესსამსახურთან ინტერვიუში.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ხურციძე ქუთაისის ტორპედოს სამშაბათს შეურთდება

ტრანსფერი

# კვარაცხელიამ ჩიხურა აირჩია

**გიორგი რეხვიაშვილის** თბილისის „დინამოში" დაბრუნების შემდეგ, საჩხერის „ჩიხურა" ცენტრალურ მცველს ეძებდა. ცხადია, ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ექსპერიმენტებს ვერ ჩაატარებდა - ამ პოზიციაზე **სოსო ფრუიძეს** სრულფასოვანი შევსება სჭირდებოდა.

საჩხერელთა მთავარმა მწვრთნელმა გამოცდილი **გია კვარაცხელია** მიიწვია. 34 წლის მცველი თბილისის „დინამომ" დეკემბერში ტრანსფერზე დააყენა, ხოლო შემდეგ, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულება გაწყდა.

მას მერე, კვარაცხელია ქართულ სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მოთამაშე იყო. მას რამდენიმე გუნდი იწვევდა. კვარაცხელიამ „ჩიხურას" წინადადება ამჯობინა.

*„ჩიხურასთან" კონტრაქტს ხელი უკვე მოვაწერე. ეს ჩემთვის ყველაზე სასურველი ვარიანტი იყო",* - გვითხრა კვარაცხელიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დილა

# ანთალიისკენ, ხიზანეიშვილის გარეშე


ოთარ ხიზანეიშვილი დილას შეკრებაზე ვერ გაჰყვა

გორის „დილა“ დღეს დილით ანთალიაში გაემგზავრა, სადაც მოსამზადებელი შეკრების მორიგ, ამჯერად უცხოურ ეტაპს გაივლის. გუნდმა ჩემპიონატისთვის სამზადისი 12 იანვარს დაიწყო და 31 იანვრამდე გორში ვარჯიშობდა. გულშემატკივარს მოეხსენება, რომ „დილას“ შემადგენლობა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. გუნდი 15-მა ფეხბურთელმა დატოვა, სამაგიეროდ, თითქმის ამდენივე მოთამაშეა დამატებული ძირითადად უმაღლესი ლიგის გუნდებიდან.

მთავარი მწვრთნელი **რამაზ სოლოლაშვილი,** გუნდში კონკურენციის გაზრდის და შემადგენლობის უკეთ დაბალანსების მიზნით, არ გამორიცხავს, ჩემპიონატის განახლებამდე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი აიყვანოს. მოსამზადებელ ეტაპზე, გარდა ვარჯიშისა, მწვრთნელმა შეგირდები უშუალოდ საქმეშიც ნახა. ლაპარაკია „დილა 2-თან“ რამდენიმე ტესტ-მატჩზე და საჩხერის „ჩიხურასთან“ საკონტროლო შეხვედრაზე (2:1).

ამ ეტაპზე, სოლოლაშვილი მოთამაშეთა მზადყოფნით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია, თუმცა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, მიკროტრავმებისა თუ ავადმყოფობის გამო, ჯერჯერობით ფორმაში ვერ არის.

თურქეთში გუნდი 14 თებერვლამდე დარჩება. გორელები იქ ოთხი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავენ. 5 თებერვალს „დილა“ რუმინულ „ნავოდარის“ (უმაღლესი ლიგა) შეხვდება, ორი დღის შემდეგ ორენბურგის „გაზოვიკს“ (რუსეთის ჩემპიონატის I ლიგა), 9 თებერვალს სლოვენიურ გრანდ „მარიბორს“, ხოლო წამოსვლამდე ერთი დღით ადრე - „სარაევოს“ (ბოსნია).

სოლოლაშვილმა ანთალიაში 25-კაციანი შემადგენლობა წაიყვანა. მეკარეები - **შეყრილაძე, ლეგაშვილი;** მცველები - **კვახაძე, თომაშვილი, ქართქუზაშვილი, ჯიშკარიანი, ორბელაძე, ქებურია, გაფრინდაშვილი, აფხაზავა;** ნახევარმცველები - **რაზმაძე, რაჟამაშვილი, კოშკაძე, სადაღაშვილი, წიქარიძე, შალამბერიძე, კორღალიძე, გოროზია, შენგელია, გურეშიძე, ფოცხვერია;** თავდამსხმელები - **ახალკაცი, გოგინაშვილი, ბერიაშვილი, კვარაცხელია.**

ტრავმის გამო ანთალიაში გუნდთან ერთად ვერ იქნება გამოცდილი ცენტრალური მცველი **ოთარ ხიზანეიშვილი.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● რას წერენ ჩვენებურებზე


კახა ცხადაძე

# ვაღიაროთ: ცხადაძე მაღალი კლასის პროფესიონალია!

ახლახან პოპულარულმა აზერბაიჯანულმა ვებგვერდმა „ექსტრატაიმმა“ ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა ბაქოს „ინტერისა“ და ლიტვის ნაკრების ყოფილ მცველს, ამჟამად კი ფიფას აგენტ **პაულიუს პაკნისს**. ეს უკანასკნელი აზერბაიჯანში თავისი თანამემამულის, „ბაქის“ და ლიტვის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელის **მინდაუგას კალონასის** ინტერესების დასაცავად ჩასულა.

ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, „ბაქის“ მთავარმა მწვრთნელმა, ახლო წარსულში მადრიდის „ატლეტიკოსა“ და სერბეთის ნაკრების ნახევარმცველმა **მილინკო პანტიჩმა** თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი და, საერთოდ ერთ-ერთი ლიდერი მინდაუგას კალონასი ტრანსფერზე დააყენა. პაკნისთან ინტერვიუმ კი იმიტომ დაგვაინტერესა, რომ ფიფას აგენტი საინტერესო პარალელსავლებს პანტიჩსა და „ინტერის“ ქართველ თავკაც **კახა ცხადაძეს** შორის და იმაშიც დარწმუნებულია, რომ ცხადაძის ხელმძღვანელობით კალონასი ბევრად უკეთ ათამაშდებოდა. აი, ამონარიდიც იმ ვრცელი ინტერვიუდან:

*„...მიმაჩნია, რომ კახა ცხადაძეს ისეთი პრობლემები არ შეექმნებოდა, როგორიც პანტიჩს აქვს. მთავარ მწვრთნელს ფეხბურთელების არ უნდა ეშინოდეს, ხასიათითაც ლიდერი უნდა იყოს და არც პრობლემებს უნდა გაექცეს. ამ მხრივ, ცხადაძე კარგი სპეციალისტია. კი, ვაღიარებ, რომ თავის დროზე „ინტერს“ არცთუ სასიამოვნოდ დავშორდი, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ კახა მაღალი კლასის პროფესიონალია.*

*...ჩვენ ერთმანეთთან არ ვურთიერთობთ, არც ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ინტერი“ კარგ თამაშს უჩვენებს და ეს ყველაფერი მწვრთნელის დამსახურებაა. ერთ რამესაც დავაკვირდით: ერთი შეხედვით სუსტი თუ დაბალი დონის ფეხბურთელები გადადიან „ინტერში“ და მერე ისე „იხსნებიან“, რომ მაშინვე იპყრობენ ქვეყნის წამყვანი კლუბების ყურადღებას. თანაც, ახალ გუნდებში რომ გადადიან, აი იქ, ვერაფრით ახერხებენ თავის გამოჩენას. მოკლედ, ცხადაძესთან ყველა ფეხბურთელი თამაშობს, სხვა მწვრთნელებთან კი - საპირისპირო სიტუაციაა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ „ბაქის“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე რომ იყოს, ეს გუნდი ლიდერი იქნებოდა. პანტიჩის ხელმძღვანელობით კი გუნდს სერიოზულ მიზნებზეც არა აქვს პრეტენზია, არადა, არც ფინანსურად უჭირთ, მშვენიერი ბაზა აქვთ, ინდივიდუალურად ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელებიც თამაშობენ, მაგრამ შედეგი არ არის.*

*თანაც, აზერბაიჯანის ჩემპიონატში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები სწორედ „ბაქიში“ თამაშობენ, ძლიერი ლეგიონერები ჰყავთ ბრაზილიიდან, ესპანეთიდან, რუმინეთიდან და მაკედონიიდან ჩამოყვანილი, მაგრამ მათ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ იყენებენ“.*

მოამზადა
**გია გაგოშიძე**

● ზუგდიდი

# დარასელიას ქუთაისში ქარიც დაეხმარა

„ზუგდიდმა“ „ბაიას“ ბაზაზე მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **გიორგი დარასელიას** შეგირდებმა თანაქალაქელ „ლაზიკას“ 5:0 მოუგეს. მეტოქეს 2-2 გოლი გაუტანეს **სამუშიამ** და **ბულიამ**, ერთი გოლიც **ფარჯიკიას** ანგარიშზეა.

„ზუგდიდმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჯომიდავა, ქვარცხავა, ქირია, კობერიძე, ნიკოლაძე, მჭედლიშვილი, კალანდარიშვილი, ჯავაშვილი, ქირია, ბულია, ფარჯიკია.**

შაბათს კი „ზუგდიდი“, სალორიას ბაზაზე, „ტორპედოს“ „ბენდელას თასის“ მე-4 ტურის მატჩში დუბლშემადგენლობით ესტუმრა.

58-ე წუთზე ანგარიში სტუმარმა **სამუშიამ** გახსნა - 0:1. მასპინძლებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა - **გოგიჩაიშვილის** მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ თავურით **ბერუაშვილმა** გაიტანა - 1:1.

ზუგდიდელებმა 3 ქულა მე-80 წუთზე გატანილი გოლით მოიპოვეს - **ლაშქარავას** მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მიმართულება ქარმა შეუცვალა - 1:2. აღსანიშნავია, რომ „ტორპედოს“ მაისურით ქუთაისელი გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობმა ფეხბურთელებმა - **სევასტი თოდუამ** და **თენგიზ ჩიკვილაძემ** ითამაშეს.

ტორპედო: ცაბუტაშვილი, ადამაძე, ს. თოდუა, ჩიკვილაძე (46. ბერუაშვილი), მეგრელიშვილი, ტულუში (53. ხეცურიანი/80. ჯულელი), გოგიჩაიშვილი, ალიბეგაშვილი (25. თვალავაძე/46. ხარაბაძე), კვერნაძე (58. გიორგაძე), მარკოზაშვილი, მ. ლონლაძე.

ზუგდიდი: ჯომიდავა (85. ქირია), ქომეთიანი, ლ. მჭედლიშვილი, ქვარცხავა, გ. ზუროშვილი, ნიკოლაძე, კობერიძე (50. მიქავა), მ. ლომაია (62. ნ. ქირია), ც. სამუშია (55. როგავა), ლაშქარავა, ბულია (70. თუთბერიძე).

**მერაბ მამულაშვილი**


ტორპედო-ზუგდიდი ბენდელას თასზე

● არშემდგარი ტრანსფერი

# გიორგი ქვილითაიას გრასჰოპერი ჩაეშალა

„ლელო“ წერდა, რომ გორის „დილას“ თავდამსხმელი **გიორგი ქვილითაია** შვეიცარიაში იმყოფებოდა, სადაც ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარულ კლუბ „გრასჰოპერში“ ისინჯებოდა. ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი ციურიხის კლუბს თურქულ შეკრებაზეც ახლდა. როგორც თავად ქვილითაიამ თქვა, „გრასჰოპერი“ 3,5-წლიან კონტრაქტს ტესტირების გარეშე სთავაზობდა. სამწუხაროდ, გიორგის ვარჯიშზე საზარდული ასტკივდა და ერთი თვე იძულებითი დასვენება მოუწევს, შესაბამისად, ტრანსფერიც ჩაიშალა.

მკურნალობის შემდეგ, 20 წლის ფორვარდი კარიერას კვლავ გორის „დილაში“ გააგრძელებს, თუმცა იმედოვნებს, რომ ზაფხულში შვეიცარიულ გუნდში მაინც გადავა.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ქვილითაია

● სფფ

## ფეხბურთის ფედერაცია უეფას წერილს უგზავნის:

# ვუმასპინძლებთ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს!

## 19-წლამდელთა ევროფინალი 2017 წელს უნდა გაიმართოს

ბოლო წლებში საქართველომ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მაგრამ ეს იყო ასაკობრივ ნაკრებთა შესარჩევი ტურნირები ან ელიტრაუნდის ეტაპები.

ევრო 2020-ის მასპინძლობაზე აღარ ვოცნებობთ, სამაგიეროდ, დავიბევეთ ევროპის 2015 წლის სუპერთასის მატჩი, რამაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ეტყობა, უფრო მეტის ამბიცია გაუღვივა - უწყების პრესსამსახურის ცნობით, სფფ-მ უეფასადმი ოფიციალურ წერილში 2017 წელს გასამართი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობის სურვილი დააფიქსირა:

*„ჩვენ გვაქვს 2017 წლის უეფას 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობის სურვილი და მზადყოფნა. საკმაო გამოცდილება დავაგროვეთ და გვჯერა, ამ მაღალი დონის შეჯიბრებას თავს ღირსეულად გავართმევთ. ამასთან, 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარება ძალიან კარგი იქნება ჩვენი ფედერაციისა და მთლიანად ქვეყნისთვის“.*

უეფადან საპასუხო წერილში ვკითხულობთ: *„უპირველესად, მადლობას გიხდით, რომ ასეთი სურვილი გამოხატეთ. უეფას ყველა წევრ ფედერაციას სპეციალური წერილი და ცირკულარი მარტში დაეგზავნება. მასში გაეცნობით ინფორმაციას სავალდებულო პროცედურებისა და მოთხოვნების შესრულების შესახებ - რა ვადებში რა მოთხოვნები უნდა შესრულდეს, რომელიც ყველა მსურველმა დადგენილ ვადებში უნდა წარმოადგინოს და ამის შემდეგ შეძლებთ თქვენი სურვილის ოფიციალურად გაცხადებას“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლოკომოტივი

# მარცხი პოლონელებთან

## აბურჯანია: მაისამდე მაისურაძესთან


გიორგი აბურჯანია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების საბაზო გუნდი თბილისის „ლოკომოტივი" ვალენსიასთან ახლოს მდებარე საკურორტო ქალაქ ალბირიში ემზადება. **ვასილ მაისურაძის** განვრთნილებმა 1 თებერვალს მეორე საკონტროლო შეხვედრა პოლონეთის ექსტრაკლასას „პიასტთან" გამართეს და 0:3 დათმეს. მაისურაძემ მეტწილად ის „ფეხბურთელები ათამაშა, რომლებმაც „ბარსელონასთან" ძირითადში ვერ ითამაშეს.

ანგარიში მე-40 წუთზე პოლონელთა ესპანელმა ლეგიონერმა **რუბენ ხურადომ** გახსნა. 90-ე წუთზე მსაჯმა **გიორგი მაკასარაშვილი** გააძევა, რის შემდეგაც იმავე ხურადომ პენალტის ნიშნულიდან „ლოკომოტივს" მეორე გოლიც გაუტანა. 91-ე წუთზე კი **რადოსლავ მურავსკიმ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:0.

„ლოკომოტივის" მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, მარტო **ალეკო მზევაშვილმა** სამი რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. თავის გამოჩენა შეეძლოთ **გიორგი არაბიძესა** და **ლუკა ზარანდიასაც**.

ლოკომოტივი: **მიქავა (46. ბენდიანიშვილი), ჩიტეიშვილი, გაბაძე, მაკასარაშვილი, კუსიანი, აბურჯანია (60. პატარკაციშვილი), სულთანიშვილი (46. ნივნივაძე), მზევაშვილი (77. კიკაბიძე), გუგუშვილი (62. ზარანდია), კანჭაშვილი (72. გოროზია), მ. გავაშელიშვილი (46. არაბიძე).**

გუშინ „ლოკომოტივი" ლა მანგას სპორტულ ცენტრში ნორვეგიულ „ოდ გრენლანდს" შეხვდა და 1:3 დამარცხდა.

ვასილ მაისურაძის შეგირდები მომდევნო მატჩს, სავარაუდოდ, 5 თებერვალს გამართავენ. მეტოქე დღეს დაზუსტდება. სხვათა შორის, „ლოკომოტივს" ფიზმომზადებაში ეხმარება **ფერნანდო გასპარი**, რომელსაც ესპანეთში ამ სფეროს ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნევენ.

შენიშნავდით, რომ „ლოკომოტივის" შემადგენლობაში გორის „დილას" ფეხბურთელმა **გიორგი აბურჯანიამ** ითამაშა. ბოკერიას თქმით, 18 წლის ნახევარმცველი მაისამდე სწორედ „ლოკომოტივში" ითამაშებს. გიორგი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და ელიტრაუნდამდე ნაკრების საბაზო გუნდში ვარჯიში და თამაში ამიტომაც ამჯობინა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# გვალიას ვიზა ელირსა

**ლაშა გვალიას** ნატანჯი ტრანსფერის ამბავი მოგეხსენებათ. 22 წლის ნახევარმცველი 31 აგვისტოს ეკატერინბურგის „ურალში" ჩაირიცხა, მაგრამ რუსეთში ჩასვლა და იქაურ პრემიერლიგაში თამაში აქამდე ვერ ელირსა. ის თბილისში დაბრუნდა, ინდივიდუალურად ემზადებოდა და რუსეთში სამუშაო ვიზას მოთმინებით ელოდა. ახლა სეზონისთვის „ურალი" არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ემზადება და დავინტერესდით, არის თუ არა გუნდთან ერთად გორის „დილას" ყოფილი ნახევარმცველიც.

სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, შექმნილი პრობლემების გამო, „ურალმა" და გვალიამ, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, კონტრაქტი განყვიტეს და ქართველი თავისუფალი აგენტი გახდა. ამის კვალობაზე მოწოდებაც გაჩნდა - გვალია სადღეისოდ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველია და იქნებ, რომელიმე ქართულმა გუნდმა დაიმატოსო...

კონტრაქტის განყვეტა კატეგორიულად უარყო გორის „დილას" გენერალურმა მენეჯერმა **ლევან სილაგაძემ**, რომელმაც გვითხრა: „ტყუილია, კონტრაქტი არ გაწყვეტილა. ლაშას სავიზო პრობლემა მოგვარდა, ვიზა მიიღო და „ურალს" მალე შეუერთდება".

ეკატერინბურგელებთან ერთად ემზადება თავდამსხმელი **ჩისამბა ლუნგუც**. ზუგდიდის „ბაიას" ყოფილ ფეხბურთელსა და გვალიას ერთმანეთის წინააღმდეგაც უთამაშიათ და, სხვათა შორის, **ოთარ გაბელიას** ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე ერთადაც მიუწვევია.

**მერაბ მამულაშვილი**


ლაშა გვალია ურალს მალე შეუერთდება

ქართველები მალტაში

# ვალეტამ ხუთი ტრანსფერი დაადასტურა

მალტური პრემიერლიგის მეორეადგილოსანმა „ვალეტამ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ **ნუკრი რევიშვილთან, ირაკლი მაისურაძესა** და **აბაიომი ოვონიკოკოსთან** კონტრაქტები გააფორმა. ოფიციალურად დადასტურდა ამ სამეულის ტრანსფერში **მერაბ ჟორდანიას** მონაწილეობაც. მათ გარდა, „ვალეტამ" კიდევ ორი ფეხბურთელი - რუსი **ვლადიმირ რასულოვი** და ბრაზილიელი **ალან და სილვა სოუზა** დაიმატა.

„ვალეტას" პრესსამსახურის ცნობით, ამ ხუთი მოთამაშის გადაბირება კომპანია „ინსინიასა" და ბიზნესმენ მერაბ ჟორდანიას საშუალებით მოხერხდა, ახალწვეულები კი უკვე კვირას, „ბირკირკარას" წინააღმდეგ ითამაშებენო. ეს შეხვედრა გუშინ გაიმართა. ჩვენებურების გუნდმა ლიდერი სტუმრად 2:1 დაამარცხა (დეტალურად სხვა წერილში წაიკითხავთ).

შეგახსენებთ, რომ რევიშვილი და მაისურაძე გორის „დილაში" თამაშობდნენ, ოვონიკოკოს ტრანსფერი კი „გაგრას" ეკუთვნის. სამივე ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი 31 იანვარს, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ოვონიკოკოს ქართული პასპორტი აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები


გურამ კაშიას (№37) თავურმა ვიტესს ქულა გადაურჩინა

# ბენზემა? ვან პერსი? არა, კაშია!

## რევიშვილის დებიუტი ვალეტაში

**როცა ქართველს „ფეიენოორდის" კარში გოლი გააქვს, მაინც სხვანაირი შეგრძნებაა. ეს იმის მიუხედავად, რომ 1981 წლის ცნობილი ნახევარფინალის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და იმავე „ფეიენოორდში" ქართველ ფეხბურთელსაც უთამაშია (გიორგი დემეტრაძე). ამიტომაც, არნემის „ვიტესის" კაპიტნის, გურამ კაშიას შედეგიანი თავური როტერდამულ „დე კუიპზე" ორმაგად სასიხარულო იყო.**

### კარგად დაგამახსოვრდებათ ჩემი სახელი...

როტერდამში „ფეიენოორდი"-„ვიტესის" თამაშს 47 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ვიტესმა" ქულები დაკარგა (1:1), მაგრამ უშუალო კონკურენტ „ფეიენოორდთან" მარცხი მთლად კატასტროფა იქნებოდა, რომლის მოხდენასაც ხელი ქართველმა მცველმა შეუშალა. 26 წლის **გურამ კაშიამ** მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს თავით **მულდერის** კარში მიუჩინა ადგილი, თანაც არცთუ ახლო მანძილიდან. ეს თამაშის 57-ე წუთზე, 0:1-ზე მოხდა.

ეს კაშიას პირველი გოლია ამ სეზონში და მე-9 მის ერედივიზიულ კარიერაში. კაშიამ პირველად გაიტანა რომელიმე ჰოლანდიური გრანდის (პსვ, „აიაქსი", „ფეიენოორდი") კარში. **ვაკო ყაზაიშვილი** სათადარიგო იყო, ხოლო **გიორგი ჭანტურია** განაცხადშიც ვერ მოხვდა.

*„დე კუიპზე" ძალიან აგრესიული ატმოსფერო იყო. ისინი მიყვიროდნენ კიდევაც გოლის გატანის შემდეგ, ძალიანაც კარგი - კარგად დაამახსოვრდებათ ჩემი სახელი,* - განაცხადა მატჩის შემდეგ კაშიამ - *არ ვიყავი დარწმუნებული, რომ გავიტანდი, თუმცა გავიფიქრე, რომ ცდად ღირდა. წამების განმავლობაში თავი ყველაზე ბედნიერი ადამიანი მეგონა, საოცარი შეგრძნება იყო. ვარჯიშებზე ხშირად გოლებს სახელებს ვარქმევთ, „ბენზემა", „ვან პერსი", ან რაიმე მსგავსი, გოლი რომ გავიტანე, თავს ველარ ვაკონტროლებდი და ვიყვირე „კაშიაა".*

### კოზის გარეშე

ბუნდესლიგის მე-19 ტურში ლევან კობიაშვილის „ჰერტამ" „ნიურნბერგს" უმასპინძლა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში ბერლინელებს მარცხენა მცველი ჰყავდათ შესაცვლელი, მწვრთნელმა მოედანზე **ლევან კობიაშვილი** არ გაიყვანა, „ჰერტა" კი 1:3 დამარცხდა.

მე-3 ბუნდესლიგაში **ლუკას ჰუფნაგელის** „უნტერჰახინგი" „დარმშტადს" ეწვია და 1:3 დამარცხდა. 20 წლის ქართველი სათადარიგო იყო, „უნტერჰახინგი" 31 ქულით მე-11 ადგილზეა. სერია B-ში ქართველთა „ემპოლი" დღეს მასპინძლობს „პალერმოს", პირველ-მეორე ადგილოსანთა თამაში, ბუნებრივია, ტურის ცენტრალური დაპირისპირებაა. ფრანგულ დივიზიონ ნასიონალში მოულოდნელად შინ დამარცხდა „ლუზენაკი" („ლა პუასთან" 0:1), **ამირან სანაიამ** მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა.

### არველაძის კრიზისი

**ავთო ებრალიძის** „ჟილ ვისენტემ" ჩემპიონატის ლიდერ „ბენფიკას" უმასპინძლა და ორი ქულა დააკარგვინა - 1:1. ამ მატჩის მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა, ჩვენებური კი შესვენებაზე შეცვალეს. „ჟილ ვისენტე" 19 ქულით მე-11 ადგილზეა.

თურქეთში ქართული დაპირისპირება ვიხილეთ - **შოთა არველაძე** ყოფილი კლუბისა და ყოფილი შეგირდის, **ზურაბ ხიზანიშვილის** წინააღმდეგ - „ქაისერიმ" „ქასიმფაშას" უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა ზურაბ ხიზანიშვილმა (გაფრთხილება).

*„ქაისერის" მინდა მივულოცო კარგი თამაში. ჩვენი გუნდის დაცვისა და მეკარის თამაშით კმაყოფილი ვარ, ისევე როგორც ქულის აღებით ამ შეხვედრაში",* - განაცხადა მატჩის შემდეგ არველაძემ.

ხიზანიშვილის გუნდი 13 ქულით ბოლოსწინაა თურქულ სუპერლიგაში, ხოლო არველაძის გუნდი 30 ქულით უკვე მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა. კრიზისი სახეზეა - ქართველი მწვრთნელის გუნდს ზედიზედ 8 თამაშია, არ მოუგია.

სამხრეთ აფრიკის პრემიერლიგაში „მოროკა" შინ 0:2 დამარცხდა „კაიზერ ჩიფსთან". მასპინძელთა რიგებში 56-ე წუთამდე ითამაშა გიორგი ნერგაძემ.

### სირბილაძის გოლი და საგოლე პასი

ფინეთში საფეხბურთო სეზონი ლიგის თასის გათამაშებით დაიწყო. ტურკუს „ინტერმა" უკვე მეორე შეხვედრა ჩაატარა, სტუმრად ტიპს-ს 4:2 მოუგო. გამარჯვებულთა რიგებში სრულად ითამაშა **ირაკლი სირბილაძემ**, რომელმაც 86-ე წუთზე გოლი გაიტანა, მანამდე მის ანგარიშზე საგოლე პასია. „ინტერი" A ჯგუფში 6 ქულით ლიდერობს.

კვიპროსის ჩემპიონატში „ანორთოსისმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა „ახნასი". ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ფამაგუსტელთა ნახევარმცველ **შოთა გრიგალაშვილს**, ის სათადარიგო იყო. **ლევან მაღრაძის** „ერმისი" კი სტუმრად აპოელ-თან 0:3 დამარცხდა, ვეტერანმა ქართველმა მარჯვენა მცველის პოზიციაზე შეუცვლელად ითამაშა.

### დვალის და კასრაძის მარცხიანი დებიუტები, ცხადაძის გამარჯვება

40-დღიანი ზამთრის პაუზის შემდეგ აზერბაიჯანის ჩემპიონატი განახლდა, სადაც უკვე 7 ქართველი ლეგიონერი ირჯება, ორ გუნდს კი ქართველი სპეციალისტი ხელმძღვანელობს. ახალ ასპარეზზე მარცხიანი დებიუტი გამოუვიდა **ჯაბა დვალს**, რომლის „ყარაბაღიც" მოულოდნელად დამარცხდა შინ „ხაზართან" - 0:1. მასპინძელთა რიგებში ტრავმის გამო არ უთამაშია **ნიკოლოზ გელაშვილს**, დვალი კი მოედანზე 69-ე წუთზე გამოვიდა, მაგრამ თავის გამოჩენა ვერ შეძლო. ამ მარცხის შემდეგ „ყარაბაღი" პირველიდან მესამე ადგილზე დაეშვა.

**გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგმა" მე-60 წუთამდე გაუძლო „ნეფთჩის" შეტევებს, შემდეგ კი სამი გოლი გაუშვა - 0:3.

აზალ-თან თამაშში **კახა ცხადაძემ** სამი ქართველი სასტარტოში დააყენა: **ლაშა სალუქვაძე, ალექსანდრე იაშვილი** და **ბაჩანა ცხადაძე** (მეორე ტაიმში შეცვალეს), **გიორგი ლომაია** სათადარიგო იყო. აზალ-ში დებიუტი ჰქონდა **ლაშა კასრაძეს**. „ინტერმა" 2:1 მოიგო და 30 ქულით მე-4 ადგილზეა, აზალ-ი 24 ქულით მე-7 ადგილზეა.

### მივიდა, ნახა, გაიმარჯვა!

ამიერიდან, მალტაში სამი ქართველი ლეგიონერი გვეყოლება. აქედან ორს დებიუტი უკვე ჰქონდა კუნძულის ჩემპიონატში - **ნუკრი რევიშვილი** კარში იდგა, ხოლო ნიგერიული წარმოშობის **აბაიომი ოვონიკოკო** სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა (ბოლო წუთზე შეცვალეს) ლიდერ „ბირკირკარასთან" მატჩში. **მერაბ ჟორდანიას** ახალ კლუბს მხოლოდ **ირაკლი მაისურაძე** აკლდა, რომელიც არც განაცხადში იყო. „ვალეტამ" 2:1 იმარჯვა გუნდთან, რომელსაც 15-მატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა, ხოლო სექტემბრის მერე საერთოდ არ წაეგო. რევიშვილმა მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, ისიც პენალტით.

**საკონტროლო მატჩები**

დანიურმა „ორჰუსმა" „სეზონისწინა თასის" გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და ამ ამხანაგური ტურნირის ფინალში გავიდა. ტურნირზე 45-წუთიანი მატჩები იყო: „ორჰუსმა" 1:0 აჯობა „სილკებორგს" (**დავით სხირტლაძემ** ითამაშა), 0:0 ეთამაშა სამოყვარულო „ორჰუსს" (სხირტლაძემ და **მათე ვაწაძემ** ითამაშეს) და პენალტების სერიაში წააგო ფინალი „მოზერუელთან" (ვაწაძემ ითამაშა) - 1:4.

■ ■ ■

ვარშავის „ლეგიამ" ზაბკის „დოლჩანს" 3:2 მოუგო, **ლადო დვალიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

■ ■ ■

პოლონურმა „იაგელონიამ" ერთ დღეში ორი თამაში გამართა - ჯერ „ფახთაქორთან" 0:1 წააგო, შემდეგ „ვორსკლას" 0:0 დაუზავდა. პირველ თამაშში მხოლოდ ერთი ქართველი იყო მოედანზე, ისიც ფახთაქორელი **კახა მახარაძე** (გუნდის კაპიტანი), რომელიც 83-ე წუთზე შეცვალეს. „იაგელონიას" რიგებში არც მეორე მატჩში გამოჩენილან **გიორგი ფოფხაძე** და **ნიკა ძალამიძე**.

■ ■ ■

**გიორგი ილურიძემ** მცირე ტრავმის გამო გამოტოვა „ჰაიდუკისა" და თბილისის „დინამოს" დაპირისპირება.

■ ■ ■

„ზორიამ" თურქულ შეკრებაზე „ასტანა" 5:1 დაამარცხა. **ჯაბა ლიპარტიამ** უკრაინულ კლუბში პირველი ტაიმი ითამაშა.

■ ■ ■

ოდესის „ჩერნომორეცი" „ბანიკს" 1:1 დაუზავდა, **თორნიკე ოქრიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

■ ■ ■

ბელეკში **მათე ლვინიანიძემ** 90 წუთი ითამაშა „სევასტოპოლის" შემადგენლობაში, რომელიც „ვოლგას" 0:0 დაუზავდა.

■ ■ ■

ლვოვის „კარპატიმ" პოლონურ „რუხს" 2:0 მოუგო, **ბუბა დაუშვილმა** გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

europe-bet.com

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური

# ეშმაკების მერვე მარცხი

## ადამი დიდი სამეულის წინააღმდეგ

მიმდინარე სეზონში „სტოკი“ და „იუნაიტედი“ მესამედ შეხვდნენ. „ეშმაკები“ წინა ორის მსგავსად მოგებას ახლაც გეგმავდნენ, მაგრამ... ჩემპიონების მორიგი მარცხის ასახსნელად რამდენიმე მიზეზის დასახელება შეიძლება, მათ შორის საკადრო პრობლემების. უკანა ხაზში **დევიდ მოიესს** ისედაც უჭირდა. **რიო ფერდინანდს** მთელი თვეა, არ უთამაშია, **ნემანია ვიდიჩი** კი დისკვალიფიცირებულია. მატჩის მიმდინარეობისას ამას **ჯონი ევანსისა** და **ფილ ჯონსის** ტრავმებიც დაერთო. ჩრდილოირლანდიელმა კუნთი დაიჭიმა, უკანასკნელმა კი **ჯონათან უოლტერსთან** ორთაბრძოლისას მეტოქეს თავი ისე მიარტყა, რომ სამედიცინო პერსონალმა პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანა. საბედნიეროდ, საშიში არაფერია. ჯონსს მაქსიმუმ ორიოდე დღით მოუწევს დასვენება. თუმცა „ფულჰემთან“ მისი ასპარეზობა გამორიცხულია, რადგან თავის ტრავმის შემდეგ ამას ლიგის წესები ითხოვს.

სტუმარს „დიდი სამეულის“ მოედანზე ერთდროულად ყოფნამ ვერ უშველა. **რობინ ვან პერსიმ** ანგარიში **ხუან მატას გადაცემით** გაათანაბრა, ამის გაკეთება მეორედ **უეინ რუნისაც** შეეძლო, მაგრამ **ასმირ ბეგოვიჩმა** თავდამსხმელს ჯარიმა სასწაულ ნახტომში აუღო. მატჩის გმირი **ჩარლი ადამი** გახდა, ვინც ორი შორეული დარტყმით გუნდს სამი ქულა მოუტანა. პირველად მას **მაიკლ კერიკის** რიკოშეტი დაეხმარა, მეორედ კი ბურთი ფეხზე იდეალურად მოაჯდა.



ჩარლი ადამმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ნესი აუგო

## პირველად 95 წლის შემდეგ

1919 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ „სანდერლენდმა“ ზედიზედ ორჯერ მოახერხა „ნიუკასლისთვის“ სტუმრად მინიმუმ 3-3 გოლის გატანა. ზუსტად 100 წლის წინ შეხვედრა 2:5 დასრულდა, ხუთი წლის თავზე კი 2:3. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონის მიწურულს, როცა „შავი კატები“ **პაოლო დიკანიომ** ჩაიბარა, ექსცენტრული იტალიელის დებიუტი სწორედ „სენტ ჯეიმს პარკზე“ შედგა და ანალოგიური ანგარიშით დასრულდა, როგორც ჩვენი მატჩი. **გუსტავო პოიეტის** დანიშვნის შემდეგ „სანდერლენდი“ საოცრად ათამაშდა. მან უკანასკნელი 8 შეხვედრიდან 6 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა, ლიგის თასზე კი „იუნაიტედს“ პენალტების სერიაში სძლია და ფინალში „უემბლიზე“ თამაშის უფლება მოიპოვა.

ამაღლებულ განწყობაზე მყოფ სტუმარს „ნიუკასლმა“ ვერაფერი დაუპირისპირა. „კაჭკაჭებს“ ჰქონდათ მომენტები, მაგრამ სტუმრები საკუთარ კარს თავგანწირვით იცავდნენ. ზოგჯერ ეს თავგანწირვა უხეშობის ზღვარზე გადიოდა, მომენტებში კი უდიდეს რისკს მოიცავდა, რამაც გაამართლა.

## ჩაძუჩების ორმაგი დუბლი

„ასტონ ვილა“ ლივერპულს ზედიზედ მეორედ ესტუმრა. „ენფილდზე“ ფრეს შემდეგ, „გუდისონ პარკზე“ ბირმინგემელებს ალბათ მეტის იმედიც ჰქონდათ, მით უფრო პირველი ტაიმის შემდეგ, მაგრამ „ევერტონმა“ ამის შანსი არ მისცა. მასპინძლებმა შესვენების შემდეგ უზარმაზარი უპირატესობა მოიპოვეს. ანგარიში შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაათანაბრეს. **სტივენ პიენაარმა სტივენ ნეისმიტს** გაატანინა. დუეტს შეხვედრის მიწურულს მეორედაც შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა სამხრეთაფრიკელის ჩაწოდების შემდეგ შოტლანდიელმა ახლო მანძილიდან **ბრედ გუზანს** ვერ აჯობა. ყველაზე თვალწარმტაცი მომენტი **კევინ მირალიაშის** ჯარიმა აღმოჩნდა. ბელგიელმა 23-24 მეტრიდან დიდებულად დასცხო.

„ქრეივენ კოტეჯზე“ მომენტებს პირველ ტაიმში „ფულჰემი“ ქმნიდა, მეორეში „საუთჰემპტონი“, ოღონდ უკანასკნელი არა მარტო ქმნიდა. ტრიბუნებზე მოკალათებულ **როი ჰოჯსონს** „წმინდანების“ ლიდერებმა **ადამ ლალანამ, ჯეი როდრიგესმა** და **რიკი ლამბერტმა** კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ ნაკრების თავკაცს ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მათი წაყვანა არ უნდა დაავიწყდეს. ლამბერტმა „საუთჰემპტონის“ რიგებში მე-100 გოლი გაიტანა.

„ბოლეინ გრაუნდზე“ **ენდი კეროლმა კევინ ნოლანს** „მეორე სართულზე“ მოგებული ბურთების წყალობით ორჯერ გაატანინა. ენდიმ 59-ე წუთზე კარიერაში პირველი წითელი ბარათი მიიღო. ჰოვარდ ვებს თავისუფლად შეეძლო ყვითელი ბარათით დაკმაყოფილებულიყო, მით უმეტეს, რომ განზრახი ქმედება აშკარად არ ყოფილა და კონტაქტიც მინიმალური იყო. უბრალოდ **ჩიკო ფლორესმა** დაცემისას სამხრეთელებისთვის ჩვეული არტისტიზმი მოიშველია. ესპანელმა მეორედაც სცადა მსაჯის იმავე ანკესზე წამოგება, როცა **კარლტონ კოულთან** ბრძოლის შემდეგაც მიწაზე განერთხა. სემ ელერდაისმა ხსენებულ ეპიზოდში ფეხბურთელის საქციელს გამოწვევი დაცინვით უპასუხა.

წინა ტურში საშვილიშვილოდ შერცხვენილმა „ტოტენჰემმა“ დიდი ხნის მოუგებელ „ჰალთან“ მხოლოდ ფრედ ითამაშა. ანგარიში „დეზების“ დაცვისთვის ტრადიციად ქცეული შეცდომის გამო გაიხსნა. ლონდონელებმა ერთთვიანი პაუზის შემდეგ გამოჩენილი პაულინიოს გოლით გაათანაბრეს. საინტერესო ის იყო, რომ **დენი როუზი** ბრაზილიელს პასს კი არ უკეთებდა, შორიდან ძლიერად და არაზუსტად ურტყამდა კარში.

## მახვილი ზურგში

**პეპე მელმა** „ვესტ ბრომვიჩში“ 4 შეხვედრა ჩაატარა და ჯერაც არ მოუგია - 2 ფრე, 2 წაგება. 50 წლის ესპანელის გუნდი ვერც დაცვაში ბრწყინავს და მაინცდამაინც არც თავდასხმაში წყვეტს ციდან ვარსკვლავებს. მასპინძელი შესაძლოა თამაშის ხარისხით „ლივერპულთან“ ქულას იმსახურებდა კიდეც, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რომ არა **კოლო ტურეს** შეცდომა, ის გოლს ვერ ელირსებოდა. 32 წლის ივუარელმა **ვიქტორ ანიჩებეს** ბურთი მეკარესთან პირისპირ მდგომს ჩააბარა. სტუმართა მრისხანე თავდასხმა წინა შეხვედრებისგან განსხვავებით ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე და მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა. ჩრდილში იდგა **ლუის სუარესი**, ვისმა შედეგიანობამაც **დენიელ სტარიჯის** მოედანზე დაბრუნების შემდეგ მკვეთრად იკლო.

## ემირეიტსზე ისევ მშრალად

**ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენმა** „არსენალის“ შემადგენლობაში თავის 46-ე თამაშში მხოლოდ მე-4-5 გოლები გაიტანა, რაც შემტევი ნახევარმცველისთვის ალბათ ცოტაა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ფეხბურთელმა რამდენჯერმე მიიღო სერიოზული ტრავმა. აღსანიშნავია, რომ მას 2012 წლის 29 დეკემბრის შემდეგ არ ჰქონდა გატანილი.

**ტონი პულისმა** მაქსიმალურად სცადა მეტოქისთვის სივრცის შეზღუდვა, თუმცა თუკი პირველ ტაიმში კიდევ რალაც გამოსდიოდა, მეორეში ძალა აღარ ეყო. „მეთოფეები“ კომბინაციური ფეხბურთის ხარჯზე იოლად პოულობდნენ გამოსავალს. გატანა თავის მხრივ სტუმარსაც შეეძლო, მაგალითად **მარუან შამახსა** და **კემერონ ჯერომს**. დაბოლოს, გეტყვით, რომ „არსენალმა“ ზედიზედ მე-4 საშინაო შეხვედრაში მოახერხა საკუთარი კარის მშრალად შენახვა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### შოტლანდია

#### პრემიერშიპი. XXV ტური

| | |
|---|---|
| კილმარნოკი-როს ქაუნთი | 2:2 |
| პატრიკი-დანდი | 1:1 |
| ინვერნესი-ჰიბერნიანი | გადაიდო |
| სტ. ჯონსტონი-მოზერველი | გადაიდო |

#### გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| სელტიკი-სტ. მირენი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 23 | 20 | 3 | 0 | 56-12 | 63 |
| 2. აბერდინი | 24 | 14 | 3 | 7 | 35-22 | 45 |
| 3. მოზერველი | 23 | 14 | 2 | 7 | 34-30 | 44 |
| 4. ინვერნესი | 22 | 11 | 4 | 7 | 29-21 | 37 |
| 5. დანდი იუნ | 24 | 9 | 8 | 7 | 40-28 | 35 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 23 | 9 | 5 | 9 | 31-26 | 32 |
| 7. ჰიბერნიანი | 24 | 7 | 7 | 10 | 21-27 | 28 |
| 8. კილმარნოკი | 25 | 7 | 5 | 13 | 30-41 | 26 |
| 9. სტ. მირენი | 24 | 6 | 6 | 12 | 24-40 | 24 |
| 10. როს ქაუნთი | 24 | 6 | 4 | 14 | 29-43 | 22 |
| 11. პატრიკი | 25 | 4 | 10 | 11 | 22-39 | 22 |
| 12. ჰართსი | 25 | 5 | 5 | 15 | 22-44 | 5 |

### ჰოლანდია

#### ერედივიზიე. XXI ტური

**ფეიენოორდი-ვიტესი** 1:1
გოლები: 1:0 პელე (39), 1:1 კაშია (57)

**ჰეერენვეენი-დენ ჰააგი** 3:0
გოლები: 1:0 ოტიგბა (58), 2:0 ფინბოგასონი (68-პენ), 3:0 ვან ლა პარა (90+2)

**ჰერაკლესი-ბრედა** 1:2
გოლები: 0:1 ბუისი (38), 0:2 პუპონი (61), 1:2 ლინსენი (71)

**ზვოლე-როდა** 3:1
გოლები: 1:0 ტომასი (19), 1:1 დონალდი (62), 2:1 ფერნანდესი (77-პენ). 3:1 ბენსონი (92)

**ალკმაარი-გრონინგენი** 2:0
გოლები: 1:0 გუდელი (3), 2:0 გუდელი (17)

**უტრეხტი-აიაქსი** 1:1
გოლები: 0:1 ბლინდი (25), 1:1 დე რიდერი (33)
**აიაქსი (4-3-3):** სილესენი - ვან რაინი, ველტმანი, მოისანდერი, ბოილესენი (49. პოულსენი) - კლაასენი, ბლინდი, სერერო - შოინე, კრკიჩი (64. დე იონგი), ფიშერი

**ტვენტე-კამბუური** 3:1
გოლები: 0:1 ლეუვინი (25-პენ), 1:1 კასტანიოსი (54), 2:1 ეგანი (60), 3:1 ბენგტსონი (79)

**ნაიმეგენი-იგლსი** 1:1
გოლები: 1:0 პიგდონი (5), 1:1 ტურუჩი (58)

**ვაალვაიკი-ეინდჰოვენი** 2:0
გოლები: 1:0 სნო (54), 2:0 სნო (90+3)
**ეინდჰოვენი (4-3-3):** ზუტი - არიასი, ბრუმა, რეკიკი, ვილემსი - მაჰერი (75. ბაკალი), სხაარსი, პარკი - ნარსინხი (75. იოზეფზონი), ლოკადია, დეპაი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 21 | 13 | 5 | 3 | 44-18 | 44 |
| 2. ვიტესი | 21 | 12 | 6 | 3 | 46-27 | 42 |
| 3. ტვენტე | 20 | 11 | 7 | 2 | 47-20 | 40 |
| 4. ფეიენოორდი | 21 | 11 | 4 | 6 | 44-30 | 37 |
| 5. ჰეერენვეენი | 21 | 9 | 6 | 6 | 48-37 | 33 |
| 6. ალკმაარი | 21 | 9 | 3 | 9 | 34-34 | 30 |
| 7. ეინდჰოვენი | 21 | 8 | 5 | 8 | 36-28 | 29 |
| 8. ზვოლე | 21 | 7 | 7 | 7 | 31-28 | 28 |
| 9. გრონინგენი | 20 | 7 | 7 | 6 | 37-35 | 28 |
| 10. ბრედა | 21 | 7 | 4 | 10 | 32-38 | 25 |
| 11. ჰერაკლესი | 21 | 7 | 4 | 10 | 29-37 | 25 |
| 12. უტრეხტი | 21 | 7 | 4 | 10 | 29-41 | 25 |
| 13. იგლსი | 21 | 6 | 6 | 9 | 30-45 | 24 |
| 14. ვაალვაიკი | 21 | 5 | 7 | 9 | 29-37 | 22 |
| 15. კამბუური | 21 | 6 | 4 | 11 | 22-30 | 22 |
| 16. როდა | 21 | 5 | 7 | 9 | 34-46 | 22 |
| 17. ნაიმეგენი | 21 | 4 | 8 | 9 | 34-52 | 20 |
| 18. დენ ჰააგი | 21 | 6 | 2 | 13 | 25-48 | 20 |

ბომბარდირები: 20 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 16 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი), 12 - არონ იოჰანსონი (ალკმაარი), ლუკას კასტანიოსი (ტვენტე)

#### ნიუკასლი-სანდერლენდი 0:3

**გოლები:** 0:1 ბორინი (19-პენ), 0:2 ა. ჯონსონი (23), 0:2 კოლბეკი (80)
**ნიუკასლი (4-2-3-1):** კრული - დებუში, ს. ტეილორი, უილიამსონი, სანტონი (64. დამეტი) - ანიტა (74. მარვო), ტიოტე - ბენ არფა, სისოკო, ს. ამეობი (46. დე იონგი) - შ. ამეობი
**სანდერლენდი (4-2-3-1):** მანონე - ბერდსლი, ბრაუნი, ოში, მ. ალონსო - კი, კოლბეკი - ბრიდკატი, ა. ჯონსონი (77. ლარსონი), ბორინი (89. გარდნერი) - ალტიდორი
**გაფრთხილება:** სანტონი, დამეტი - ოში, ბორინი
**კარში დარტყმა:** 28-16 (10-5) **კუთხური:** 7-3 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 18-13 **ბურთის ფლობა:** 51%-49%
**მაყურებელი:** 52 280

#### ვესტ ჰემი-სუონსი 2:0

**გოლები:** 1:0 ნოლანი (26), 2:0 ნოლანი (45+1)
**ვესტ ჰემი (4-2-3-1):** ადრიანი - დემელი, კოლინსი, ტომკინსი, მაკარტნი - ნოუბლი, მ. ტეილორი (79. რიდი) - დაუნინგი, ნოლანი (87. ნოჩერინო), ჯარვისი (65. კ. კოული) - კეროლი
**სუონსი (4-2-3-1):** ტრემელი - ტიენდალი, ჩიკო, უილიამსი, ბ. დევისი - დე გუზმანი, ამატი (62. პოსუელო) - დაიერი (76. ნგოგი), შელვი (70. პ. ერნანდესი), როტლეჯი - ბონი
**გაფრთხილება:** ნოუბლი -
**გაძევება:** ე. კეროლი (59) -
**კარში დარტყმა:** 11-20 (4-0) **კუთხური:** 8-11 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 7-7 **ბურთის ფლობა:** 35%-65%
**მაყურებელი:** 31 848

#### კარდიფი-ნორვიჩი 2:1

**გოლები:** 0:1 სნოდგრასი (5), 1:1 ბელამი (49), 2:1 ჯონსი (50)
**კარდიფი (4-4-2):** მარშალი - ჯონი, ბ. ტერნერი, კოლკერი, ფ. და სილვა (75. თეოფილ-კეტრინი) - ნუნი, მატჩი (67. მატჩი), მედელი, უიტინგემი (39. ზაჰა) - ბელამი, ჯონსი
**ნორვიჩი (4-4-2):** რადი - მარტინი, ბასონგი, რ. ბენეტი, მ. ოლსონი - სნოდგრასი, ბ. ჯონსონი (75. ფერი), ტეტი, გუტიერესი (76. რედმონდი) - ელმანდერი (75. ვან ვოლფსვინკელი), პუპერი
**გაფრთხილება:** ნუნი - რ. ბენეტი, ელმანდერი, ტეტი, სნოდგრასი
**კარში დარტყმა:** 14-27 (5-6) **კუთხური:** 7-14 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 8-9 **ბურთის ფლობა:** 49%-51%
**მაყურებელი:** 26 748

#### ევერტონი-ასტონ ვილა 2:1

**გოლები:** 0:1 ბაკუნა (34), 1:1 ნეისმიტი (74), 2:1 მირალიაში (85)
**ევერტონი (4-5-1):** ჰოვარდი - სტოუნსი (70. ნეისმიტი), ჯაგიელკა, დისტენი, ბეინსი - მაკარტი, ბერი, მაკგიდი (88. პიბერტი), ოსმანი ბერკლი (46. პიენაარი) - მირალიაში
**ასტონ ვილა (4-4-1-1):** გუზანი - ბეიკერი, ვლაარი (80. ოლბრაიტონი), კლარკი, ბერტრანი - ბაკუნა, დელფი, ვესტვუდი, ეაიმანი (87. ტონევი) - ჰოლტი (61. ელ აჰმადი), ბენტეკე
**გაფრთხილება:** ბეინსი -
**კარში დარტყმა:** 13-4 (6-1) **კუთხური:** 13-1 **თამაშგარე:** 9-3 **ჯარიმა:** 4-18 **ბურთის ფლობა:** 71%-29%
**მაყურებელი:** 39 469

#### ფულჰემი-საუთჰემპტონი 0:3

**გოლები:** 0:1 ლალანა (64), 0:2 ლამბერტი (70), 0:3 ჯ. როდრიგესი (75)
**ფულჰემი (4-3-3):** სტეკელენბურგი - რიტერი, ბერნი, ჰანგელანდი, რიჩარდსონი - სიდუელი, პარკერი (74. კასამი), კვისტი (83. ტანკოვიჩი) - ჰოლტბი, ბენტი, დაფი (65. დემპსი)
**საუთჰემპტონი (4-2-3-1):** ბორუცი - ჩემბერსი (58. კლაინი), ფონტე, იოშიდა, შოუ - შნაიდერლინი, ვანიამა (46. კორკი) - ლალანა, ს. დევისი, როდრიგესი (87. გალაგერი) - ლამბერტი
**გაფრთხილება:** - როდრიგესი, ვანიამა, შნაიდერლინი
**კარში დარტყმა:** 8-17 (4-5) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 5-2 **ჯარიმა:** 10-9 **ბურთის ფლობა:** 39%-61%
**მაყურებელი:** 25 700

#### ჰალი-ტოტენჰემი 1:1

**გოლები:** 1:0 ლონგი (12), 1:1 პაულინიო (61)
**ჰალი (4-2-3-1):** ჰარპერი - როსენიორი, დევისი, მაკშეინი, ფიგეროა - ელ მოჰამადი (70. კორენი), მეილერი, ჰადლსტოუნი, ბრეიდი (69. ბოიდი) - იელავიჩი (88. საგბო), ლონგი
**ტოტენჰემი (4-4-2):** ლორისი - უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, როუზი - ბენტალები, პაულინიო, ლენონი, ერიქსენი - სოლდადო, ადებაიორი (90. კეინი)
**გაფრთხილება:** მეილერი - სოლდადო
**კარში დარტყმა:** 9-19 (4-3) **კუთხური:** 4-10 **თამაშგარე:** 4-5 **ჯარიმა:** 13-9 **ბურთის ფლობა:** 38%-62%
**მაყურებელი:** 24 932

#### სტოკი-იუნაიტედი 2:1

**გოლები:** 1:0 ადამი (38), 1:1 ვან პერსი (47), 2:1 ადამი (52)
**სტოკი (4-2-3-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, შოუკროსი, უილსონი, პიტერსი - უელანი (83. პალასიოსი), ადამი - უოლტერსი (60. აირლანდი), არნაუტოვიჩი (72. არნაუტოვიჩი), ოდემვინგი - კრაუჩი
**იუნაიტედი (4-2-3-1):** დე ხეა - ფ. ჯონსი (45. უელბეკი), სმოლინგი, ევანსი (10. რაფაელი), ევრა - კლევერლი, კერიკი - იანგი, მატა, რუნი - ვან პერსი (78. ერნანდესი)
**გაფრთხილება:** უოლტერსი, კემერონი - რუნი, კერიკი
**კარში დარტყმა:** 13-19 (6-4) **კუთხური:** 7-10 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-7 **ბურთის ფლობა:** 38%-62%
**მაყურებელი:** 26 547

#### ბრომვიჩი-ლივერპული 1:1

**გოლები:** 0:1 სტარიჯი (24), 1:1 ანიჩებე (67)
**ბრომვიჩი (4-4-2):** ფოსტერი - ჯონსი, მაკაული, ოლსონი (41. ლუგანო), რიჯუელი - იაკობი, მულუმბუ, ბრანტი, გერა - ბერაინო (64. ანიჩებე), ვიდრა (76. დორანსი)
**ლივერპული (4-4-2):** მინიოლე - ფლენაგანი (74. კელი), შკრტელი, ფ. ტურე, სისოხო - ჯერარდი, ჰენდერსონი, კოუტინიო (74. ალენი), სტერლინგი - სტარიჯი, სუარესი
**გაფრთხილება:** იაკობი, რიჯუელი, მულუმბუ, ლუგანო - სუარესი, ჯერარდი
**კარში დარტყმა:** 12-12 (4-3) **კუთხური:** 3-4 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 13-15 **ბურთის ფლობა:** 50%-50%
**მაყურებელი:** 26 132

#### არსენალი-პალასი 2:0

**გოლები:** 1:0 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (47), 2:0 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (73)
**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, მონრეალი - არტეტა, ოქსლეიდ-ჩემბერლენი - პოდოლსკი (73. როსიცკი), ოზილი (84. გიბსი), კასორლა - ჟირუ (84. ბენდტნერი)
**პალასი (4-4-2):** სპერონი - ვორდი, გებიდონი, დელეინი, პარი - დიკგაჩოი, ჟედინაკი, პანჩეონი, ბოლასი - შამახი (82. გეილი), ჯერომი (56. ბენანი)
**გაფრთხილება:** მერ[illegible]
**კარში დარტყმა:** 10-8 (6-2) **კუთხური:** 6-5 **თამაშგარე:** 0-3 **ჯარიმა:** 9-14 **ბურთის ფლობა:** 73%-27%
**მაყურებელი:** 60 005

#### 3 თებერვალი

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ჩელსი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 24 | 17 | 4 | 3 | 47-21 | 55 |
| 2. სიტი | 23 | 17 | 2 | 4 | 68-26 | 53 |
| 3. ჩელსი | 23 | 15 | 5 | 3 | 43-20 | 50 |
| 4. ლივერპული | 24 | 14 | 5 | 5 | 58-29 | 47 |
| 5. ევერტონი | 24 | 12 | 9 | 3 | 37-25 | 45 |
| 6. ტოტენჰემი | 24 | 13 | 5 | 6 | 31-32 | 44 |
| 7. იუნაიტედი | 24 | 12 | 4 | 8 | 39-29 | 40 |
| 8. ნიუკასლი | 24 | 11 | 4 | 9 | 32-31 | 37 |
| 9. საუთჰემპტონი | 24 | 9 | 8 | 7 | 34-27 | 35 |
| 10. ასტონ ვილა | 24 | 7 | 6 | 11 | 27-34 | 27 |
| 11. სტოკი | 24 | 6 | 7 | 11 | 24-38 | 25 |
| 12. სუონსი | 24 | 6 | 6 | 12 | 29-35 | 24 |
| 13. ჰალი | 24 | 6 | 6 | 12 | 23-30 | 24 |
| 14. სანდერლენდი | 24 | 6 | 6 | 12 | 25-36 | 24 |
| 15. ნორვიჩი | 24 | 6 | 6 | 12 | 19-37 | 24 |
| 16. ბრომვიჩი | 24 | 4 | 11 | 9 | 28-34 | 23 |
| 17. პალასი | 24 | 7 | 2 | 15 | 15-33 | 23 |
| 18. ვესტ ჰემი | 24 | 5 | 7 | 12 | 24-33 | 22 |
| 19. კარდიფი | 24 | 5 | 6 | 13 | 19-41 | 21 |
| 20. ფულჰემი | 24 | 6 | 1 | 17 | 22-53 | 19 |

ბომბარდირები: 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 14 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

#### მომდევნო ტური

8 თებერვალი: ლივერპული-არსენალი, ასტონ ვილა-ვესტ ჰემი, ჩელსი-ნიუკასლი, კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი, ნორვიჩი-მანჩესტერ სიტი, საუთჰემპტონი-სტოკ სიტი, სანდერლენდი-ჰალი, სუონსი-კარდიფი

9 თებერვალი: ტოტენჰემი-ევერტონი, მანჩესტერ იუნაიტედი-ფულჰემი

#### ჩემპიონშიპი. XXIX ტური

**ქუინზ პარკი-ბარნლი** 3:3
გოლები: 1:0 დოილი (7), 1:1 ინგსი (25), 2:1 დანი (34), 2:2 ინგსი (54), 2:3 ვოუკსი (62), 3:3 მაიგა (79)

**ბორნმუთი-ლესტერი** 0:1
გოლი: 0:1 ფილიპსი (81)

**ბირმინგემი-დერბი** 3:3
გოლები: 1:0 ჰოვარდი (48), 1:1 ბემფორდი (49), 1:2 მარტინი (59), 1:3 ფორსაიტი (73), 2:3 ბერკი (78), 3:3 მაკედა (90+3)

**ბლექბერნი-ბლექპული** 2:0
გოლები: 1:0 დანი (20), 2:0 ჰენლი (83)

**დონკასტერი-მიდლსბრო** 0:0

**იპსვიჩი-ბოლტონი** 1:0
გოლი: 1:0 მაკგოლდრიკი (55-პენ)

**ლიდსი-ჰადერსფილდი** 5:1
გოლები: 0:1 ვორდი (25), 1:1 მაკორმაკი (45+3), 2:1 კებე (50), 2:1 მაკორმაკი (62), 3:1 მაკორმაკი (73), 5:1 მოუატი (82)

**მილუოლი-რედინგი** 0:3
გოლები: 0:1 პოგრებნიაკი (39), 0:2 პირსი (72), 0:3 უილიამსი (76)

**შეფილდ უენ-ბარნსლი** 1:0
გოლი: 1:0 მაგუირი (90+7)
გაძევება: ჯონსონი (80) - ფრიმენი (30), მელიში (90+1)

**უიგანი-ჩარლტონი** 2:1
გოლები: 0:1 სორდელი (3), 1:1 ფორჩუნი (88), 2:1 გომესი (90+1)

**ნოტინგემი-იოვილი** 3:1
გოლები: 1:0 ვებსტერი (16-ს.კ-ში), 1:1 მური (25), 2:1 კოქსი (38), 3:1 ჯებური (90+1)

**უოტფორდი-ბრაიტონი** 2:0
გოლები: 1:0 ანია (13), 2:0 ფორესტიერი (60)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლესტერი | 29 | 21 | 3 | 5 | 52-28 | 66 |
| 2. ქუინზ პარკი | 28 | 16 | 8 | 4 | 36-20 | 56 |
| 3. ბარნლი | 28 | 14 | 11 | 3 | 42-23 | 53 |
| 4. დერბი | 29 | 15 | 7 | 7 | 57-40 | 52 |
| 5. ნოტინგემი | 28 | 13 | 11 | 4 | 46-29 | 50 |
| 6. რედინგი | 29 | 13 | 8 | 8 | 47-33 | 47 |
| 7. იპსვიჩი | 29 | 11 | 10 | 8 | 41-32 | 43 |
| 8. ბლექბერნი | 29 | 11 | 9 | 9 | 37-35 | 42 |
| 9. ბრაიტონი | 28 | 10 | 10 | 8 | 30-25 | 40 |
| 10. უიგანი | 27 | 11 | 7 | 9 | 30-27 | 40 |
| 11. ლიდსი | 28 | 11 | 6 | 11 | 41-37 | 39 |
| 12. მიდლსბრო | 29 | 9 | 11 | 9 | 41-35 | 38 |
| 13. უოტფორდი | 27 | 8 | 10 | 9 | 40-35 | 34 |
| 14. ჰადერსფილდი | 28 | 9 | 7 | 12 | 37-38 | 34 |
| 15. ბორნმუთი | 28 | 9 | 7 | 12 | 34-47 | 34 |
| 16. ბლექპული | 29 | 8 | 9 | 12 | 27-41 | 33 |
| 17. შეფილდ უენ. | 27 | 6 | 12 | 9 | 34-34 | 30 |
| 18. ბირმინგემი | 28 | 7 | 9 | 12 | 34-37 | 30 |
| 19. დონკასტერი | 29 | 7 | 8 | 14 | 26-44 | 29 |
| 20. ბოლტონი | 28 | 6 | 10 | 12 | 32-45 | 28 |
| 21. მილუოლი | 28 | 6 | 8 | 14 | 28-54 | 26 |
| 22. ჩარლტონი | 27 | 5 | 9 | 13 | 23-36 | 24 |
| 23. ბარნსლი | 27 | 4 | 9 | 14 | 25-45 | 21 |
| 24. იოვილი | 27 | 5 | 5 | 17 | 24-44 | 20 |

ბომბარდირები: 21 - როს მაკორმაკი (ლიდსი), 16 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), დენი ინგსი (ბარნლი), 15 - დევიდ ნაჯენტი (ლესტერი)

#### ლიგა 1. XXIX ტური

ბრისტოლ ს-კარლაისლი 2:1, ქროუ-შეფილდ იუნ. 3:0, ჯილინგემი-პორტ ვეილი 3:2, მილტონ-ტრანმერი 0:1, პრესტონი-ნოთს ქაუნთი 2:0, როტერჰემი-ლეიტონი 2:1, შრიუსბერი-ბრენტფორდი 1:1, სუინდონი-ოლდჰემი 0:1, ვულვერჰემპტონი-ბრედფორდი 2:0.

*გადაიდო: ქოვენტრი-უოლსოლი, ქროული-სტივენიჯი*

#### ლიგა 2. XXIX ტური

საუთენდი-ნიუპორტი 0:0, ბარტონი-ექსეტერი 1:1, ბერი-უიკომბი 1:0, ჩელტენჰემი-ნორთჰემპტონი 1:1, ჩესტერფილდი-ბრისტოლი 3:1, ფლიტვუდი-იორკი 1:2, ჰარტლპული-სკანტორპი 0:0, ოქსფორდი-უიმბლდონი 2:1, პლიმუთი-მენსფილდი 1:1, პორტსმუთი-ტორკი 0:1, როჩდეილი-დაგენჰემი 0:1

*გადაიდო: აკრინგტონი-მორკემბი*

ევროპული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ლიგა 1. XXIII ტური

# რანიერიმ პსჟ გააჩემპიონა

## სენტ ეტიენი ჩემპიონთა ლიგას მიუახლოვდა

ტური დაიწყო როგორც მოსალოდნელი იყო - „პარი სენ-ჟერმენმა" სეზონში მეოთხედაც მოუგო „ბორდოს". **ლორან ბლანმა** თავისი ყოფილი გუნდი ისევ გააწბილა. მისმა ბიჭებმა ორივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს, **ზლატან იბრაჰიმოვიჩსაც** და **ალექსსაც ლუკასმა** გაუწია ასისტენტობა. ამ შეხვედრაში შედგა **იოან კაბაის** დებიუტი, რომელიც შეცვლაზე შევიდა მინდორზე. ამრიგად, სხვაობა ისევ გაიზარდა „მონაკოსთან", რომელთანაც დედაქალაქელებმა შემდეგ ტურში უნდა ითამაშონ.

**კლაუდიო რანიერის** გუნდი „ლორიანს" ესტუმრა და ძალიან გაუჭირდა. **ვენსან აბუბაქარმა** 4-მატჩიანი მშრალი სერია სწორედ მონტეკარლოელებთან შეწყვიტა. **რადამელ ფალკაოს** არყოფნაში გახსნილმა **ვალერი ჟერმენმა** ისევ გამოიჩინა თავი, ტაიმის მიწურულს ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ **კრისტიან გურკუფის** გუნდი ისევ დაწინაურდა - აბუბაქარი ამჯერად ასისტენტად მოგვევლინა გოლი კი **ჟერემი ალიადირმა** გაიტანა. სტუმრებმა ბოლოს მაინც შეძლეს გათანაბრება, 87-ე წუთზე **ლუკას ოკამპოსის** პასით **ლეივინ კურზავამ** გაიტანა. 21 წლის მცველისთვის ეს უკვე მე-4 გოლია, რაც მშვენიერი შედეგია. რანიერი ძალიან გულდაწყვეტილი გახლდათ და გამოუყენებელ მომენტებს მისტიროდა.

*„ჩემი აზრით, „მონაკომ" მოგება დაიმსახურა. ძალიან ბევრი შანსი გვქონდა და უნდა გამოგვეყენებინა. ხელოვნურ საფარზე თამაში ძალიან გაგვიჭირდა. ახლა იმედი გვაქვს, რომ მომავალ ტურში პსჟ-სთან კარგი თამაში გამოგვივა და ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ „პარი სენ-ჟერმენი" სეზონის დაწყებამდე გახდა ჩემპიონი"*, - თქვა რანიერიმ, რომელმაც როგორც ჩანს, ცხელ გულზე ხელი ჩაიქნია პირველი ადგილისთვის ბრძოლაზე.

ამ გუნდებს კიდევ უფრო ჩამორჩა „ლილი", რომელიც სერიოზულ კრიზისშია. „ალიანც რივიერაზე" ყველაფერი პირველი ტაიმის ბოლო წამებზე **მატიო ბოდმეს** მიერ გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა. საგოლე გადაცემა, რა საკვირველია, ისევ **კრისტიან ბრიულსისა** იყო.

**რენე ჟირარის** გუნდის ფიასკოთი „სენტ ეტიენმა" ისარგებლა და მასთან სხვაობა ქულამდე შეამცირა. „მწვანეებს" ერთ ლუკმად არ ეყოთ გადარჩენისთვის მებრძოლი „ვალანსიენი". **ბენჟამინ კორნიემ** ჯერ **რენო კოადს** გაატანინა, მერე თავად შეაგდო და 56-ე წუთისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. **კრისტოფ გალტიემ** ცვლილებებიც გამოიცნო, მესამე გოლი სწორედ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა **მევლუთ ერდინჩმა** და **იოან მოლომ** გამოძერწეს - პირველი ასისტენტი გახლდათ, მეორე გოლის ავტორი.

## ახალწვეულების დღე

ყველა ტურნირზე 12-მატჩიანი წაუგებელი სერიითა და ზედიზედ 6 მოგებით თავმომწონე „ლიონი" ბრეტონის დედაქალაქ რენს ეწვია. **რემი გარდს** ტრავმის გამო ისევ გამოაკლდა **იოან გურკუფი** და ეს მისი გუნდის თამაშს აშკარად დაეტყო. მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და დაწინაურებაც შეძლეს, კვლავაც აქტიური იყო **რომენ ალესანდრინი**, რომელმაც **სედრიკ ონტონჯეს** გაატანინა. ტაიმის მიწურულს სტუმრებს **სამუელ უმტიტი** გაუძევეს და ამან მათი მდგომარეობა ძალიან დაამძიმა. 66-ე წუთზე კი **ფილიპ მონტანიე** ახალწვეულმა **ოლა ტოივონენმა** გაახარა თავისი პირველი გოლით. შვედის ბურთმა ნათელი გახადა, რომ ლიონელებს ამ შეხვედრის გადარჩენა აღარ გამოუვიდოდათ. „ლიონმა" ჩემპიონთა ლიგის ზონასთან სხვაობის 4 ქულამდე შემცირების შანსი ხელიდან გაუშვა.

„მონპელიემ" საბოლოოდ დაადასტურა, რომ კრიზისი დაძლეულია და გუნდი ჩინებულ ფორმაშია. „რეიმსთან" გასვლაზე 4 გოლის გატანა ადვილი საქმე როდია. ყველაფერი **ჟორის მარვომ** დაიწყო, მერე კი **რემი კაბელიამ** გაიბრწყინა, მისმა დუბლმა ცოტა მოადუნა სტუმრები, მათ რეიმსელებს სხვაობა მინიმუმამდე შეამცირებინეს, მაგრამ ბოლოს კაბელიამ მორიგი გოლი გაატანინა შესანიშნავად ათამაშებულ **მბაიე ნიანგს. როლან კურბისმა** კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა და მისი გუნდი ნელნელა ათეულისკენ მიიწევს.

მატჩის ბოლო 40 წუთში გოლების წვიმა დაიწყო კორსიკაზეც. „ბასტიას" შინ სულ 5 გოლი გაეშვა, აქედან 3 „ლიონს" ჰქონდა გატანილი და აგერ 2 „გენგამმა" გაუტანა. თითქოს მატჩი სტუმართა 21 წლის შემტევის, **რაშიდ ალიუის** ბენეფისად უნდა ქცეულიყო, რადგან მან დუბლი გაახერხა, მაგრამ მატჩის ბოლო 10 წუთში მას გმირობა **რიად ბუდებუზმა** წაჰგვარა. „სოშოს" ყოფილმა თავდამსხმელმა ჯერ **სებასტიან სკილაჩის** გაატანინა, 88-ე წუთზე კი პენალტით მოაგებინა „ბასტიას". თუმცა საკამათო სიტუაციაში დანიშნულ თერთმეტმეტრიანს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გენგამელთა თავკაცი **ჟოსელინ გურვენეკი** აღშფოთებული გახლდათ.

„ნანტის" ამბიციებს ევროსაგზურთან დაკავშირებით ალბათ ამ ტურის მერე წერტილი უნდა დავუსვათ, რადგან „იადონები" მონბელიარში მთელი სეზონი უსუსურად მოთამაშე „სოშოსთან" დამარცხდნენ.

**გიორგი კაკაბაძე**

**პსჟ–ბორდო 2:0**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (58), 2:0 ალექსი (88)
**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - ტიაგო მოტა, მატუიდი, პასტორე (68. კაბაი), ლუკასი, კავანი (76. კავანი), იბრაჰიმოვიჩი

**ლორიანი–მონაკო 2:2**

**გოლები:** 1:0 აბუბაქარი (12), 1:1 ჟერმენი (41), 2:1 ალიადირი (73), 2:2 კურზავა (87)
**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - ფაბინიო, რაჯი, აბიდალი, კურზავა - მოუტინიო, კონდოგბია, ობადი (27. ოკამპოსი) - ჯ. როდრიგესი (62. დირარი), ჟერმენი, რივიერი (80. მარტიალი)

**ევიანი–აიაჩო 1:1**

**გოლები:** 1:0 რუბენი (85), 1:1 ტალო (90)

**ბასტია–გენგამი 3:2**

**გოლები:** 0:1 ალიუი (50), 1:1 ადამა ბა (53), 1:2 ალიუი (55), 2:2 სკილაჩი (81), 3:2 ბუდებუზი (88-პენ.)

**რეიმსი–მონპელიე 2:4**

**გოლები:** 0:1 მარვო (29), 0:2 კაბელია (46), 0:3 კაბელია (55), 1:3 აიიტე (58), 2:3 ელ კაუტარი (66-ს.კ.), 2:4 ნიანგი (69)

**სოშო–ნანტი 1:0**

**გოლი:** 1:0 სუნზუ (45)

**სტ. ეტიენი–ვალანსიენი 3:0**

**გოლები:** 1:0 კოადი (45), 2:0 კორნიე (56), 3:0 მოლო (87)

**ნიცა–ლილი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბოდმე (45)

**რენი–ლიონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ონტონჯი (22), 2:0 ტოივონენი (66)
**ლიონი (4-3-3):** ენტონი ლოპეში - ზეფანი, ბიშევაცი, უმტიტი, ბედიმო - ფოფანა, გონალონი, მალბრანკი (46. მალბრანკი) - გრენიე, ლაკასეტი (75. დანიკი), გომისი (67. ბრიანი)
**გაძევება:** უმტიტი (41. ლიონი)

**მარსელი–ტულუზი 2:2**

**გოლები:** 1:0 პაიე (7), 1:1 ბენ იედერი (11), 2:1 ვალბუენა (40), 2:2 ორიე (60)
**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ფანი, ნკულუ, ლუკაშ მენდეში, მენდი (63. ჯა ჯევჯე) - რომაო, ლემინა - ტოვენი, ვალბუენა (86. იმბულა), პაიე (71. ხელიფა) - ჟინიაკი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 23 | 16 | 6 | 1 | 54-15 | 54 |
| 2. მონაკო | 23 | 14 | 7 | 2 | 38-16 | 49 |
| 3. ლილი | 23 | 12 | 5 | 6 | 24-14 | 41 |
| 4. სტ. ეტიენი | 23 | 12 | 4 | 7 | 33-22 | 40 |
| 5. მარსელი | 23 | 10 | 6 | 7 | 33-26 | 36 |
| 6. ლიონი | 23 | 9 | 7 | 7 | 35-29 | 34 |
| 7. ბორდო | 23 | 9 | 7 | 7 | 29-25 | 34 |
| 8. ნანტი | 23 | 10 | 3 | 10 | 24-23 | 33 |
| 9. რეიმსი | 23 | 8 | 9 | 6 | 27-28 | 33 |
| 10. ლორიანი | 23 | 9 | 5 | 9 | 31-30 | 32 |
| 11. ბასტია | 22 | 8 | 6 | 8 | 27-31 | 30 |
| 12. ნიცა | 23 | 9 | 3 | 11 | 22-28 | 30 |
| 13. ტულუზი | 22 | 7 | 8 | 7 | 23-28 | 29 |
| 14. მონპელიე | 23 | 5 | 12 | 6 | 28-28 | 27 |
| 15. რენი | 23 | 6 | 9 | 8 | 25-25 | 27 |
| 16. გენგამი | 23 | 6 | 8 | 9 | 22-25 | 26 |
| 17. ევიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 21-38 | 22 |
| 18. ვალანსიენი | 23 | 4 | 6 | 13 | 22-36 | 18 |
| 19. სოშო | 23 | 3 | 6 | 14 | 17-44 | 15 |
| 20. აიაჩო | 23 | 1 | 8 | 14 | 16-40 | 11 |

**ბომბარდირები:** 18 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ); 12 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 10 - ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი).

**მომდევნო ტური.**

7 თებერვალი. ტულუზი-სტ. ეტიენი
8 თებერვალი. მარსელი-ბასტია, გენგამი-რეიმსი, აიაჩო-რენი, ლილი-სოშო, მონპელიე-ევიანი, ვალანსიენი-ნიცა
9 თებერვალი. ნანტი-ლიონი, ბორდო-ლორიანი, მონაკო-პსჟ


ზლატან იბრაჰიმოვიჩმა სეზონში მე-18 გოლი გაიტანა

ტრანსფერები. 30-31 იანვარი

ევროპაში ზამთრის სატრანსფერო სეზონი დასრულებულია. ტრადიციულად, კლუბების საკმაო ნაწილმა სულ ბოლო დღეს (ზოგმა სულაც ბოლო წუთებზე) განახორციელა ტრანსფერები. ჩვენ ბოლო დღე-ნახევრის ქრონიკას გთავაზობთ, ვინაიდან, 30 იანვრის ტრანსფერების ნაწილი უკვე გაგაცანით.



კიმ კალსტრიომი უკვე „არსენალის" ფორმით

# ზამთრის უკანასკნელი ტრანსფერები

**იანვრის მთავარი სიახლეები**

**30 იანვარი**

**ნათან დელფუნესო** (ასტონ ვილა-ქოვენთრი), იჯ.
**ლეონ კლარკი** (ქოვენ.-ვულვზი), 0,75 მლნ. ფუნტი
**კევინ გომისი** (ნიცა-ნოტინგემი), იჯ.
**პოლ მაკალუმი** (ვესტ ჰემი-ჰართსი), იჯ.
**დილან მაკგაფი** (სელტიკი-ქოვენთრი), იჯ.
**ალფრედ ნდიაიე** (სანდერლენდი-ბეტი), იჯ.
**ადელ ტაარაბტი** (ქპრ-მილანი), იჯ.
**სერჯო ფლოკარი** (ლაციო-სასუოლო)
**მატეო ბრიგი** (ტორინო-სასუოლო)
**იასმინ კურტიჩი** (სასუოლო-ტორინო), იჯ.
**ჯამარიო პისკიტელა** (რომა-ჩიტადელა), იჯ.
**უროშ რადაკოვიჩი** (ბოლონია-ნოვარა), იჯ.
**ფრანტიშეკ რაიტორალი** (პლზენი-ჰანოვერი), იჯ.
**კარლოს გრუესო** (ბარსელონა (ეკვ)-შტუტგარტი)
**ზანა ალე** (რენი-ოსერი), იჯ.
**ერიკ ფრიბერგი** (მალმიო-ბოლონია)
**ჯოზეფ იობო** (ფენერბაჰჩე-ნორვიჩი), იჯ.
**დანიელე მორი** (უდინეზე-ბრეშა)
**მიკაელ აგაცი** (კალიარი-კიევო)
**მარკო სილვესტრი** (კიევო-კალიარი), იჯ.
**ივან რადოვანოვიჩი** ბოლონია-ნოვარა), იჯ.
**კასიმ აბდალა** (მარსელი-ევიანი)
**ვინსენტ ნოგეირა** (სოშო-ფილადელფია)
**სტეფან იშიზაკი** (ელფსბორგი-გალაქსი)
**ენრიკე** (პალმეირასი-ნაპოლი)
**ესეკილ რესკალდანი** (ველესი-მალაგა)
**ბელვისი** (სელტა-პონფერადინა), თავ. აგ.
**ალექს რუბიო** (სევილია-ომონია), იჯ.

**31 იანვარი**

**პაბლო არმერო** (ნაპოლი-ვესტ ჰემი), იჯ.
**იანიკ ბასტოსი** (დეფერდანჟი-ბოლტონი)
**ტაილერ ბლეკეტი** (იუნაიტედი-ბირმინგემი), იჯ.
**დანიელ ბოატენგი** (არსენალი-ჰიბერნიანი), იჯ.
**ლაიამ ბრიდქათი** (ბრაიტ.-სანდერლ.), 3 მლნ. ფუნტი
**სემ ბირნი** (იუნაიტედი-კარლაილი), იჯ.
**კრეიგ დევისი** (ბოლტონი-პრესტონი), იჯ.
**გილერმე დელატორე** (დესპორტივო-ქპრ), იჯ.
**მოდიბო დიაკიტე** (სანდერლენდი-ფიორენტინა), იჯ.
**სამბა დიაკიტე** (ქპრ-უოტფორდი), იჯ.
**რორი დონელი** (სუონსი-ქოვენთრი), იჯ.
**კევინ დოილი** (ვულვზი-ქპრ), იჯ.
**ემანუელ ფრიმპონგი** (არსენალი-ბარნსლი)
**უეინ ჰენესი** (ვულვზი-კრ. პალასი), 3 მლნ ფ.
**ლუის ჰოლტბი** (ტოტენჰემი-ფულჰემი), იჯ.
**აარონ ჰიუზი** (ფულჰემი-ქპრ)
**კონსტანტინოს მიტროგლუ** (ოლიმპია.კ.-ფულჰ.), 11 მლნ ფ.
**ჯორჯ მონკური** (ვესტ ჰემი-პარტიკი), იჯ.
**ჯეისონ პანჩეონი** (საუთჰემპტონი-კრ. პალასი)
**დავიდ როდრიგესი** (სელტა-ბრაიტონი), თავ. აგ.
**ბიორნ სიგურდსონი** (ვულვზი-მიოლდე), იჯ.
**ინდრიხ სტანეკი** (სპარტა-ევერტონი)
**ტომ თორპი** (იუნაიტედი-ბირმინგემი), იჯ.
**უილფრიდ ზაჰა** (იუნაიტედი-კარდიფი), იჯ.
**კურტ ზუმა** (სტ. ეტიენი-ჩელსი), 12 მლნ. ფ.
**კურტ ზუმა** (ჩელსი-სტ. ეტიენი), იჯ.
**ლაურენტიუ ბრანესკუ** (იუვენტუსი-ვირტუსი)
**მოჰამედ სისოკო** (ლევანტე), თავ. აგ.
**ვიქტორი** (მალიორკა-ლევანტე), თავ. აგ.
**სამუელე ლონგო** (ინტერი-ვალეკანო), იჯ.
**ნეუტონი** (უდინეზე-ნოვარა)
**ანდრეა ბოვო** (სპეცია-პესკარა)
**ალექსის საპატა** (გრანადა-სასუოლო), იჯ.
**ინიგო პერესი** (მალიორკა-ბილბაო), იჯ. დასრ.
**ანდი პოლო ანდრადე** (სან მარტინი-ინტერი)
**ფაუზი გულამი** (სტ. ეტიენი-ნაპოლი)
**ნიკოლა პოცი** (სამპდორია-პარმა)
**სტეფანო ოკაკა** (პარმა-სამპდორია)
**მიროსლავ სტევანოვიჩი** (სევილია-ალავესი), იჯ.
**ბენუა ტრემულინასი** (დინამო კ.-სტ. ეტიენი), იჯ.
**სამირი** (დინამო ზ.-ხეტაფე)
**სიმონ ლანერი** (ვერონა-ნოვარა), იჯ.
**სედრიკ ფაურე** (გენგამი-შარლერუა), თავ. აგ.
**პაბლო დანიელ ოსვალდო** (საუთჰემ.-იუვენტ.), იჯ.
**სერხიო კანალესი** (ვალენსია-რეალ სოსიედადი)
**ჩირო პოლიტო** (ატალანტა-სასუოლო)
**ვიქტორ ობინა** (ლოკომოტივი მ.-კიევო), იჯ.
**ენის ნადარევიჩი** (ჩეზენა-ჯენოა), იჯ. დასრ.
**ტიბერიო გუარენტე** (კატანია-კიევო), იჯ.
**ენის ნადარევიჩი** (ჯენოა-ბარი), იჯ.
**იტაი შეხტერი** (ჰაპოელი თ.ა.-ნანტი), იჯ.
**მარკინიო** (რომა-ვერონა), იჯ.
**ფედერიკო მაკედა** (იუნაიტედი-ბირმინგემი), იჯ.
**რაფაელ ტოლოი** (სან პაულო-რომა), იჯ.
**ივან პილუდი** (რასინგი-ვერონა), იჯ.
**რუბენ ბენტანკური** (პსვ-ატალანტა)
**ხოან ანხელ რომანი** (ბარსელ. B-ვილიარ.), იჯ.
**ოლექსანდრ იაკოვენკო** (ფიორენტინა-მალაგა), იჯ.
**სკოტ დანი** (ბლექბერნი-კრ. პალასი)
**ერნან პერესი** (ვილიარეალი-ოლიმპიაკოსი)
**გაელ კაკუტა** (ჩელსი-ლაციო), იჯ.
**დიმიტარ ბერბატოვი** (ფულჰემი-მონაკო), იჯ.
**პაოლო კანავარო** (ნაპოლი-სასუოლო), იჯ.
**ერნანესი** (ლაციო-ინტერი)
**ფილიპ სენდეროსი** (ფულჰემი-ვალენსია)
**დიეგო რიბასი** (ვოლფსბურგი-ატლეტიკო), იჯ.
**იბსონი** (კორინთიანსი-ბოლონია), თავ. აგ.
**ოლივერ ტორესი** (ატლეტიკო-ვილიარეალი), იჯ.
**ჯოშუა გილავოგი** (ატლეტიკო-სტ. ეტიენი), იჯ.
**ალესიო სესტუ** (კიევო-სამპდორია), იჯ.
**სტეფანო ბელტრამე** (სამპდორია-ბარი), იჯ.
**ჯონ ჰეიტინგა** (ევერტონი-ფულჰემი)
**ჯუზეპე სკული** (ლაციო-ჯენოა), იჯ.
**მიხაელ რაბუშიჩი** (ლიბერეცი-ვერონა)
**აიმენ აბდენური** (ტულუზი-მონაკო), იჯ.
**ჩუ იუნ პარკი** (არსენალი-უოტფორდი), იჯ.
**თომას ინსი** (ბლექპული-კრ. პალასი), იჯ.
**ჯო ლედლი** (სელტიკი-კრ. პალასი)
**ტიევი ბიფუმა** (ესპანიოლი-ვესტ ბრომვიჩი), იჯ.
**ევერ ბანეგა** (ვალენსია-ნიუელსი), იჯ.
**კიმ კალსტრიომი** (სპარტაკი მ.-არსენალი), იჯ.
**ხუან კალა** (სევილია-კარდიფი), თავ. აგ.

**შენიშვნა:** იჯ - იჯარა; თავ. აგ - თავისუფალი აგენტი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტური

# ატლეტიკო გალიდერდა

**22-ე ტურის შემდეგ ლა ლიგაში ლიდერი შეიცვალა - შესანიშნავად მოთამაშე „ატლეტიკომ“ „სოსიედადი“ გაანადგურა, „ბარსელონას“ წაბორძიკებით ისარგებლა და ერთპიროვნულად გალიდერდა...**



მესიმ კი გაიტანა, მაგრამ „ვალენსიამ“ მაინც იძალა

## პიციმ მარტინოს მოუგო

ტურის მთავარი სენსაცია „ნოუ კამპზე“ დაფიქსირდა, სადაც სტუმრად ჩასულმა „ვალენსიამ“ მასპინძლებს სამი გოლი გაუტანა და შინ ამდენივე ქულით ხელდამშვენებული გაბრუნდა. „ღამურები“ კატალონიური გრანდის დამარცხებას 2007 წლის შემდეგ ვერ ახერხებდნენ, ბარსელონაში კი „ვალენსიას“ ბოლოს 2003 წელს ჰქონდა მოგებული.

შეხვედრის წინ უპირობო ფავორიტად „ბარსა“ მიიჩნეოდა, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ „ვალენსიამ“ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გაუშვა, სანაცვლოდ კი მხოლოდ **სეიდუ კეიტა** და **ფილიპ სენდეროსი** მიიყვანა, რომლებსაც ამ შეხვედრაში არ უთამაშიათ.

მატჩი ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო - „ბარსელონას“ შეტევებით და ანგარიშიც მალე, უკვე მე-9 წუთზე გაიხსნა. **ლიონელ მესის** და **ალექსის სანჩესის** კომბინაცია ჩილელის მორიგი, უკვე მე-13 გოლით დასრულდა. მიუხედავად ამისა, **ხუან ანტონიო პიცის** შეგირდები არ დაბნეულან და თამაში ჩვეულ რიტმში განაგრძეს. მასპინძელთა დაცვა მიუტევებელ, ბავშვურ შეცდომებს უშვებდა და შედეგად, ტაიმის ბოლოს **დანი პარეხომ** წონასწორობა აღადგინა კიდეც. თუ ბევრმა ეს გოლი უბრალო გაუგებრობად მონათლა, მეორე ტაიმის დებიუტში **პაბლო პიატიმ** ყველას დაუმტკიცა, რომ „ვალენსია“ სერიოზულად იყო განწყობილი - 1,63 მეტრის სიმაღლის შემტევმა **ვიქტორ ვალდესს** თავური დარტყმით გაუტანა და საკუთარი გუნდი წინ გაიყვანა. მართალია, მესიმ პენალტით მალე გაათანაბრა და ოქტომბრის შემდეგ ლა ლიგაში თავისი პირველი ბურთი გაიტანა, მაგრამ იქვე სტუმრები ისევ წინ გავიდნენ - **პაკო ალკასერმა** თავი ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინა.

თამაშის დასრულებამდე კიდევ ნახევარი საათი იყო დარჩენილი, მაგრამ მასპინძლებს სახიფათო მომენტების შექმნა უჭირდათ, **ალბას** გაძევების შემდეგ კი „ბარსას“ მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდა. ყველაზე რეალური მომენტი კატალონიელებს არბიტრის მიერ დამატებულ დროში ჰქონდათ, როდესაც მესის, **ინიესტას** და **დანი ალვეშის** ულამაზესი კომბინაცია არგენტინელის დარტყმით და **დიეგო ალვეშის** „სეივით“ დასრულდა. ეს გოლი რომ გასულიყო, ალბათ, სეზონის საუკეთესო ბურთი გახდებოდა. საბოლოოდ, მატჩი 2:3 დასრულდა, რითაც „ბარსელონას“ 25-მატჩიან საშინაო მოგებათა სერიას წერტილი დაესვა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **სოფიან ფეგულის** კარგი თამაში - ალჟირელმა ორი საგოლე პასი გააკეთა და ძალიან ბევრი იშრომა. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ფეგული ამ სეზონში „ღამურების“ საუკეთესო ფეხბურთელია.

## ატლეტიკომ მოიგო, რეალი ფრეს დასჯერდა

**დიეგო სიმეონეს** კრებულმა საბოლოო შედეგის მიხედვით ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და პირველ პოზიციაზეც გადავიდა. ანგარიში **დავიდ ვილიამ** გახსნა, რამდენიმე წუთში კი ტრავმა მიიღო. ბასკებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ - მეორე ნახევრის შუამდე მეტოქეს თანაბრად ეთამაშებოდნენ, მაგრამ **დიეგო კოშტას** გოლმა სტუმრებს ბრძოლის ჟინი დაუცხრო. შედეგად, მასპინძლებმა ბრავოს კარი კიდევ ორჯერ აილეს. ჯერ სეზონში თავისი პირველი გოლი **მირანდამ** გაიტანა, 87-ე წუთზე კი თავი ცვლილებაზე გამოსულმა **დიეგომ** გამოიჩინა, რომელიც მადრიდულ კლუბში ერთი დღით ადრე დაბრუნდა.

„სან მამეს ბარიაზე“ ზუსტად ისეთი მატჩი ვიხილეთ, როგორსაც ველოდით - დაძაბული და სანახაობრივი. პირველ ტაიმში „ატლეტიკი“ დიდ უპირატესობას ფლობდა და მეტოქეს მოსვენების საშუალებას არ აძლევდა. ბასკების პრესინგმა შედეგი რამდენჯერმე გამოიღო, მაგრამ **არიც ადურისმა** და **იკერ მუნიაინმა** ხელსაყრელი შანსები ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმში „სამეფო კლუბმა“ მოუმატა და ანგარიშიც გახსნა - **კრიშტიანო რონალდოს** გადაცემას **ხესე** გამოეხმაურა და მორიგი გოლი გაიტანა. ისე ჩანდა, თითქოს „რეალი“ ამ შეხვედრას დამაჯერებლად მოიგებდა, მაგრამ ყველაფერი **იბაი გომესის** მოედანზე გამოსვლამ შეცვალა. „ბილბაოს“ საუკეთესო ბომბარდირმა პირველივე შეხებით ულამაზესი გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. აღსანიშნავია, რომ „რეალმა“ 2014 წელს პირველი ბურთი გაუშვა. ამ ეპიზოდიდან რამდენიმე წუთში კი **კარლო ანჩელოტის** გუნდი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა - რონალდომ **გურპეგის** ხელი მიარტყა და არბიტრისგან წითელი ბარათი მიიღო. დარჩენილ წუთებში მასპინძლებმა მეორე გოლის გატანაც სცადეს, მაგრამ სტუმრებმა თავი დამაჯერებლად დაიცვეს და ბასკეთის დედაქალაქიდან ქულა წაიღეს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

### ბანადა-სელტა 1:2

**გოლები:** 0:1 კაბრალი (28), 1:1 ელ-არაბი (41), 1:2 ა. ფერნანდესი (88)
**გრანადა (4-3-2-1):** რობერტო - ნიომი, მაინსი, მურილიო, ანგულო - რეციო (89. მ. პერეირა), იტურა, ფრანრიკო - პიტი (68. ბუონანოტე), ბრაჰიმი - ელ-არაბი
**სელტა (4-3-2-1):** იოელი - უგო მალიო, კაბრალი, ფონტასი, ჯონი კასტრო - ა. ფერნანდესი, ბორხა ოუბინია (60. აურტენეჩე), რაფაელ ალკანტარა - ფ. ორელიანა (84. კრონ-დელი), ნოლიტო - შარლესი (53. სანტი მინა)
**გაფრთხილება:** ნიომი, მურილიო - კაბრალი, ბორხა ოუბინია, უგო მალიო, ნოლიტო
**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 17-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%
**მაყურებელი:** 16 000

### ბარსელონა-ვალენსია 2:3

**გოლები:** 1:0 ა. სანჩესი (7), 1:1 დანი პარეხო (44), 1:2 პ. პიატი (48), 2:2 მესი (54-პენ), 2:3 პაკო ალკასერი (59)
**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ბუსკეტსი, ჩავი (65. ინიესტა), ფაბრეგასი (77. ტელიო) - ა. სანჩესი, მესი, პედრო
**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რ. კოშტა, მატიო, ბერნატი - ორიოლ რომეუ, ხავი ფუეგო - ფეგული, დანი პარეხო (90. მიჩელი), პ. პიატი (87. კარტაბია) - პაკო ალკასერი (73. ე. ვარგასი)
**გაფრთხილება:** ალბა, მასკერანო - დანი პარეხო, რ. კოშტა, დიეგო ალვეში
**გაძევება:** ალბა (78. ბარსელონა)
**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 18-8; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 20-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 65%-35%
**მაყურებელი:** 66 969

### ლევანტე-ვალეკანო 0:0

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვინტრა, დ. ნავარო, ხუანფრანი - პ. დიოპი, სიმაო ჟუნიორი - სუმეტრა (54. რუბენ გარსია), ელ ჟარი (80. პედრო რიოსი), ივანშიტცი (58. ბ. დიავარა) - ბარალი
**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, ზე კასტრო, საულ ნიგესი, არბილია - რაულ ბაენა, ტრაშორასი - რუბენ როჩინა (64. ბუენო), ხ. ვიერა (83. ლონგო), იაგო ფალკე (60. ბანგურა) - ლარივეი
**გაფრთხილება:** ბარალი, სიმაო ჟუნიორი - რუბენ როჩინა, ბანგურა, ტიტო
**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 23-20; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 11-17 (2-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%
**მაყურებელი:** 18 500

### ხეტაფე-ვალიადოლიდი 0:0

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ა. აროიო, ლისანდრო ლოპესი, რაფა, რ. ლაგო - ბორხა, მიჩელი (81. გაეილანი) - პედრო ლეონი, ლაფიტა (58. პ. სარაბია), დიეგო კასტრო - მარიკა
**ვალიადოლიდი (4-3-2-1):** დიეგო მარინიო - რუკავინა, ხესუს რუედა, ს. მიტროვიჩი, პენია - ა. რუბიო, ფ. როსი (78. რამა), ვიქტორ პერესი (87. სასტრე) - დ. ლარსონი (75. მანუჩო), ომარ რამოსი - ხავი გერა
**გაფრთხილება:** რ. ლაგო, ლისანდრო ლოპესი - პენია, ხავი გერა, რუკავინა
**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 7-10 (1-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%
**მაყურებელი:** 1 583

### მალაგა-სევილია 3:2

**გოლები:** 1:0 დუდა (31-პენ), 1:1 ბაკა (49), 1:2 ფასიო (66), 2:2 სამუ (77), 3:2 დუდა (83)
**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ფლავიო, ანტუნეში - ი. კამაჩო, ტისონე (72. პ. პერესი) - ამრაბატი, დუდა, ელიზეუ (64. სამუ) - ხუანმი (72. ელ ჰამდაუი)
**სევილია (4-2-3-1):** ბეტუ - კოკე (46. დიოგო ფიგეირაში), ფასიო, პარეხა, ფ. ნავარო - იბორა, რაკიტიჩი - ხ. რეიესი (46. გამეირო), ვიტოლო (74. ჩერიშევი), ა. მორენო - ბაკა
**გაფრთხილება:** ანტუნეში, ელიზეუ, დუდა, სერხიო სანჩესი - კოკე, ა. მორენო, ვიტოლო, იბორა, ბაკა
**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 14-11 (7-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%
**მაყურებელი:** 30 377

### ელჩე-ალმერია 1:0

**გოლი:** 1:0 კრისტიან ერერა (59)
**ელჩე (4-2-3-1):** ტონიო - დ. სუარესი, ბოტია (79. პელეგრინი), ლომბანი, ედუ ალბაკარი - რუბენ პერესი, ხავი მარკესი - კარლეს ხილი, კორომინასი, მანუ დელ მორალი (70. ფიდელი) - კრისტიან ერერა (84. კ. სანჩესი)
**ალმერია (4-3-2-1):** ესტებანი - მანე, ტორსილიერი, ტრუხილიო, რაფიტა - ტებარი (64. სორიანო), აზიზი, ვერსა - ალექს ვიდალი (76. ოსკარ დიასი), სუსო (64. ელდერ ბარბოსა) - ზონგო
**გაფრთხილება:** ხავი მარკესი, ედუ ალბაკარი, რუბენ პერესი, დ. სუარესი - სუსო, აზიზი, ტორსილიერი
**გაძევება:** დ. სუარესი (90. ელჩე)
**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 13-10 (5-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%
**მაყურებელი:** 20 547

### ბეტისი-ესპანიოლი 2:0

**გოლები:** 1:0 რუბენ კასტრო (71), 2:0 რუბენ კასტრო (89)
**ბეტისი (4-2-3-1):** ადანი - ხუანფრანი, ამაია, ა. ნდიაიე, ხ. ფიგერასი - სალვა სევილია (78. ნოსა იგიებორი - 84. მატილია), ლ. რეიესი - ჩული (59. ლეო ბაპტიშტაო), ვერდუ, ხუან კარლოსი - რუბენ კასტრო
**ესპანიოლი (4-3-2-1):** კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, ე. მორენო, ვიქტორ ალვარესი (70. ხუან ფუენტესი) - ვიქტორ სანჩესი, რაულ როდრიგესი, დავიდ ლოპესი (66. აბრაჰამი) - სერხიო გარსია, სიმაო - ჯ. კორდობა (61. სტუანი)
**გაფრთხილება:** სალვა სევილია, ლ. რეიესი, ხ. ფიგერასი - ვიქტორ სანჩესი
**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 13-6 (3-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%
**მაყურებელი:** 32 000

### ატლეტიკო-სოსიედადი 4:0

**გოლები:** 1:0 ვილია (38), 2:0 დიეგო კოშტა (72), 3:0 მირანდა (74), 4:0 დიეგო (87)
**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ე. ინსუა - ხ. სოსა (59. დიეგო), მ. სუარესი, გაბი, კოკე (80. კ. როდრიგესი) - ვილია (42. რაულ გარსია), დიეგო კოშტა
**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ანსოტეგი, ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - სურუტუსა (65. აგირეჩე), რუბენ პარდო - იონ გასტანიაგა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი (81. სეფეროვიჩი) - ველა (81. გ. კასტრო)
**გაფრთხილება:** მირანდა, კოკე, რაულ გარსია - სურუტუსა, ი. მარტინესი
**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 12-10 (6-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%
**მაყურებელი:** 51 800

### ბილბაო-რეალი 1:1

**გოლები:** 0:1 ხესე როდრიგესი (65), 1:1 იბაი გომესი (73)
**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - დე მარკოსი (58. ირაოლა), გურპეგი, ლაპორტი, ბალენსიაგა - იტურასპე, მიკელ რიკო (87. ბენიატი) - სუსაეტა, ანდერ ერერა, მუნიაინი (73. იბაი გომესი) - ადურისი
**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - დანიელ კარვახალი (90. ვარანი), პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი - ხესე როდრიგესი (83. ილიარამენდი), დი მარია, კრიშტიანო რონალდო - ბენზემა (87. მორატა)
**გაფრთხილება:** იტურასპე - ჩაბი ალონსო
**გაძევება:** კრიშტიანო რონალდო (76. რეალი)
**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%
**მაყურებელი:** 47 000

**3 თებერვალი**

| | |
|---|---|
| ვილიარეალი-ოსასუნა | 01:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 22 | 18 | 3 | 1 | 56-14 | 57 |
| 2. ბარსელონა | 22 | 17 | 3 | 2 | 59-16 | 54 |
| 3. რეალი | 22 | 17 | 3 | 2 | 61-22 | 54 |
| 4. ბილბაო | 22 | 13 | 4 | 5 | 42-28 | 43 |
| 5. ვილიარეალი | 21 | 11 | 4 | 6 | 39-22 | 37 |
| 6. სოსიედადი | 22 | 10 | 6 | 6 | 42-34 | 36 |
| 7. სევილია | 22 | 8 | 7 | 7 | 41-37 | 31 |
| 8. ვალენსია | 22 | 8 | 4 | 10 | 31-35 | 28 |
| 9. ლევანტე | 22 | 7 | 7 | 8 | 22-30 | 28 |
| 10. ესპანიოლი | 22 | 7 | 5 | 10 | 25-29 | 26 |
| 11. სელტა | 22 | 7 | 4 | 11 | 29-35 | 25 |
| 12. ხეტაფე | 22 | 7 | 4 | 11 | 22-34 | 25 |
| 13. მალაგა | 22 | 6 | 6 | 10 | 22-29 | 24 |
| 14. გრანადა | 22 | 7 | 3 | 12 | 20-29 | 24 |
| 15. ელჩე | 22 | 6 | 6 | 10 | 20-32 | 24 |
| 16. ოსასუნა | 21 | 6 | 4 | 11 | 18-34 | 22 |
| 17. ალმერია | 22 | 6 | 4 | 12 | 22-41 | 22 |
| 18. ვალიადოლიდი | 22 | 4 | 8 | 10 | 24-37 | 20 |
| 19. ვალეკანო | 22 | 5 | 2 | 15 | 21-51 | 17 |
| 20. ბეტისი | 22 | 3 | 5 | 14 | 20-47 | 14 |

**ბომბარდირები:** 22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 20 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 14 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 13 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 12 - პედრო (ბარსელონა), იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი); 11 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ხავი გერა (ვალიადოლიდი)

**მომდევნო ტური**

7 თებერვალი: **ესპანიოლი-გრანადა**
8 თებერვალი: **ვალენსია-ბეტისი, რაიო ვალეკანო-მალაგა, რეალი-ვილიარეალი, ალმერია-ატლეტიკო**
9 თებერვალი: **ოსასუნა-ხეტაფე, ვალიადოლიდი-ელჩე, სოსიედადი-ლევანტე, სევილია-ბარსელონა**
10 თებერვალი: **სელტა-ბილბაო**

**სეგუნდა დივიზიონი. XXIV ტური**

**რეალი B-ერკულესი** 4:0
**გოლები:** 1:0 დერიკი (22), 2:0 რაულ დე ტომასი (41), 3:0 ხოსე როდრიგესი (51), 4:0 ლუკას ვასკესი (90)

**დეპორტივო-საბადელი** 2:1
**გოლები:** 1:0 დიოგო სალომაო (55), 2:0 ტოჩე (83), 2:1 ტანაბე (86)

**ეიბარი-ლას პალმასი** 1:0
**გოლი:** 1:0 იური (30)

**პონფერადინა-მურსია** 2:0
**გოლები:** 1:0 იური (4-პენ), 2:0 აკორანი (86)

**მალიორკა-სპორტინგი** 1:3
**გოლები:** 0:1 ნაჩო კასესი (44), 0:2 კანელია (54), 1:2 გეიხო (89), 1:3 კარლოს კარმონა (90)

**სარაგოსა-ბარსელონა B** 0:2
**გოლები:** 0:1 დენის სუარესი (6), 0:2 ადამა ტრაორე (60)

**ალავესი-კორდობა** 1:1
**გოლები:** 0:1 პელაიო (23), 1:1 ვიგერა (36)

**ტენერიფე-მირანდესი** 3:0
**გოლები:** 1:0 კარლოს რუისი (36), 2:0 სუსო სანტანა (77), 3:0 აიოსე პერესი (79)

**უელვა-ალკორკონი** 2:1
**გოლები:** 1:0 ხესუს ვასკესი (44), 1:1 კაბრერო (89-საკ. კარში), 2:1 ფერნანდო ვეგა (90)

**ნუმანსია-ჟირონა** 0:0
**ხაენი-ლუგო** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 24 | 12 | 6 | 6 | 26-17 | 42 |
| 2. სპორტინგი | 24 | 10 | 10 | 4 | 40-30 | 40 |
| 3. ეიბარი | 24 | 11 | 6 | 7 | 30-21 | 39 |
| 4. უელვა | 24 | 10 | 7 | 7 | 38-34 | 37 |
| 5. სარაგოსა | 24 | 10 | 6 | 8 | 30-27 | 36 |
| 6. კორდობა | 24 | 9 | 7 | 8 | 28-26 | 34 |
| 7. ლუგო | 24 | 9 | 7 | 8 | 25-24 | 34 |
| 8. ლას პალმასი | 24 | 9 | 7 | 8 | 25-26 | 34 |
| 9. მალიორკა | 24 | 9 | 7 | 8 | 34-39 | 34 |
| 10. ნუმანსია | 24 | 7 | 12 | 5 | 26-23 | 33 |
| 11. ტენერიფე | 24 | 9 | 6 | 9 | 26-28 | 33 |
| 12. პონფერადინა | 24 | 8 | 8 | 8 | 29-25 | 32 |
| 13. ბარსელონა B | 24 | 9 | 4 | 11 | 31-32 | 31 |
| 14. საბადელი | 24 | 9 | 4 | 11 | 30-34 | 31 |
| 15. მურსია | 24 | 6 | 12 | 6 | 31-30 | 30 |
| 16. ხაენი | 24 | 8 | 6 | 10 | 27-29 | 30 |
| 17. ალკორკონი | 24 | 7 | 7 | 10 | 23-23 | 28 |
| 18. ერკულესი | 24 | 7 | 7 | 10 | 27-40 | 28 |
| 19. ალავესი | 24 | 6 | 9 | 9 | 35-35 | 27 |
| 20. მირანდესი | 24 | 7 | 6 | 11 | 23-30 | 27 |
| 21. რეალი B | 24 | 8 | 3 | 13 | 27-33 | 27 |
| 22. ჟირონა | 24 | 5 | 11 | 8 | 25-30 | 26 |

**ბომბარდირები:** 16 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 15 - ვიგერა (ალავესი); 13 - კიკე (მურსია); 11 - ხერარდი (მალიორკა); 10 - მეხია (ხაენი), აიოსე პერესი (ტენერიფე)

**პორტუგალია**

**პრიმეირა ლიგა. XVII ტური**

**ეშტორილი-არუკა** 1:1
**გოლები:** 1:0 სება (36), 1:1 რობერტო (78)

**მარიტიმო-პორტუ** 1:0
**გოლი:** 1:0 დერლეი (13-პენ)
**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, მაიკონი (83. ლიკა), მანგალა, ალექს სანდრო - დეფური (62. კინტერო), კარლოს ედუარდო, ჟოსუე - კვარეშმა, ვარელა (72. გილასი), ჯ. მარტინესი

**სეტუბალი-რიო ავე** 2:0
**გოლები:** 1:0 რაფაელ მარტინში (1), 2:0 რაფაელ მარტინში (31-პენ)
**გაძევება:** ნუნუ ლოპეში (69. რიო ავე), ედიმარ ფრაგა (70. რიო ავე)

**ჟილ ვისენტე-ბენფიკა** 1:1
**გოლები:** 0:1 ლიმა (62-პენ), 1:1 ვიტორ გონსალვეში (73)
**ბენფიკა (4-3-3):** ობლაკი - მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა - ფეიოსა, ე. პერესი (90. ჯურიჩიჩი), გაიტანი - ლიმა, როდრიგო (74. კარდოსო), ლ. მარკოვიჩი (80. ივან კავალეირო)
გამოუყენებელი პენალტი: კარდოსო (90+5. ბენფიკა)
**გაძევება:** სიკეირა (58. ბენფიკა)
**შენიშვნა:** **ავთო ებრალიძე** პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს

**ბელენენსეში-ბრაგა** 2:1
**გოლები:** 1:0 მიგელ როსა (50), 2:0 ფილიპე ფერეირა (58), 2:1 ალანი (68)

**სპორტინგი-აკადემიკა** 0:0
**სპორტინგი (4-3-3):** რუი პატრისიო - სედრიკი, მაურისიო, როხო, ჟეფერსონი (63. ე. დაიერი) - ადრიენ სილვა, ანდრე მარტინში (59. სლიმანი), ვილიამი - ვილსონ ედუარდო (71. დიეგო კაპელი), კარლოს მანე, ფ. მონტერო

**3 თებერვალი**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-ნასიონალი | 00:00 |

**4 თებერვალი**

| | |
|---|---|
| პ. ფერეირა-ოლიანენსე | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 17 | 12 | 4 | 1 | 32-13 | 40 |
| 2. სპორტინგი | 17 | 11 | 5 | 1 | 35-10 | 38 |
| 3. პორტუ | 17 | 11 | 3 | 3 | 32-12 | 36 |
| 4. ეშტორილი | 17 | 7 | 6 | 4 | 26-19 | 27 |
| 5. გიმარაეში | 16 | 8 | 2 | 6 | 17-13 | 26 |
| 6. ნასიონალი | 16 | 6 | 7 | 3 | 23-17 | 25 |
| 7. ბრაგა | 17 | 7 | 2 | 8 | 22-20 | 23 |
| 8. აკადემიკა | 17 | 6 | 4 | 7 | 12-20 | 22 |
| 9. რიო ავე | 17 | 6 | 3 | 8 | 13-18 | 21 |
| 10. მარიტიმო | 17 | 5 | 5 | 7 | 25-30 | 20 |
| 11. ჟილ ვისენტე | 17 | 5 | 4 | 8 | 14-22 | 19 |
| 12. სეტუბალი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-28 | 19 |
| 13. არუკა | 17 | 4 | 4 | 9 | 15-22 | 16 |
| 14. ბელენენსეში | 17 | 3 | 6 | 8 | 11-20 | 15 |
| 15. ოლიანენსე | 16 | 3 | 3 | 10 | 10-25 | 12 |
| 16. პ. ფერეირა | 16 | 2 | 4 | 10 | 13-30 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ), ფრედი მონტერო (სპორტინგი); 9 - ელდონი (მარიტიმო/სპორტინგი), დერლეი (მარიტიმო); 8 - ლიმა (ბენფიკა)

გახსენება

# ესპანეთმა ლეგენდა დაკარგა

შაბათს, მადრიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში, 75 წლისა გარდაიცვალა **ლუის არაგონესი** - ადამიანი, რომელმაც მსოფლიოს სცენაზე ესპანეთის ნაკრების დომინაციას ჩაუყარა საფუძველი. ყოფილი ფეხბურთელის და მწვრთნელის გარდაცვალების მიზეზი ლეიკემია გახდა. დაავადება განსაკუთრებით ბოლო ორი თვის განმავლობაში გამწვავდა.

ამ სამწუხარო ფაქტს უამრავი ფეხბურთელი თუ ფეხბურთში მოღვაწე ხელმძღვანელი გამოეხმაურა. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებიდან დაწყებული, ფიფას პრეზიდენტით დამთავრებული, თავისი პატივისცემა არაგონესის მიმართ ყველამ გამოხატა. განცხადება გააკეთეს მადრიდის „ატლეტიკოს“ მთავარმა მწვრთნელმა **დიეგო სიმეონემ** და გუნდის კაპიტანმა **გაბიმ**:

დიეგო სიმეონე: *„ატლეტიკოს“ ოჯახის ყველა წევრი დამწუხრებულია. კლუბმა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა დაკარგა“*

გაბი: *„ის „ატლეტიკოს“ ნებისმიერი ფეხბურთელისთვის თუ მწვრთნელისთვის სამაგალითო პიროვნება იყო - კლუბის ნამდვილი ლეგენდა“.*

დიახ, არაგონესი „როხიბლანკოს“ ლეგენდა გახლავთ. ფეხბურთელობისას, მადრიდში დაბადებული ფორვარდი „ატლეტიკოში“ 26 წლის ასაკში, 1964 წელს მივიდა და კარიერის ბოლომდე (1974) ამ კლუბს ემსახურა. ლა ლიგის 372 შეხვედრაში არაგონესმა 172 გოლი გაიტანა და „ატლეტიკოს“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ეს წოდება მას დღემდე ეკუთვნის, აი, ჩატარებული მატჩების მიხედვით კი ის მე-7 ადგილზეა.

კარიერის დასრულების შემდეგ არაგონესი გუნდის მწვრთნელი გახდა და 1980 წლამდე იკავებდა ამ პოსტს. ამ პერიოდის გარდა, ის მადრიდულ კლუბს კიდევ სამჯერ (1982-87, 1991-93, 2001-03) ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, არაგონესი „ბეტისის“, „ბარსელონას“, „ესპანიოლის“, „სევილიას“, „ვალენსიას“, „ოვიედოს“ და „მალიორკას“ თავკაცი გახლდათ. 2004-08 წლებში ლუისი ესპანეთის ნაკრების დამრიგებელი იყო, რომელსაც 2008 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, კარიერა კი მან „ფენერბაჰჩეში“ დაასრულა.

ფეხბურთელის კარიერის დროს, არაგონესმა „ატლეტიკოსთან“ ერთად სამჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ორჯერ ქვეყნის თასის მფლობელი გახდა. მწვრთნელობისას კი მშობლიურ კლუბს საკონტინენტთაშორისო თასი (1974) მოაგებინა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე იყო ლა ლიგის ერთი (1977 წელს) და ესპანეთის თასის სამი (1976, 1985, 1992) ტიტული, თანაც „როხიბლანკომ“ მისი ხელმძღვანელობით თასი სამ სხვადასხვა ათწლეულში მოიგო, რაც უნიკალური შემთხვევაა.

შედარებით ახალგაზრდა ქომაგები მას „მალიორკაში“ და ესპანეთის ნაკრებში გაწეული სამუშაოთი იცნობენ. „ფურია როხას“ დომინაციას საფუძველი სწორედ არაგონესმა ჩაუყარა, როდესაც ამ ქვეყნის მუდმივი პრობლემა მოაგვარა, ნაკრების ფეხბურთელები გააერთიანა და 2008 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. ლეგენდარული ფეხბურთელის და მწვრთნელის გარდაცვალების ფაქტს სხვებთან ერთად ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი, **ვისენტე დელ ბოსკეც** გამოეხმაურა:

*„ყველაფერი დილის 7 საათზე გავიგე. ვიცოდი, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი თუ საქმე აქამდე მივიდოდა. ესპანურმა ფეხბურთმა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი დაკარგა“.*

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური

# ბაიერნს უკვე წინასწარ ნებდებიან!

მიუნხენის „ბაიერნი" ვერც ფრანკფურტის „აინტრახტმა" შეაჩერა. მეტიც: ფრანკფურტელთა დამრიგებელ **არმინ ფეჰს** რეკორდმაისტერთან კაპიტულაცია, ფაქტობრივად, მატჩის დაწყებამდე ჰქონდა გამოცხადებული: მან ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები, **სამბრანო** და **როდე** სათადარიგოთა სკამზე დატოვა - ყვითლების მიღების შემთხვევაში ორივე დისკვალიფიკაციას მიიღებდა. აღარც 5:0 გაჰკვირვებია ვინმეს და არც ის, რომ მიუნხენურმა გრანდმა ბუნდესლიგაში ზედიზედ 44-ე მატჩი არ წააგო.

**ხოსეპ გვარდიოლამ ტონი კროოსი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა. არადა, მანამდე პეპმა ტონი ზედიზედ შვიდ თამაშში სასტარტოში ათამაშა. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, ეს გვარდიოლას პასუხია იმაზე, რაც კროოსმა წინა მატჩში ჩაიდინა: მან შეცვლის დროს ხელთათმანები უშნოდ მოისროლა. ამასთან, არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ კროოსის მიუნხენიდან წასვლა თითქმის გადაწყვეტილია. ამბობენ, ტონი ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ ძალიან მაღალ ხელფასს ითხოვსო, „ბაიერნის" ბოსებმა კი მასთან მოლაპარაკებები შეაჩერეს. ამავდროულად, ინგლისური პრესის ინფორმაციით, მანჩესტერული გრანდები, „სიტი" და „იუნაიტედი" მზად არიან, მიუნხენურ კლუბს კროოსში 30 მილიონი გადაუხადონ.

გერმანიის ჩემპიონატის მე-19 ტურის მთავარი თემა „ჰამბურგის" ბედოვლათობა გახდა. მდიდარი ისტორიის მქონე ჩრდილოგერმანულმა კლუბმა, რომელიც ერთადერთია ბუნდესლიგის ისტორიაში, ვინც ყოველთვის ელიტაში თამაშობდა, „ჰოფენჰაიმთან" 0:3 წააგო და დაქვეითების რეალური საფრთხის წინაშე დადგა. „ჰამბურგი" ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და ქაოტური გუნდი იყო და ახლო წარსულშიც არაერთხელ ემუქრებოდა ელიტიდან გავარდნის საფრთხე, მაგრამ ის ასეთი უსუსური არასდროს ყოფილა. ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე თამამად წერენ, რომ „ჰამბურგს" ბუნდესლიგაში ყველაზე ზარმაცი ფეხბურთელები და მწვრთნელი ჰყავს.

წინა ტურში, „შალკესთან" განცდილი კრახის შემდეგ, ჰოლანდიელმა სპეციალისტმა **ბერტ ვან მარვეიკმა** შეგირდებს ორი დღე დასვენების საშუალება მისცა, თავად კი სამშობლოში გაემგზავრა - ასევე დასასვენებლად. მისი ლოგიკით, პრობლემები დიდი დატვირთვების ბრალი იყო. თუმცა გუნდს ამანაც ვერ უშველა და „შალკესთან" 0:3-ს „ჰოფენჰაიმთან" 0:3 მოჰყვა. ვან მარვეიკის ლოგიკას თუ მივყვებით, მისმა გუნდმა ახლა ხუთშაბათამდე უნდა დაისვენოს. პარასკევს და შაბათს ბუნდესლიგაში 12-მა კლუბმა ითამაშა და მათგან ყველაზე გამოფიტული სწორედ „ჰამბურგი" გახლდათ: „ჰოფენჰაიმთან" ფეხბურთელებმა ჯამში 114.1 კილომეტრი ირბინეს, რაც ყველაზე უარესი და თავად „ჰოფენჰაიმის" ჯამურ მაჩვენებელზე 9 კილომეტრით ნაკლებია. მომდევნო შაბათს „ჰამბურგი" „ჰერტას" ხვდება. იმედია, მოთამაშეებს გასახდელიდან მოედნამდე გასავლელი მანძილი ზედმეტად გრძელი არ მოეჩვენათ და მატჩიც როგორმე შედგება.

„ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა კი უკვე მართლა აღარ იციან, რა მოიმოქმედონ. ისევ მწვრთნელი გაუშვან? შესაძლოა, ეს ვან მარვეიკს გაუხარდეს კიდეც. ფეხბურთელები გაუშვან და ახალგაზრდებით იბრძოლონ? ასე გუნდი ნამდვილად გავარდება. ფაქტი ის არის, რომ „ჰამბურგში" განგაშის დროა. იმიტომ, რომ პირველი მეტ-ნაკლებად რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ 72-ე წუთზეღა შექმნეს. კარში ზუსტი დარტყმების რაოდენობა გაინტერესებთ? ნული! ფანები? მათი მოთმინების ფიალა უკვე დიდი ხანია, აივსო. ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ ბუნდესლიგის უკანასკნელი დინო მე-16 ადგილზე რჩება, „ჰოფენჰაიმი" კი ამ მოგებით ცოტათი ზემოთ აძვრა. „ჰამბურგის" ლიდერმა და კაპიტანმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** მატჩის შემდეგ ხმა აიმაღლა, კატასტროფულ მდგომარეობაში ვართო, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ ვან დერ ვაარტიც კატასტროფულად თამაშობს.


ბაიერნი-აინტრახტი. პირმინ შვეგლერისა (№27) და ფრანკ რიბერის ორთაბრძოლა

## დორტმუნდი კრიზისიდან გამოდის?

ტური „დორტმუნდის" გამარჯვებით დაიწყო - 4-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, „ბორუსიამ" ნავსი ბრაუნშვაიგში გატეხა, მატჩის გმირი კი **პიერ-ემერიკ ობამეიანგი** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა. დორტმუნდელებს ჩემპიონობაზე ხელი უკვე ჩაქნეული აქვთ და ამდენად, ბრაუნშვაიგში მოპოვებულ სამ ქულაზე მეტად ის გაუხარდათ, რომ დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი** 9-კვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მოედანზე დაბრუნდა და პირველივე შეხვედრა კარგად ჩაატარა. ჰუმელსის გამოჯანმრთელებამ **იურგენ კლოპს** სულზე მიუსწრო - 10 თამაშია, დორტმუნდელებს საკუთარი კარი მშრალად არ შეუნახავთ.

## როგორც იქნა: კისლინგმა გაიტანა!

კრიზისიდან გამოვიდა „ლევერკუზენის" გოლეადორი **შტეფან კისლინგი**, რომელმაც „შტუტგარტთან" 409-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა. შვაბები „ბაიარენაზე" **ლაიტნერის** გოლით იგებდნენ და ანგარიში სწორედ შტეფანმა გაათანაბრა (მე-10 გოლი ამ სეზონში), გამარჯვების გოლი კი **ერენ დერდიოკის** ანგარიშზეა. კისლინგს მანამდე ზედიზედ ოთხ შეხვედრაში ვერ გაჰქონდა და რომელ გუნდთან უნდა დაესრულებინა ნეგატიური სვლა, თუ არა „შტუტგარტთან", რომლის წინააღმდეგაც 17 შეხვედრაში 14 გოლი (!) აქვს გატანილი? გარდა ამისა, კისლინგმა ერთი საინტერესო რეკორდიც დაამყარა: შტეფანმა საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში დალაშქრა ერთი და იმავე გუნდის კარი - „შტუტგარტი" კისლინგის საყვარელი მეტოქეა.

აქამდე ეს რეკორდი ისეთ ლეგენდარულ გერმანელ ფორვარდებს ეკუთვნოდათ, როგორებიც **გერდ მიულერი** (გლადბახთან) და **კლაუს ფიშერი** (შტუტგარტთან) იყვნენ. საერთო ჯამში კი კისლინგს ბუნდესლიგაში 121 გოლი დაუგროვდა, რითაც ისეთ ლეგენდებს გაუთანაბრდა, როგორებიც **ლოთარ მათეუსი** და **მიროსლავ კლოზე** არიან.

## შალკე მეოთხეზე, აუგსბურგი აღარ ხუმრობს

ამრიგად, „ლევერკუზენმა" „დორტმუნდთან" 4-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. „ბორუსიას" ფეხდაფეხ მისდევს „შალკეც": გელზენკირხენულმა კლუბმა „ვოლფსბურგთან" უპრინციპულესი დუელი მოიგო (2:1) და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. „შალკე" თავიდან **ფელიპე სანტანას** გოლით იგებდა, მაგრამ 50-ე წუთიდან ათი კაცით დარჩენილმა „მგლებმა" (**კალიჯური** გააძევეს) წონასწორობის აღდგენა მოახერხეს. "შალკემ" მაინც მოიგო, ეს **კევინ-პრინს ბოატენგის** დამსახურებაა. გამარჯვებით „შალკე" მე-4 ადგილზე ალზევდა და უკან მოიტოვა „გლადბახი", რომელიც შაბათს ჰანოვერში დამარცხდა. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ „ჰანოვერის" ახალი თავკაცი **ტაიფუნი** „ჯერ კიდევ კარგად გვის", მიონხენგლადბახელებს კი მცირე კრიზისი აქვთ.

ამასობაში, „აუგსბურგი" სენსაციურ სლალომს აგრძელებს. შვაბებმა ამ უქმეებზე „ვერდერი" 3:1 დაამარცხეს და უკვე 7-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ, რაც „აუგსბურგის" ისტორიაში პირველი შემთხვევაა. თუმცა ამ გამარჯვებაში აუგსბურგელებს თავად ბრემენელებიც მშვენივრად მიეხმარნენ - **გარსიამ** წითელი ბარათი „აიკიდა", მესამე გოლი კი ბრემენელთა მეკარე **ვოლფის** სინდისზეა. ამრიგად, „აუგსბურგს" ევროპალიგაზე მოხვედრის ისტორიული შანსი გაუჩნდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




### ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი 1:2

**გოლები:** 0:1 ობამეიანგი (31), 1:1 კესელი (54), 1:2 ობამეიანგი (65)

**ბრაუნშვაიგი (4-2-2-1-1):** დავარი - კესელი, ბიჩაქჩიჩი, დოგანი, რაიხელი - თოიერკაუფი, ბოლანდი (78. პფიტცნერი) - ელაბდელაუი (73. კუმბელა), ჰოხშაიდტი - ნილსენი - ადემი (67. ბელარაბი).

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი (84. პიშჩეკი), სოკრატისი, ჰუმელსი, შმელცერი - ნ. შაჰინი, ს. ბენდერი (90. კელი) - ობამეიანგი, მხითარიანი (93. დუკში), როისი - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** მხითარიანი

**კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16(5)-20(6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 23 325

### შალკე-ვოლფსბურგი 2:1

**გოლები:** 1:0 ფელიპე სანტანა (9), 1:1 არნოლდი (65), 2:1 კ. ბოატენგი (81)

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - ჰიოვედესი, მატიპი, ფელიპე სანტანა, კოლასინაცი (84. ჰუგლანდი) - კ. ბოატენგი (87. აიჰანი), ნოიშტედტერი - ფარფანი, მ. მაიერი, ობასი (60. გორეტცკა) - ჰუნტელაარი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ოხსი, ნალდო, კნოხე (87. ევსეევი), როდრიგესი - არნოლდი (89. ტრეში), ლუის გუსტავო - დ. კალიჯური, დე ბრუინი, პერიშიჩი - ოლიჩი (59. დოსტი).

**გაფრთხილება:** ობასი, ნოიშტედტერი, კოლასინაცი - ნალდო, დე ბრუინი, ოხსი

**გაძევება:** დ. კალიჯური (50. ვოლფსბურგი)

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13(6)-10(6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 61 142

### ლევერკუზენი-შტუტგარტი 2:1

**გოლები:** 0:1 ლაიტნერი (12), 1:1 კისლინგი (26), 2:1 დერდიოკი (84)

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - ჰილბერტი, თოფრაქი, სპაჰიჩი, ჩანი - რაინარტცი (46. სემი) - ლ. ბენდერი, როლფესი - კასტრო, სონი (75. დერდიოკი) - კისლინგი (90. ვოლშაიდი).

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი - გ. საკაი, შვააბი, რიუდიგესი, რაუში - რ. ხედირა (89. კაკაუ), ლაიტნერი - ჰარნიკი (62. მაქსიმი), ტი. ვერნერი (79. ტრაორე) - იბიშევიჩი, აბდელაუ.

**გაფრთხილება:** სპაჰიჩი, დერდიოკი - რ. ხედირა, ლაიტნერი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 11(5)-10(3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 28 714

### ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი 3:0

**გოლები:** 1:0 რობერტო ფირმინო (4), 2:0 ზიულე (44), 3:0 ბეკი (60)

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** კასტეელსი - შტრობლი, აბრაამი, ზიულე, ბეკი - პოლანსკი, რუდი (90. ვესტერგაარდი) - ფოლანდი, ჰერდლინგი (87. ელიუნუსი), სალიჰოვიჩი (85. ჰამადი) - რობერტო ფირმინო.

**ჰამბურგი (4-2-3-1):** დრობნი - დიკმაიერი, თაა, ვესტერმანი, ლამი - ბადელი, ბუი (73. არსლანი) - ჯონი (57. ილიჩევიჩი), ვან დერ ვაარტი, ჩალჰანოღლუ - ზუა.

**გაფრთხილება:** ბადელი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 26-14; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 14(7)-7(0); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 25 603

### მაინცი-ფრაიბურგი 2:0

**გოლები:** 1:0 პარკი (24), 2:0 კოო (86)

**მაინცი (4-2-3-1):** კარიუსი - პოსპეხი, ბელი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი (90. ბუნგერტი) - გაისი, პარკი - მორიტცი (75. კოხი), მალი (58. კოო), ჩუპო-მოტინგი - ოკაზაკი.

**ფრაიბურგი (3-5-2):** ბაუმანი - მუიჯა, ჰიონი, ზორგი - შმიდი, ფერნანდესი (71. ჰანკე), გინტერი, შუსტერი (46. კოკელინი), პილარი (46. კლაუსი) - მეჰმედი, დარიდა.

**გაფრთხილება:** ნოვესკი, ბელი - შუსტერი, მუიჯა

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 10-28; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 13(5)-6(1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 27 247

### აუგსბურგი-ვერდერი 3:1

**გოლები:** 0:1 კალსენ-ბრაკერი (3-საკ. კარში), 1:1 ტო. ვერნერი (11), 2:1 ჰალილ ალთინთოფი (49), 3:1 ჰანი (55)

**აუგსბურგი (4-1-4-1):** მანინგერი - ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - ჰანი, ფოგტი, ჰალილ ალთინთოფი (87. კორი), ტო. ვერნერი (78. ესვაინი) - მილიკი (69. ჟი).

**ვერდერი (4-2-3-1):** ვოლფი - გებრე სელასიე, პრიოდლი, კალდიროლა, გარსია - მაკიადი, ფ. კროოსი (46. ბარგფრედე) - ელია, იუნუზოვიჩი, დი სანტო (69. კობილანსკი) - პეტერსენი (46. შმიტცი).

**გაფრთხილება:** კორი - ფ. კროოსი, დი სანტო, კალდიროლა

**გაძევება:** გარსია (45+2. ვერდერი)

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 11-20; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 20(5)-4(0); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 28 313

### ჰანოვერი-გლადბახი 3:1

**გოლები:** 1:0 რუდნევსი (57), 2:0 მ. დიუფი (82), 2:1 მლაპა (84), 3:1 მ. დიუფი (90)

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - რაიტორალი, მარსელო, ჰოფმანი, კ. შულცი - შმიდებახი, შტინდლი - ჰუსტი (87. ანდრეასენი), ბიტენკური (92. პოკონიოლი) - რუდნევსი (89. შლაუდრაფი), მ. დიუფი.

**გლადბახი (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი - კორბი, იანჩკე, შტრანცლი, ვენდტი - ჯაკა (81. მლაპა), კრამერი - ჰერმანი (74. იუნესი), არანგო (64. ჰრგოტა) - რაფაელი - მ. კრუზე.

**გაფრთხილება:** ჰუსტი - კორბი, ჯაკა

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 9-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16(6)-12(6); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 47 000

### ჰერტა-ნიურნბერგი 1:3

**გოლები:** 1:0 რამოსი (4), 1:1 ფოილნერი (20), 1:2 დრმიჩი (68), 1:3 დრმიჩი (94-პენ)

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი - მ. ნდიენგი, ს. ლანგკამპი, ლუსტენბერგერი, ვან დერ ბერგი (23. პეკარიკი) - ჰოსოგაი (77. ვაგნერი), სკიელბრედი - ალაგუი, რონი, ნ. შულცი (71. მუხტარი) - რამოსი.

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ჩენდლერი, პეტრაკი, პინოლა, პლატენჰარდტი - ფრანტცი, ფოილნერი - დრმიჩი, კიოტაკე (82. გებჰარდტი), პლუშეკი - გინჩეკი.

**გაფრთხილება:** ვან დერ ბერგი, რონი, ლუსტენბერგერი - ფრანტცი, ფოილნერი, გებჰარტი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 17-25; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 13(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 37 438

### ბაიერნი-აინტრახტი 5:0

**გოლები:** 1:0 გიოტცე (12), 2:0 რიბერი (44), 3:0 რობენი (67), 4:0 დანტე (69), 5:0 მანჯუკიჩი (89)

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - რაფინია, ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა (75. კონტენტო) - ლამი, ტიაგო ალკანტარა - შაჩირი (65. რობენი), გიოტცე (75. პისარო), რიბერი - მანჯუკიჩი.

**აინტრახტი (4-3-1-2):** ტრაპი (77. ვიდვალდი) - ს. იუნგი, მადლუნგი, რუსი, ჯაპკა - ბარნეტა (62. აიგნერი), შვეგლერი (65. ვაისი), ფლუმი - როზენტალი - ა. მაიერი, ხოსელუ.

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 25(14)-9(3); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.

**მაყურებელი:** 71 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 19 | 17 | 2 | 0 | 51-9 | 53 |
| 2. ლევერკუზენი | 19 | 13 | 1 | 5 | 36-20 | 40 |
| 3. დორტმუნდი | 19 | 11 | 3 | 5 | 42-23 | 36 |
| 4. შალკე | 19 | 10 | 4 | 5 | 37-29 | 34 |
| 5. გლადბახი | 19 | 10 | 3 | 6 | 36-24 | 33 |
| 6. ვოლფსბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 30-24 | 30 |
| 7. მაინცი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-32 | 30 |
| 8. ჰერტა | 19 | 8 | 4 | 7 | 28-24 | 28 |
| 9. აუგსბურგი | 19 | 8 | 4 | 7 | 26-28 | 28 |
| 10. ჰანოვერი | 19 | 7 | 3 | 9 | 29-33 | 24 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 19 | 5 | 6 | 8 | 39-42 | 21 |
| 12. ვერდერი | 19 | 5 | 5 | 9 | 23-40 | 20 |
| 13. შტუტგარტი | 19 | 5 | 4 | 10 | 32-37 | 19 |
| 14. აინტრახტი | 19 | 4 | 6 | 9 | 21-34 | 18 |
| 15. ნიურნბერგი | 19 | 2 | 11 | 6 | 24-34 | 17 |
| 16. ფრაიბურგი | 19 | 4 | 5 | 10 | 19-35 | 17 |
| 17. ჰამბურგი | 19 | 4 | 4 | 11 | 33-44 | 16 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 19 | 3 | 3 | 13 | 11-34 | 12 |

**ბომბარდირები:** 12 - ადრიან რამოსი (ჰერტა); 11 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 10 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი); 9 - პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი), შინჯი ოკაზაკი (მაინცი), რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი).

### მომდევნო ტური

7 თებერვალი. გლადბახი-ლევერკუზენი.

8 თებერვალი. ვოლფსბურგი-მაინცი, ვერდერი-დორტმუნდი, ნიურნბერგი-ბაიერნი, ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი, აინტრახტი-ბრაუნშვაიგი, ჰამბურგი-ჰერტა.

9 თებერვალი. შტუტგარტი-აუგსბურგი, შალკე-ჰანოვერი.

### III ბუნდესლიგა

დარმშტადტი-უნტერჰახინგი 3:1, ჰანზა-ოსნაბრიუკი 1:1, ზაარბრიუკენი-შტუტგარტი II 0:1, შტუტ. კიკერსი-ელვერსბერგი 2:1, ჰალეშერი-ჰოლშტაინ კილი 1:0, პროისენ მიუნსტერი-ვეენი 0:1, ბურგჰაუზენი-ერფურტი 1:1, დუისბურგი-ლაიპციგი 2:1, ხემნიტცი-რეგენსბურგი 0:3, დორტმუნდი II-ჰაიდენჰაიმი 0:3.

## თურქეთი

### სუპერლიგა. XIX ტური

**ბეშიქთაში-ერჩიესი 3:2**

**გოლები:** 1:0 მანუელ ფერნანდესი (43), 2:0 ტიორე (53), 3:0 იოზიაქუფი (57), 3:1 მანგანი (68), 3:2 ვლემინკი (89)

**ქაისერი-ქასიმფაშა 0:0**

**ანთალია-გაზიანთეფი 0:1**

**გოლი:** 0:1 აბდუ რაზაკ ტრაორე (57)

**ესქიშეჰირი-ფენერბაჰჩე 2:1**

**გოლები:** 1:0 ბიენვენიუ (28), 1:1 კუიტი (42), 2:1 ზენგინი (83)

**ქარაბიუქი-ელაზიგი 3:1**

**გოლები:** 0:1 აიქი (52), 1:1 ენერამო (66), 2:1 ივესა (75-საკ. კარში), 3:1 შიმშეკი (80)

**ახიშარი-გენჩლერბირლიგი 3:1**

**გოლები:** 1:0 ვურალი (29), 2:0 ნიასე (52), 2:1 სტანჩუ (64), 3:1 ნიასე (83)

**კონია-სივასი 3:0**

**გოლები:** 1:0 კამპოსი (6), 2:0 კაბზე (25), 3:0 გეკასი (62)

**გალათასარაი-ბურსა 6:0**

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (13), 2:0 სნეიდერი (20), 3:0 ებუე (24), 4:0 სნეიდერი (43), 5:0 დროგბა (66), 6:0 ინანი (88)

### 3 თებერვალი

**რიზე-ტრაბზონი 22:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 19 | 14 | 2 | 3 | 46-22 | 44 |
| 2. გალათასარაი | 19 | 10 | 7 | 2 | 34-17 | 37 |
| 3. ბეშიქთაში | 18 | 9 | 6 | 3 | 33-20 | 33 |
| 4. სივასი | 19 | 10 | 2 | 7 | 34-26 | 32 |
| 5. ქასიმფაშა | 18 | 8 | 6 | 4 | 30-20 | 30 |
| 6. ესქიშეჰირი | 19 | 9 | 3 | 7 | 25-19 | 30 |
| 7. ქარაბიუქი | 19 | 8 | 6 | 5 | 20-18 | 30 |
| 8. ტრაბზონი | 18 | 8 | 4 | 6 | 26-22 | 28 |
| 9. ახიშარი | 19 | 8 | 4 | 7 | 25-24 | 28 |
| 10. ბურსა | 19 | 7 | 6 | 6 | 22-26 | 27 |
| 11. გაზიანთეფი | 19 | 7 | 4 | 8 | 23-31 | 25 |
| 12. გენჩლერბირლ. | 19 | 7 | 3 | 9 | 22-24 | 24 |
| 13. კონია | 19 | 7 | 2 | 10 | 26-28 | 23 |
| 14. ანთალია | 19 | 5 | 6 | 8 | 23-25 | 21 |
| 15. რიზე | 18 | 4 | 4 | 10 | 19-28 | 16 |
| 16. ელაზიგი | 19 | 5 | 1 | 13 | 22-43 | 16 |
| 17. ქაისერი | 19 | 2 | 7 | 10 | 13-31 | 13 |
| 18. ერჩიესი | 19 | 3 | 3 | 13 | 15-34 | 12 |

**ბომბარდირები:** 12 - ჩაჰეჩოუჰე (სივასი); 10 - უგო ალმეიდა (ბეშიქთაში), ბ. ილმაზი (გალათასარაი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია. სერია A XXII ტური

**ბოლონია-უდინეზე 0:2**

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (15-პენ.), 0:2 ლოპესი (90).
**ბოლონია (3-5-1-1):** კურჩი - ნატალი, ანტონსონი, კერუბინი (74. ხრისტოდოლოპულოსი) - გარიჩი (60. მოსკარდელი), კონე, პაციენცა, პერესი, მორლეო - დიამანტი - ბიანკი (68. აკვაფრესკა).
**უდინეზე (3-4-2-1):** სკუფეტი - ერტო, დანილო, დომიცი - ბასტა, ალანი (46. პინცი), ბადუ, ლაძარი - პერეირა, ფერნანდესი (66. ლოპესი) - დი ნატალე (74. მაიკოსუელი).
**გაფრთხილება:** კერუბინი, კონე, მოსკარდელი - დომიცი, პერეირა, ალანი, პინცი.
**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 8-18; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 11-4 (1-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 22 000

**კალიარი-ფიორენტინა 1:0**

**გოლი:** 1:0 პინილია (39-პენ.).
**კალიარი (4-3-1-2):** ავრამოვი - პერიკო, როსეტინი, ასტორი, მურუ - დესენა, ეკდალი, კონტი - კაბრერა (71. ვეჩინო) - საუ (77. ნენე), პინილია (84. ადრიანი).
**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - რონკალია, გონსალო, სავიჩი, ანდერსონი (53. ბორხა ვალერო) - ფერნანდესი (73. მატოსი), პისარო, აკვილანი (63. ხოაკინი) - ვარგასი, ილიჩიჩი, მატრი.
**გაფრთხილება:** როსეტინი, დესენა - გონსალო.
**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 8-6 (5-2); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.
**მაყურებელი:** 5500

**მილანი-ტორინო 1:1**

**გოლები:** 0:1 იმობილე (17), 1:1 რამი (49).
**მილანი (4-2-3-1):** აბიატი - დე შილიო, რამი, ბონერა, ემანუელსონი - მუნტარი (63. დე იონგი), მონტოლივო - ჰონდა (89. პეტანია), რობინიო (75. საპონარა), კაკა - პაცინი.
**ტორინო (3-4-1-2):** პადელი - მაქსიმოვიჩი, გლიკი, მორეტი - დარმიანი, მაზიელო, ბაშა (69. კურტიჩი), ფარნერუდი (53. ელ ქადური) - ვივესი - ჩერჩი (90. მეჯორინი), იმობილე.
**გაფრთხილება:** ბონერა, პაცინი - მაქსიმოვიჩი, ვივესი.
**კუთხური:** 13-3; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-5 (8-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.
**მაყურებელი:** 40 000

**ატალანტა-ნაპოლი 3:0**

**გოლები:** 1:0 დენისი (47), 2:0 დენისი (64), 3:0 მორალესი (70).
**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი - ბენალუანი, იეპესი (35. ლუკინი), სტენდარდო, დელ გროსო - რაიმონდი, ბაზელი (78. ჩიგარინი), ბონავენტურა, მილიაჩო - მორალესი - დენისი (85. კაცოლა).
**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მაჯო, ალბიოლი, ფერნანდესი (58. იგუაინი), რევეილერი (76. გულამი) - ინლერი, ჯემაილი (70. ფრელო) - პანდევი, კალეხონი, მერტენსი - საპატა.
**გაფრთხილება:** რევეილერი, მერტენსი (ნაპოლი).
**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 6-8 (3-3); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.
**მაყურებელი:** 25 000

**კატანია-ლივორნო 3:3**

**გოლები:** 0:1 ემეგარა (51), 1:1 ბერგესიო (61), 1:2 პაულინიო (72-პენ.), 2:2 ბარიენტოსი (75), 2:3 ემეგარა (77), 3:3 ალმირონი (89).
**კატანია (3-5-2):** ფრიზონი - ბელუში (55. ისკო), სპოლი, როლინი - ბირაგი, ბარიენტოსი, რინაუდო (71. ალმირონი), პერუცი, ლოდი - ლეტო (60. კასტრო), ბერგესიო.
**ლივორნო (3-5-2):** ბარდი - ჩეკერინი (70. ვალენტინი), ემერსონი, რინაუდო - ბენასი, მბაიე, დუნკანი, ლუჩი, კასტელინი - ემეგარა (79. ბელფოდილი), პაულინიო (84. ბიაჯანტი).
**გაფრთხილება:** ფრიზონი, ბელუში, ბირაგი, ბერგესიო, ალმირონი - ემერსონი, მბაიე, დუნკანი, ბენასი, პაულინიო.
**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 11-10 (6-7); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 16 000

**კიევო-ლაციო 0:2**

**გოლები:** 0:1 კანდრევა (6), 0:2 კეიტა (70).
**კიევო (3-5-2):** პუჯონი - ფრეი, ცეზარი, დაინელი (18. კანინი) - სარდო, დრამე, ჰეტემაი (44. რადოვანოვიჩი), ბენტივოლიო (62. პელისიერი), რიგონი - თერეუ, პალოსკი.
**ლაციო (3-4-3):** ბერიშა - ბიავა, დიასი, რადუ - კავანდა, ლედესმა, ბილია, ლულიჩი - კანდრევა (90. კრეკო), კეიტა (84. გონსალესი), კლოზე (90. პერეა).
**გაფრთხილება:** ფრეი, რადოვანოვიჩი - ბილია.
**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 6-9 (0-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 11 000

**სასუოლო-ვერონა 1:2**

**გოლები:** 0:1 მანფრედინი (50-საკ. კარში), 0:2 ტონი (87), 1:2 ფლორო ფლორესი (90).
**სასუოლო (3-5-2):** პეგოლო - მენდესი, კანავარო, მანფრედინი - როზი, ბიონდინი, ბრიგი, მარონე (60. სანსონე), ციგლერი - ბერარდი, ფლოკარი (77. ფლორო ფლორესი).
**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - კაჩატორე, მორასი, მარკესი, ალბერტაცი - რომულო, ჩირილიანო (61. დონადელი), ალფრედსონი (87. მარკინიო) - იანკოვიჩი (83. თალები), იტურბე, ტონი.
**გაფრთხილება:** მენდესი, ბიონდინი - ტონი, იტურბე, დონადელი.
**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 6-4 (2-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.
**მაყურებელი:** 20 000

**იუვენტუსი-ინტერი 3:1**

**გოლები:** 1:0 ლიხტშტაინერი (16), 2:0 კიელინი (47), 3:0 ვიდალი (56), 3:1 როლანდო (72).
**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი - ბარცალი (63. კასერესი), ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი (82. ისლა), ვიდალი, პოგბა, პირლო, ასამოა - ტევესი, ლორენტე (86. ვუჩინიჩი).
**ინტერი (3-4-2-1):** ჰანდანოვიჩი - კამპანიარო, როლანდო, ჟუან ჟესუსი - ჯონატანი (58. დამბროზიო), კუზმანოვიჩი (55. მილიტო), ტაიდერი, ნაგატომო - ალვარესი, კოვაჩიჩი (66. ბოტა) - პალასიო.
**გაფრთხილება:** პოგბა - კუზმანოვიჩი, ალვარესი.
**კუთხური:** 5-0; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 9-3 (4-1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.
**მაყურებელი:** 41 000

**რომა-პარმა** უამინდობის გამო შეწყდა

**3 თებერვალი**

**ჯენოა-სამპდორია** 23.45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 22 | 19 | 2 | 1 | 54-16 | 59 |
| 2. რომა | 21 | 15 | 5 | 1 | 45-11 | 50 |
| 3. ნაპოლი | 22 | 13 | 5 | 4 | 44-26 | 44 |
| 4. ფიორენტინა | 22 | 12 | 5 | 5 | 40-23 | 41 |
| 5. ვერონა | 22 | 11 | 2 | 9 | 37-35 | 35 |
| 6. ინტერი | 22 | 8 | 9 | 5 | 39-27 | 33 |
| 7. ტორინო | 22 | 8 | 9 | 5 | 35-28 | 33 |
| 8. პარმა | 21 | 8 | 8 | 5 | 32-27 | 32 |
| 9. ლაციო | 22 | 8 | 7 | 7 | 29-29 | 31 |
| 10. მილანი | 22 | 7 | 8 | 7 | 35-32 | 29 |
| 11. ჯენოა | 21 | 7 | 6 | 8 | 23-27 | 27 |
| 12. ატალანტა | 22 | 8 | 3 | 11 | 24-30 | 27 |
| 13. კალიარი | 22 | 5 | 9 | 8 | 21-31 | 24 |
| 14. უდინეზე | 22 | 7 | 2 | 13 | 22-32 | 23 |
| 15. სამპდორია | 21 | 5 | 7 | 9 | 25-32 | 22 |
| 16. კიევო | 22 | 4 | 6 | 12 | 16-29 | 18 |
| 17. ბოლონია | 22 | 3 | 9 | 10 | 20-38 | 18 |
| 18. ლივორნო | 22 | 4 | 5 | 12 | 22-40 | 17 |
| 19. სასუოლო | 22 | 4 | 5 | 13 | 23-48 | 17 |
| 20. კატანია | 22 | 3 | 6 | 13 | 16-40 | 15 |

**ბომბარდირები:** 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა); 12 - დომენიკო ბერარდი (სასუოლო); 11 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი), ჩირო იმობილე (ტორინო), არტურო ვიდალი (იუვენტუსი); 10 - როდრიგო პალასიო (ინტერი), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), ალესიო ჩერჩი (ტორინო).

**მომდევნო ტური**

8 თებერვალი: **ფიორენტინა-ატალანტა, უდინეზე-კიევო, ნაპოლი-მილანი;**
9 თებერვალი: **ტორინო-ბოლონია, სამპდორია-კალიარი, პარმა-კატანია, ლივორნო-ჯენოა, ვერონა-იუვენტუსი, ლაციო-რომა, ინტერი-სასუოლო.**

**სერია B. XXIII ტური**

**აველინო-ლატინა 1:1**
**გოლები:** 0:1 კოტაფავა (62), 1:1 ჩანო (90).

**ბრეშა-ბარი 2:1**
**გოლები:** 0:1 შაუდონე (30), 1:1 სოდინია (66-პენ.), 2:1 საბა (84-პენ.).

**ჩეზენა-კროტონე 1:0**
**გოლი:** 1:0 როდრიგესი (70).

**მოდენა-ვარეზე 4:1**
**გოლები:** 1:0 ძობოლი (26), 2:0 რიცო (49), 3:0 ბაბაქარი (68-პენ.), 3:1 რეა (78), 4:1 მოლინა (81).

**პადოვა-კარპი 1:4**
**გოლები:** 0:1 სგრინია (43-პენ.), 1:1 მუზაჩი (45-პენ.), 1:2 პაშუტი (53), 1:3 ლოლო (71), 1:4 არდემანი (78).

**პესკარა-ტრაპანი 0:1**
**გოლი:** 0:1 გამბინო (54).

**რეჯინა-ლანჩანო 1:0**
**გოლი:** 1:0 ბარილა (65).

**სიენა-ნოვარა 1:0**
**გოლი:** 1:0 როზინა (25).

**სპეცია-იუვე სტაბია 1:1**
**გოლები:** 0:1 ფალკო (120, 1:1 ფერარი (55-პენ.).

**ტერნანა-ჩიტადელა 2:1**
**გოლები:** 1:0 ლიტერი (20), 2:0 ანტენუჩი (41), 2:1 პერესი (66).

**3 თებერვალი**

**ემპოლი-პალერმო** 23.30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პალერმო | 22 | 12 | 5 | 5 | 33-17 | 41 |
| 2. ემპოლი | 22 | 11 | 6 | 5 | 32-18 | 39 |
| 3. აველინო | 23 | 10 | 8 | 5 | 28-23 | 38 |
| 4. ჩეზენა | 23 | 9 | 10 | 4 | 28-18 | 37 |
| 5. ტრაპანი | 23 | 9 | 9 | 5 | 32-26 | 36 |
| 6. ლანჩანო | 23 | 10 | 6 | 7 | 22-20 | 36 |
| 7. პესკარა | 23 | 9 | 7 | 7 | 33-27 | 34 |
| 8. ლატინა | 23 | 8 | 10 | 5 | 23-20 | 34 |
| 9. სპეცია | 23 | 9 | 7 | 7 | 24-29 | 34 |
| 10. კარპი | 22 | 10 | 3 | 9 | 27-28 | 33 |
| 11. ბრეშა | 23 | 7 | 12 | 4 | 34-30 | 33 |
| 12. კროტონე | 23 | 9 | 6 | 8 | 32-32 | 33 |
| 13. სიენა | 23 | 9 | 11 | 3 | 36-25 | 31 |
| 14. ვარეზე | 23 | 7 | 7 | 9 | 30-32 | 28 |
| 15. ტერნანა | 23 | 7 | 7 | 9 | 29-28 | 28 |
| 16. მოდენა | 23 | 6 | 8 | 9 | 28-25 | 26 |
| 17. ნოვარა | 23 | 5 | 9 | 9 | 21-31 | 24 |
| 18. ბარი | 23 | 6 | 8 | 9 | 23-26 | 23 |
| 19. ჩიტადელა | 23 | 4 | 9 | 10 | 21-32 | 21 |
| 20. რეჯინა | 23 | 5 | 5 | 13 | 18-34 | 20 |
| 21. პადოვა | 22 | 4 | 6 | 12 | 18-33 | 18 |
| 22. იუვე სტაბია | 23 | 2 | 7 | 14 | 21-39 | 13 |

**შენიშვნა:** სიენა - 5, ბარი - 3 ქულა.
**ბომბარდირები:** 15 - მანკოზუ (ტრაპანი); 14 - პავოლეტი (ვარეზე); 13 - კარაჩოლო (ბრეშა), ტავანო (ემპოლი).

**სერია C1/A**

პრო ვერჩელი-ალბინოლეფე 1:1, კარარეზე-ფერალპიზალო 2:0, კომო-სავონა 4:2, კრემონეზე-რეჯანა 2:0, ენტელა-ვიჩენცა 1:1, ლუმეცანე-სუდტიროლი 0:0, პროპატრია-სან მარინო 2:1, ვენეცია-პავია 2:2.

**სერია C1/B**

ბენევენტო-პონტედერა 3:0, გროსეტო-გუბიო 1:2, ლეჩე-პერუჯა 3:4, პიზა-კატანძარო 0:0, პრატო-პაგანეზე 0:1, სალერნიტანა-ბარლეტა 3:0, ვიარეჯო-ლაკვილა 1:3, ფროზინონე-ნოჩერინა 3:0-ზე შეწყდა.


„იუვენტუსი“ და ვიდალი დაფრინავენ


# კომპანია ალგანის მხარდამჭერით: ბრძოლა წესების გარეშე თბილისში

**დაცვის კომპანია „ალგანი“**, რომელიც უკვე 10 წელია უსაფრთხოებისა და სიმშვიდის, დაცულობასთან ასოცირებული ყველაზე წარმატებული ბრენდია ქართულ ბაზარზე, 2013 წლიდან აქტიურად ჩაერთო ქართული სპორტის აღმავლობასა და განვითარებაში; არის სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისა და ტურნირის მხარდამჭერი კომპანია.

2014 წლიდან ალგანმა დაიწყო თანამშრომლობა შიდოკანის და შერეული ორთაბრძოლების ეროვნულ ფედერაციასთან. კერძოდ, 31 იანვარს რესტორან ბერმუხაში, განსხვავებული ფორმატით გაიმართა უპრეცედენტო ტურნირი. საქართველოში პირველად გამართული ტურნირი, ჩატარდა კომპანია ალგანის სრული დაფინანსებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 22-მა სპორტსმენმა სპორტის სხვადასხვა სახეობიდან. ყველა მონაწილე დაჯილდოებული იქნა როგორც ფულადი ასევე სამახსოვრო ჯილდოებით და სიგელებით.

ალგანი საშუალებას აძლევს როგორც ყოფილ, ასევე მოქმედ სპორტსმენებს დასაქმდნენ კომპანიის რიგებში. სპორტსმენების დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე დაცვის კომპანია ალგანი უქმნის მოსახერხებელ სამუშაო პირობებს და ხელს უწყობს მათ ინტეგრირებას ყოფა-ცხოვრებაში.

მომავალში კომპანია ალგანი კვლავაც აპირებს აქტიურად შეუწყოს ხელი ბიზნესისა და სპორტის ურთიერთანამშრომლობას, ქართული სპორტის აღმავლობისათვის.

R




# უფრო ძლიერი იუვე

## რომას არ დასცალდა, ნაპოლი კრიზისშია

დიდ იტალიურ დერბიში „იუვენტუსმა“ „ინტერს“ შანსი არ დაუტოვა. ტურინელებმა სამი გოლი გაუტანეს მეტოქეს და კიდევ უფრო მეტის გატანა შეეძლოთ. მილანელებმა პრესტიჟის შეაგდეს და გამანადგურებელი ანგარიშით მარცხს გადაურჩნენ. დღესდღეობით ამ ორ გუნდს შორის სხვაობა კოლოსალური რომ არის, ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ტურინელთაგან უკანახაზელები გამოირჩნენ, ჯერ შტეფან ლიხტშტაინერმა შეაგდო, შემდეგ ჯორჯო კიელინიმ და ბოლოს, არტურო ვიდალის ჯერიც დადგა. „იუვე“ დამაჯერებლად მიიწევს მორიგი სკუდეტოსკენ.

დიდი იტალიური დერბი გამორჩეული მოვლენაა, მაგრამ არც სხვა შეხვედრების დავიწყება შეიძლება: შაბათს „მილანმა“ და „ფიორენტინამ“ ქულები დაკარგეს, კვირას კი „ნაპოლი“ დამარცხდა.

### ხელმოცარულნი

მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში „ტორინო“ უფრო მაღლაა, ვიდრე „მილანი“ და უკეთეს ფეხბურთსაც თამაშობს, „სან სიროზე“ ფავორიტად მაინც ლომბარდიული გრანდი იყო შერაცხილი. ეს ლოგიკურიცაა, რადგან „მილანი“ მაინც „მილანია“ და თანაც, **კლარენს ზეედორფის** მისვლის შემდეგ, „როსონერიმ“ მიჯრით ორი მატჩი მოიგო სერია A-ში. მოკლედ, უმრავლესობა ლომბარდიელთა ტრიუმფის მოლოდინში იყო, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა.

„ტორინო“ საკუთარ ნახევარზე გამაგრდა, **ალესიო ჩერჩი** და **ჩირო იმობილე** კი კონტრშეტევებზე ძალიან სახიფათოდ მოქმედებდნენ. სწორედ ასეთ კონტრიერიშს მოჰყვა ტურინელთა გოლი, როდესაც იმობილემ ერთი მოძრაობით მოხდენილად ჩამოიცილა **დანიელე ბონერა**, მეკარესთან პირისპირ დარჩა და გახსნა კიდეც ანგარიში. არანაკლებ მწვავედ მოქმედებდა ჩერჩი, რომელიც ფლანგიდან ქმნიდა ხიფათს.

ტურინელთა კარგად ორგანიზებულ გუნდს მილანელებმა ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს - კლარენს ზეედორფის შეგირდებს თითქოს სირბილი უჭირთ და თვითონ მწვრთნელიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, სად მოხვდა და რა ფუნქცია აკისრია. ჯერჯერობით, „მილანი“ მხოლოდ ცალკეულ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის იმედზეა, რაც ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. საპასუხო გოლიც ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო - **ადილ რამიმ** ერთ მეურვეს გვერდი კარგად აუარა, უძლიერესად დაარტყა და ბურთი ბადეში გაახვია - 1:1. მილანელები დიდი ძალებით გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე, მაგრამ მათი იერიშები იმდენად სწორხაზოვანი იყო, რომ სტუმრებს ანგარიშის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ. ზეედორფმა მეტოქის კარგ გარჯას გაუსვა ხაზი და დასძინა, რომ ასეთ გუნდებთან თამაშისას შეტევაში მეტი ფანტაზიაა საჭირო.

„ფიორენტინამ“ სულაც წააგო და სამივე ქულა სარდინიაზე დატოვა. „კალიარი“ სათამაშო უპირატესობას ფლობდა გაცილებით ამბიციურ მეტოქესთან და დამსახურებულად გაიტანა გამარჯვების გოლი. მატჩის გმირი **მაურისიო პინილია** გახდა, რომელსაც კიდევ არაერთი გოლის გატანა შეეძლო. ამჯერად, ვერას გახდა **ალესანდრო მატრი**, რომელმაც სწორედ „კალიარიში“ ასპარეზობით გაითქვა სახელი. **ვინჩენცო მონტელა** ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრვის, მაგრამ ასეთ მიზანთან შეჭიდებას გრძელი სათადარიგოთა სკამი და შესაბამისად, მეტი სტაბილურობა სჭირდება.

### ნაპოლი გასაჭირში

„ნაპოლი“ სულ მთლად წახდა - **რაფაელ ბენიტესის** გუნდი ბერგამოში ჩავიდა და „ატალანტასგან“ სამი უპასუხო გოლი გაუშვა. სამხრეთელები ყველა კომპონენტში დაიჩაგრნენ და დამსახურებული მარცხი იწვნიეს. რაფას ექსპერიმენტი წარუმატებელი გამოდგა, **გონსალო იგუაინის** და **მარეკ ჰამშიკის** თადარიგში დატოვებამ „ნაპოლის“ კარგი არაფერი მოუტანა. უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაფას გუნდი სკუდეტოსთვის საბრძოლველად მზად არაა, ეგ კი არა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც უკიდურესად გაუჭირდება.

სამაგიეროდ, „ლაციო“ მოფერიანდა და მიჯრით იგებს შეხვედრებს. **ედი რეიას** გუნდი „კიევოს“ ესტუმრა და დამაჯერებლად გაიმარჯვა - 2:0. პირველი გოლი **ანტონიო კანდრევამ** შეაგდო, ხოლო მეორე **ბალდე კეიტამ**. „ბიანკოჩელესტეს“ „ინტერში“ გადაბარგებული **ერნანესის** არყოფნა არ დასტყობია. „ლაციო“ ლიდერთა მარაქას უახლოვდება, რაც უდაოდ რეიას დამსახურებაა, რომელმაც გუნდს თითქოს ახალი სული შთაბერა.

უამინდობის გამო, თამაში არ დასცალდა „რომას“, რომელიც „პარმასთან“ სამი ქულის აღებას გეგმავდა. თამაში სტარტზევე შეწყდა და გადაიდო. როდისთვის, ამას მალე გავიგებთ.

გვერდი მოამზადა **ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## ინგლისი

### კონფერენცია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ჩესტერი-უელინგი | 1:3 |
| გეიტსჰედი-კიდერმინსტერი | 3:1 |
| ლინკოლნი-ჰალიფაქსი | 3:1 |
| სალისბერი-ნანიტონი | 2:1 |
| ალფრეტონი-ჰაიდი | გადაიდო |
| დარტფორდი-ლუტონი | გადაიდო |
| მაკლსფილდი-ბარნეტი | გადაიდო |
| საუთპორტი-ბრეინტრი | გადაიდო |
| უოკინგი-ფორესტ გრინი | გადაიდო |

### FA Trophy

| | |
|---|---|
| ისტლი-კემბრიჯი | 0:1 |
| გრიმსბი-ტამუორთი | 4:1 |
| ნორთ ფერიბი-გოსპორტი | 1:2 |
| ჰავანტი-ალდერშოტი | გადაიდო |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ჰაველსე-რედენი | გადაიდო |

### რეგიონალლიგა (დას)

XXI ტური

| | |
|---|---|
| ესენი-ვიდენბრიუკი | 2:3 |
| შალკე II-იუერდინგენი | 2:1 |
| ლიპშტადტი-ფორტუნა II | 0:0 |
| ვერლი-ალემანია | 0:2 |
| ლოტე-ვიქტორია | 0:3 |
| ვატენშაიდი-ფელბერტი | 1:3 |
| ფორტუნა (კ)-ობერჰაუზენი | 0:2 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ანჟერსი-კა ბასტია | 1:0 |
| კაენი-ტრუა | 1:1 |
| შატორუ-ისტრი | 2:0 |
| კლერმონი-არლი | 1:1 |
| დიჟონი-ბრესტი | 3:0 |
| ისტრი-კრეტეი | 3:2 |
| ნიმი-ტური | 3:0 |
| ნიორი-მეცი | 2:0 |
| ლანსი-ლავალი | 0:0 |
| ნანსი-ჰავრი | დღეს |

### ნასიონალი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-ბურჟი | 0:1 |
| ბულონი-დუნკერკი | 0:0 |
| კარკეფუ-ორლეანი | 1:1 |
| გფკო აიაჩო-კოლმარი | 1:1 |
| ლუკონი-კოლომიერი | 0:2 |
| ლუზენაკი-ლე პუარი | 0:1 |
| პარიზი-რედ სტარი | 2:3 |
| სტრასბური-ფრეჟუსი | 2:0 |
| ვანი-პონ დუ გარი | 4:0 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ოსი-ტვენტე II | 2:1 |
| ჰელმონდი-ექსელსიორი | 2:1 |
| მაასტრიხტი-დორდრეხტი | 2:0 |
| ტელსტარი-აიაქსი II | 3:1 |
| ვენლო-ეინდჰოვენი | 2:1 |
| გრააფსხაპი-ფორტუნა | 0:1 |
| ახილესი-ემენი | 0:0 |
| დენ ბოში-ვილემი | 0:1 |
| ვოლენდამი-ალმერი | 3:1 |
| პსვ II-სპარტა | დღეს |

## ბელგია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ლიერსი-ანდერლეხტი | 2:0 |
| სტანდარდი-სერკლი | 4:0 |
| ბრიუგე-მონსი | 2:1 |
| გენტი-ლუვენი | 2:0 |
| მეხელენი-გენკი | 0:2 |
| შარლერუა-ოსტენდე | 0:1 |
| ვაასლანდი-კორტრიიკი | 1:1 |
| ვარეგემი-ლოკერენი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 24 | 17 | 6 | 1 | 51-12 | 57 |
| 2. ანდერლეხტი | 24 | 15 | 2 | 7 | 50-26 | 47 |
| 3. ბრიუგე | 24 | 14 | 5 | 5 | 39-23 | 47 |
| 4. ვარეგემი | 24 | 12 | 9 | 3 | 43-29 | 45 |
| 5. ლოკერენი | 24 | 12 | 4 | 8 | 40-26 | 40 |
| 6. გენკი | 24 | 12 | 2 | 10 | 35-29 | 38 |
| 7. გენტი | 24 | 9 | 6 | 9 | 29-31 | 33 |
| 8. კორტრიიკი | 24 | 9 | 6 | 9 | 32-35 | 33 |
| 9. სერკლი | 24 | 8 | 5 | 11 | 24-41 | 29 |
| 10. ოსტენდე | 24 | 8 | 4 | 12 | 24-36 | 28 |
| 11. ლიერსი | 24 | 8 | 3 | 13 | 27-45 | 27 |
| 12. შარლერუა | 24 | 6 | 9 | 9 | 27-32 | 27 |
| 13. მეხელენი | 24 | 7 | 5 | 12 | 30-42 | 26 |
| 14. ლუვენი | 24 | 5 | 7 | 12 | 25-38 | 22 |
| 15. ვაასლანდი | 24 | 4 | 9 | 11 | 22-32 | 21 |
| 16. მონსი | 24 | 3 | 4 | 17 | 19-40 | 13 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ლომელი-ანტვერპენი 1:0; ეუპენი-ჰასელტი 5:1; მუსკრონი-გეელი 2:1; ბრიუსელი-ბორინაჟი 1:1; სტ. ტრუიდენი-რუზელარე 1:1; ტუბიზე-აალსტი 3:1; ვირტონი-ვოლუვე 3:2; ვიზე-დესელი 0:1; ვესტერლო-ჰუგსტრატენი 2:0.

## შოტლანდია

### ლიგის თასი. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| აბერდინი-სტ. ჯონსტონი | 4:0 |
| ჰართსი-ინვერნესი | 2:2 პენ. 2:4 |

## შოტლანდია

### ჩემპიონშიპი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-რეითი | 1:0 |
| დანდი-ალოა | 1:1 |
| ფალკირკი-მორტონი | 1:1 |
| ჰემილტონი-დამბარტონი | 3:3 |
| ლივინგსტონი-ქუინი | 1:2 |

### I ლიგა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| არბროტი-ეირი | 2:3 |
| ისტ ფაიფი-დანფერმლაინი | 1:3 |
| ფორფარი-ეირდრი | 1:1 |
| რეინჯერსი-ბრეჩინი | 2:1 |
| სტენჰაუზმუირი-სტრანრარი | 1:1 |

### II ლიგა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| კლაიდი-ბერვიკი | 3:3 |
| ელჯინი-ალბიონი | 1:1 |
| მონტროუზი-სტირლინგი | 0:0 |
| ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 0:0 |
| პიტერჰედი-ანენი | გადაიდო |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-პენაფიელი | 0:1 |
| ატლეტიკო-სანტა კლარა | 2:2 |
| ბენფიკა B-ავეში | 0:0 |
| შავეში-ვიზეუ | 1:2 |
| ფეირენსე-ტონდელა | 2:0 |
| ოლივეირენსე-ბრაგა B | 4:0 |
| ტროფენსე-ლეიქსოეში | 0:3 |
| მადეირა-კოვილია | 4:1 |
| პორტუ B-მარიტიმუ B | 2:0 |
| ფარენსე-მორეირენსე | 0:0 |
| სპორტინგი B-პორტიმონენსე | დღეს |

## ავსტრია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ვინერი-ზალცბურგი | 1:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 21 | 15 | 4 | 2 | 63-17 | 49 |
| 2. გრიოდიგი | 21 | 10 | 5 | 6 | 46-38 | 35 |
| 3. რაპიდი | 21 | 8 | 7 | 6 | 34-25 | 31 |
| 4. ავსტრია | 21 | 8 | 6 | 7 | 37-29 | 30 |
| 5. რიდი | 21 | 7 | 8 | 6 | 34-36 | 29 |
| 6. შტურმი | 21 | 7 | 5 | 9 | 30-32 | 26 |
| 7. ვოლფსბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 32-37 | 25 |
| 8. ვინერი | 21 | 5 | 7 | 9 | 26-52 | 22 |
| 9. ადმირა | 21 | 6 | 4 | 11 | 29-42 | 17 |
| 10. ტიროლი | 21 | 3 | 7 | 11 | 26-49 | 16 |

## კვიპროსი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ენოსისი-არისი | 4:1 |
| კუკლიონი-აპოლონი | 1:3 |
| აპოელ-ერმისი | 3:0 |
| ეთნიკოსი-ანორთოსისი | 1:2 |
| აეკ-ომონია | 0:0 |
| დოქსა-ალკი | 5:1 |
| აელ-ნეა სალამისი | 2:0 |

## ფინეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ჰონკა-როვანიემი | 1:0 |
| ლაჰტი-კუოპიო | 0:2 |
| იარო-ვაასა | 2:2 |

## საბერძნეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| იანინა-ლევადია | 2:1 |
| არისი-ქსანთი | 1:1 |
| ოფი-პანათინაიკოსი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-პანაიტოლიკოსი | 2:1 |
| აპოლონი-ატრომიტოსი | 2:3 |
| კალონი-ასტერასი | 0:2 |
| პანიონიოსი-ერგოტელისი | 0:1 |
| ვერია-პანთრაკიკოსი | 0:0 |
| პლატანიასი-პაოკ | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 22 | 20 | 2 | 0 | 63-7 | 62 |
| 2. პაოკ | 22 | 15 | 3 | 4 | 42-21 | 48 |
| 3. ატრომიტოსი | 22 | 12 | 7 | 3 | 33-16 | 43 |
| 4. პანათინაიკოს | 22 | 12 | 4 | 6 | 34-19 | 40 |
| 5. ასტერასი | 22 | 10 | 9 | 3 | 32-18 | 39 |
| 6. პანთრაკიკოს | 22 | 8 | 7 | 7 | 30-32 | 31 |
| 7. პანაიტოლიკ | 22 | 8 | 6 | 8 | 24-20 | 30 |
| 8. ოფი | 22 | 6 | 9 | 7 | 19-23 | 27 |
| 9. კალონი | 22 | 8 | 2 | 12 | 22-39 | 26 |
| 10. ქსანთი | 22 | 7 | 5 | 10 | 28-34 | 26 |
| 11. იანინა | 22 | 8 | 2 | 12 | 23-33 | 26 |
| 12. ერგოტელისი | 22 | 5 | 9 | 8 | 22-27 | 24 |
| 13. პანიონიოსი | 22 | 6 | 6 | 10 | 19-26 | 24 |
| 14. ლევადია | 22 | 7 | 2 | 13 | 24-41 | 23 |
| 15. პლატანიასი | 22 | 5 | 7 | 10 | 20-31 | 22 |
| 16. აპოლონი | 22 | 5 | 6 | 11 | 26-36 | 21 |
| 17. ვერია | 22 | 4 | 7 | 11 | 19-37 | 19 |
| 18. არისი | 22 | 2 | 7 | 13 | 19-39 | 13 |

## ჩრ. ირლანდია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი-ლინფილდი | 1:0 |
| გლენტორანი-უორენპოინტი | 1:2 |
| პორტადაუნი-ბალიმენა | 1:0 |
| ბალინამალარ-კრუზეიდერს | გადაიდო |
| დუნგანონი-კოლრეინი | გადაიდო |
| გლენავონი-არდსი | დღეს |

## ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| აშშ-ს. კორეა | 2:0 |

## შვეიცარია

XIX ტური

| | |
|---|---|
| არაუ-სტ. გალენი | 1:1 |
| ციურიხი-სიონი | 1:0 |
| ლოზანა-ბაზელი | 1:3 |
| ლუცერნი-გრასჰოპერსი | 1:3 |
| იანგ ბოიზი-თუნი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 19 | 9 | 9 | 1 | 35-18 | 36 |
| 2. იანგ ბოიზი | 19 | 10 | 4 | 5 | 32-19 | 34 |
| 3. გრასჰოპერსი | 19 | 9 | 6 | 4 | 29-18 | 33 |
| 4. ლუცერნი | 19 | 9 | 5 | 5 | 25-25 | 32 |
| 5. სტ. გალენი | 19 | 8 | 6 | 5 | 23-18 | 30 |
| 6. ციურიხი | 19 | 7 | 4 | 8 | 26-28 | 25 |
| 7. თუნი | 19 | 6 | 6 | 7 | 26-27 | 24 |
| 8. არაუ | 18 | 5 | 4 | 9 | 28-36 | 19 |
| 9. სიონი | 18 | 4 | 5 | 9 | 15-23 | 17 |
| 10. ლოზანა | 19 | 2 | 1 | 16 | 15-42 | 7 |

### ჩელენჯლიგა

XIX ტური

ლოკარნო-ვოლენი გადაიდო; შაფჰაუზენი-ბილი 3:2; კიასო-სერვეტი გადაიდო; ვილი-ვინტერტური 1:0; ვადუცი-ლუგანო დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| მერსინი-მანისა | 1:0 |
| შანლიურფა-ბუიუქშეჰირი | 1:1 |
| 1461 ტრაბზონი-ბოლუ | 3:3 |
| ბალიქესირი-ადანა | 1:0 |
| ადანასპორი-ქაჰრამანმარა | 3:1 |
| ბუკა-ფეთიიე | 1:0 |
| ორდუ-ქარსიაკა | 2:1 |
| სამსუნი-დენიზლი | 2:0 |
| ანკარასპორი-თავშანლი | დღეს |

## უელსი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| რილი-პორტ ტელბოტი | 5:2 |

## უელსის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| აბერდეირი-ბოდედერნი | 4:1 |
| ეგერისტვიტი-აფან ლიდო | 5:1 |
| ქერსოუსი-კემბრიანი | 4:3 დ.დ. |
| მონმაუთი-პორტმედოგი | გადაიდო |
| ეირბასი-ბანგორი | გადაიდო |
| ბალა-სეფნი | გადაიდო |
| ნიუთაუნი-ჰოლიველი | გადაიდო |
| კარმართენი-ტნს | გადაიდო |

## ისრაელი

XX ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-ირონი (რ-ა) | 3:0 |
| ჰაპოელი (რ)-ბნეი იეჰუდა | 0:2 |
| მაკაბი (ფ-ა)-ირონი (ქ-შ) | 3:3 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-აშდოდი | 2:0 |
| ჰაპოელი (ჰ)-მაკაბი (ჰ) | 0:1 |
| ბნეი სახნინი-მაკაბი (თ-ა) | 0:2 |

## ბოლივია

III ტური

| | |
|---|---|
| ორიენტე-უნივერსიტარიო | 0:1 |
| ბოლივარი-სორტე ვილსტერმანი | 2:1 |
| გუაბირა-ნას. პოტოსი | 2:0 |
| რეალ პოტოსი-ბლუმინგი | 2:0 |
| სპორტ ბოისი-სან ხოსე | 1:0 |
| აურორა-სტრონგესტი | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

### პაულისტა

V ტური

| | |
|---|---|
| იტუანო-სან ბერნარდო | 0:0 |
| ოესტე-ლინენსე | 0:1 |
| კომერსიალი-რიო კლარო | 1:2 |
| სანტოსი-ბოტაფოგო | 5:1 |
| ბრაგანტინო-ატ. სოროკაბა | 2:0 |
| აუდაქსი-პორტუგეზა | 4:2 |
| პალმეირასი-სან პაულუ | 2:0 |
| პონტე პრეტა-კორინთიანსი | 2:1 |
| პენაპოლენსე-მ. მირიმი | გვ. დასრულდა |
| პაულისტა-პირასიკაბა | გვ. დასრულდა |

## ჩილე

V ტური

| | |
|---|---|
| უნ. კონსეპსიონი-ევერტონი | 2:3 |
| უნ. კატოლიკა-პალესტინო | 5:3 |
| ო'ჰიგინსი-ს. უონდერერსი | 2:0 |
| ლა კალერა-დეპ. იკიკე | 0:2 |
| უნ. ესპანიოლა-ატ. ნუბლენსე | 3:2 |
| კობრელოა-აუდაქსი | 2:0 |
| კობრესალი-რეინჯერსი | 2:2 |
| ანტოფაგასტა-უნ. დე ჩილე | 1:3 |
| კოლო კოლო-უაჩიპატო | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

II ტური

| | |
|---|---|
| პატრიოტასი-ონსე კალდასი | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. პასტო | 2:0 |
| ალ. პეტროლერა-ჩიკო | 1:2 |
| ატ. ხუნიორი-აუტონომა | 1:1 |
| ფორტალეზა-სანტა ფე | 1:2 |
| ტოლიმა-ენვიგადო | 2:4 |
| იტაგუი-ატ. უილა | 2:1 |
| მილიონარ-ლა ექვიდად | გვ. დასრულდა |
| დ. კალი-ატ. ნასიონალ | გვ. დასრულდა |

## ს. აფრიკა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ფრი სტეიტი-ბლუმფონტეინი | 0:2 |

## ეკვადორი

III ტური

| | |
|---|---|
| ოლმედო-დეპ. კიტო | 0:0 |
| უნ. კატოლიკა-ინდეპენდიენტე | 4:3 |
| ლდუ კიტო-ელ ნასიონალი | 1:0 |
| მანტა-მუშუკ რუნა | 1:1 |
| ლიგა დე ლოხა-ბარსელონა | 1:1 |
| ემელეკი-დეპ. კუენკა | 3:0 |

## ურუგვაი

I ტური

| | |
|---|---|
| დეფენსორი-ლივერპული | 1:3 |
| სუდ ამერიკა-ხუვენტუდი | 3:0 |
| რასინგი-ნასიონალი | 0:2 |
| ელ ტანკე-ფენიქსი | 1:2 |
| მონტევიდეო-სერო | 3:1 |
| რივერი-პენიაროლი | გვ. დასრულდა |

## ვენესუელა

IV ტური

| | |
|---|---|
| დეპ. ანსოატეგი-ატ. ვენესუელა | 1:1 |
| არაგუა-ლანეროსი | 3:0 |
| იარაკუიანოსი-დეპ. პეტარე | 2:4 |
| სულია-კარაბობო | 1:1 |
| ესტუდიანტესი-მინეროსი | 0:2 |
| დეპ. ლა გუაირა-ტრუხილიანოსი | 0:0 |
| კარაკასი-ელ ვიხია | გვ. დასრულდა |
| ტაჩირა-დეპ. ლარა | გვ. დასრულდა |
| სამორა-ტუკანესი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

V ტური

| | |
|---|---|
| მორელია-ლეონი | 0:0 |
| ამერიკა-ატლანტე | 1:0 |
| სანტოსი-ტოლუკა | 2:0 |
| ვერაკრუსი-პუებლა | 0:1 |
| გვადალახარა-კრუს ასული | 0:2 |
| მონტერეი-ტიგრესი | 0:0 |
| პაჩუკა-ატლასი | 0:1 |
| ხამუარესი-კერეტარო | 1:0 |
| პუმასი-ტიხუანა | 3:0 |

## გვატემალა

IV ტური

| | |
|---|---|
| სუჩიტეპეკესი-კოატეპეკე | 1:0 |
| კომუნიკასიონესი-დეპ. მიქსლანი | 2:1 |
| ისტაპა-მუნისიპალი | 1:1 |
| უნივერსიდადი-დეპ. მარკენსე | 5:0 |
| დეპ. ერედია-ალკონენსი | 4:0 |
| ჩელახუ-დ. მალაკატეკო | გვ. დასრულდა |

## ჰონდურასი

V ტური

| | |
|---|---|
| რეალ ესპანა-მარათონი | 1:1 |
| დეპ. სავიო-ვიქტორია | 2:1 |
| ოლიმპია-მოტაგუა | 0:0 |
| ვიდა-რეალ სოსიედადი | 0:2 |
| პლატენსე-პარილიასი | 1:0 |

## ავსტრალია

XVII ტური

| | |
|---|---|
| მელბურნ ჰ-სიდნეი | 2:1 |
| პერტი-მელბურნ ვ | 1:1 |
| ველინგტონი-ადელაიდა | 2:1 |
| ნიუკასლი-ვ. სიდნეი | 2:2 |
| ბრისბენი-სენტრალ კოუსტი | 2:1 |

## აზერბაიჯანი

XIX ტური

| | |
|---|---|
| სუმგაითი-ქაბალა | 0:3 |
| ყარაბახი-ხაზარი | 0:1 |
| ბაქო-რავანი | 5:1 |
| ნეფთჩი-შიმურქი | 3:0 |
| ინტერი-აზალ | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქაბალა | 19 | 12 | 2 | 5 | 30-16 | 38 |
| 2. ნეფთჩი | 19 | 11 | 4 | 4 | 30-19 | 37 |
| 3. ყარაბახი | 19 | 10 | 6 | 3 | 31-12 | 36 |
| 4. ინტერი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-22 | 30 |
| 5. ბაქო | 19 | 9 | 3 | 7 | 34-22 | 30 |
| 6. ხაზარი | 19 | 6 | 7 | 6 | 17-24 | 25 |
| 7. შიმურქი | 19 | 6 | 7 | 6 | 19-17 | 25 |
| 8. აზალ | 19 | 6 | 6 | 7 | 18-25 | 24 |
| 9. რავანი | 19 | 1 | 6 | 12 | 10-37 | 9 |
| 10. სუმგაითი | 19 | 1 | 4 | 14 | 11-35 | 7 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| კანზას სითი-პორტლენდი | 1:1 |
| ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი | 1:2 |
| სელანგორი-ფრისკა | 3:0 |
| ბრონდბიუ-კიოგე | 1:1 |
| უმეა-ოსტერსუნდი | 2:0 |
| ჰანოვერი-სტ. პაული | 2:2 |
| ლოკომოტივი (ს)-ბოტევი (ვ) | 0:1 |
| ბუდუჩნოსტი-რადნიკი | 1:0 |
| ენისეი-სუდუვა | 0:1 |
| ბოტევი (ვ)-ზაგლები | 0:0 |
| სუნდსვალი-შელეფტეა | 1:0 |
| კონგსვინგერი-რაუფოსი | 2:3 |
| ლეხი-სპარტა | 2:1 |
| ასტრა-აიკ | 1:0 |
| ჯაზი-ილვესი | 2:2 |
| ცსკა-ზენიტი | 0:2 |
| ელვა-არარატი | 2:0 |
| ჰიუსტონი-კოლორადო | 2:3 |
| კოსტულენი-რუსენბორგი | 0:3 |
| მეტალისტი-შახტარი | 0:2 |

## თვის მონაპოვარი

### იანვარი

**2. ხელბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები სტუმრად თურქეთთან 23:29 დამარცხდა.

**4. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ახალ წონებში. ჩემპიონები გახდნენ: **მანუჩარ ცხადაია** (71) და **გიორგი ცირეკიძე** (80).

**5. ხელბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა შინ თურქეთს 33:26 მოუგო.

**8. ხელბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა შინ ლიტვას 26:23 აჯობა.

**11. ხელბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 24:36 წააგო ფინეთთან და ჯგუფი მეორე ადგილზე დაასრულა.

**18. ფიგურული ციგურაობა.** ევროპის ჩემპიონატზე **ელენე გედევანიშვილმა** მე-10 ადგილი დაიკავა.

**19. კალათბურთი. თორნიკე შენგელია** „ბრუკლინიდან" „ჩიკაგოში" გადავიდა.

**25. კალათბურთი.** რუსთავმა „ყველა ვარსკვლავის" მატჩს უმასპინძლა.

**26. ჩოგბურთი. ანა ტატიშვილმა** ამერიკულ ტურნირში (25 ათასი $) იმარჯვა, **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (15 ათასი $) - გერმანულში.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## თარიღები და მოვლენები

### 3-6 თებერვალი

**03. 1915.** დაიბადა **ბორის პაიჭაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1990 წელს
**03. 1919.** დაიბადა **ვახტანგ ქარსელაძე** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1966 წელს
**03. 1932.** დაიბადა **ნოდარ გვახარია** - წყალბურთი. გარდაიცვალა 1996 წელს
**03. 1940.** დაიბადა **ზურაბ გვასალია** - თანამედროვე ხუთჭიდი. გარდაიცვალა 1998 წელს
**03. 1971.** დაიბადა **სოსო ლიპარტელიანი** - ძიუდო
**03. 1990.** დაიბადა **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი
**04. 1931.** დაიბადა **ვახტანგ სალუქვაძე** - ტყვიით სროლა
**04. 1939.** დაიბადა **ნოდარ ყიფიანი** - რაგბი. გარდაიცვალა 2008 წელს
**04. 1962.** დაიბადა **ვლადიმერ აფციაური** - ფარიკაობა. გარდაიცვალა 2012 წელს
**04. 1986.** დაიბადა **ლაშა გამყრელიძე** - კალათბურთი
**05. 1928.** დაიბადა **ნიკოლოზ თოდრია** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1992 წელს
**05. 1938.** დაიბადა **გივი ზაუტაშვილი** - ძიუდო, მწვრთნელი
**05. 1985.** დაიბადა **დავით ბედინაძე** - ბ\რ ჭიდაობა
**06. 1972.** დაიბად **აკაკი კაკაურიძე** - კრივი. გარდაიცვალა 2001 წელს.

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ვები ემრეს ტურნირი



სოსო ჯაბიძე (მარცხნივ)

# მედლები შესუსტებული გუნდისგან

ამ უქმეებზე სტამბოლში დამთავრებულ ვები ემრეს სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირში დამაჯერებლად გამოვიდნენ ქართველი ბერძენ-რომაელები, რომლებმაც 4 მედალი მოიპოვეს - 2 ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო. ვერცხლის მედლებს **მინდია წულუკიძე** (71) და **თორნიკე ძამაშვილი** (80) დაეუფლნენ, მესამეზე კი **ანტონ მამაგეიშვილი** (66) და **სოსო ჯაბიძე** (98) გავიდნენ.

წულუკიძე ფინალში აზერბაიჯანელ **რასულ ჩუნაევთან** დამარცხდა, ძამაშვილმა კი ბელარუს **ვიკტარ სასუნოუსკისთან** წააგო. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მამაგეიშვილი თანაგუნდელ **არჩილ თურმანიძეს** უნდა შეხვედროდა, მაგრამ საჭიდაოდ არ გამოუცხადდა.

სტამბოლში ჩვენი გუნდი შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა, ძირითადად - სათადარიგოებით, რადგან ლიდერები მომავალ უქმეებზე პარიზში იჭიდავებენ „ოქროს დიდი პრიზის" პირველ შეჯიბრებაში. ამ სათადარიგოებს ავადმყოფობის გამო სტამბოლში გაფრენამდე კიდევ გამოაკლდა ორი კაცი. მათ შორის - პირველხარისხოვან ტურნირებზე ეროვნული ნაკრებში ნაჭიდავები **საჩინო დავითაია** (66) და კიდევ უფრო შესუსტებული გუნდი შეგვრჩა ხელთ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# იმედიანი გამოცოცხლება


მარჯვნივ - ზაალ კვაჭატაძე

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა მოკრივეთა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც თბილისში, სასპორტო კომპლექს „არენაში" გუშინ დამთავრდა. ჩემპიონები და პრიზიორები 10 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. შეჯიბრებაში ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჩაერთო **ჯაბა ხოსიტაშვილის** (75 კგ) გარდა. იგი, როგორც საქართველოს კრივის მესვეურებმა გვითხრეს, აზერბაიჯანის ერთ-ერთი კლუბის წევრია და ბაქოში ემზადება, ამიტომ ეროვნულ ჩემპიონატს თავი აარიდა, რითაც საქართველოს ნაკრებისკენ გზა თავად გადაიკეტა.

რაც შეეხებათ სხვა ფავორიტებს, **დავით ნანავამ, გიორგი გოგატიშვილმა, ვენედიქტ ერანოსიანმა, ზაალ კვაჭატაძემ, ლევან გულედანმა** და **მიხეილ ბახტიძემ** ჩემპიონობის მოპოვებით ნაკრებში პოზიციები განიმტკიცეს. გამოცოცხლება იგრძნობოდა ყველა წონაში, განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობდნენ, რაც სპეციალისტებს იმედიანად განაწყობს.

81 კილოს ლიდერი **იაგო კიზირია** სტარტზევე დამარცხდა **გიორგი გონჯილაშვილთან.** ამ უკანასკნელს შვიდი წელიწადი აქტიური კრივისთვის თავი მინებებული ჰქონდა. წელიწადია, რინგს დაუბრუნდა. იანვრის შუა რიცხვებში თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა, ეროვნულ ჩემპიონატში კი მესამე ადგილი დაიკავა. კვაჭატაძემ და ერანოსიანმა „ბილაინის" სპეციალური პრიზები დაიმსახურეს, ხოლო **გოჩა ბადურაშვილს** საუკეთესო ტექნიკური მოკრივის პრიზი გადაეცა.

**ქვარცხლბეკი**

**49 კგ.** 1. დავით ნანავა (ფოთი), 2. მიხეილ კაზანჯიანი, 3. აბას ალეკფეროვი (ორივე-თბილისი).

**52 კგ.** 1. გიორგი გოგატიშვილი (ფოთი), 2. გაგი ედიშერაშვილი (თბილისი), 3. სტეპანე თუმანიანი (ახალქალაქი), გიორგი მანანაძე (ყვარელი).

**56 კგ.** 1. არტურ მოვსესიანი (თბილისი), 2. ავთანდილ ქუბაბრია (ფოთი), 3. გიორგი ყულუმბეგაშვილი (გორი), არაიკ სანამოვი (თბილისი).

**60 კგ.** 1. ვენედიქტ ერანოსიანი (ახალქალაქი), 2. გიორგი გელაშვილი, 3. მერაბ თურქაძე (ორივე-ქუთაისი), ალეკო ჭადაშვილი (თბილისი).

**64 კგ.** 1. ირაკლი მელიქიშვილი, 2. გოგი რატიანი (ორივე-თბილისი), 3. დათო გორგილაძე (ბათუმი), ამირან მარგველაშვილი (ქუთაისი).

**69 კგ.** 1. ზაალ კვაჭატაძე (თბილისი), 2. გელა აბაშიძე (ბათუმი), 3. ლევან კაჟაშვილი, სანდრო ჯაჯანიძე (ორივე-თბილისი).

**75 კგ.** 1. გოჩა ბადურაშვილი, 2. გიორგი გიორგაძე (ორივე-თბილისი), 3. ბერიკა მხეცაძე (ქუთაისი), შაქრო ბერიძე (ფოთი).

**81 კგ.** 1. ნიკოლოზ სეხნიაშვილი (გორი), 2. რომან თავაძე, 3. დავით მაჩიტაძე (ორივე-ქუთაისი), გიორგი გონჯილაშვილი (გარდაბანი).

**91 კგ.** 1. ლევან გულედანი (თბილისი), 2. ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი), 3. ალექსანდრე დოკვაძე (რუსთავი), ზიალად მამედოვი (თბილისი).

**+91 კგ.** 1. მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი), 2. თორნიკე პურიჭამიაშვილი (გორი), 3. ალეკო ლეფსვერიძე (თელავი), ნოდარ ვეფხვაძე (თბილისი).

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. სოფიის ტურნირი




# სეზონის უმედლო სტარტი

**გუშინ სოფიაში დასრულდა ძიუდოისტთა სეზონის პირველი ოფიციალური ტურნირი - „ევროპის ღია თასი", რომელიც ორივე სქესის წარმომადგენელთა შორის ერთდროულად გაიმართა. ბულგარეთში ჩვენი 6 წარმომადგენელი ჭიდაობდა - 2 ქალი და 4 ვაჟი, თუმცა ყველა უმედლოდ დარჩა.**

შაბათს მოასპარეზე სამეულიდან თითო შეხვედრა მოიგეს **კახა ცაგარელმა** (66) და **შორენა შარაძემ** (63). ცაგარელი პირველად უნგრელ **ფელისიან ორის** დაეჭიდა და იუკოთი მოუგო. ის მეტოქეს გაფრთხილებებითაც უგებდა, თუმცა, წარმატების მიუხედავად, დებიუტანტ ქართველს მაინც ეტყობოდა გარკვეული ხარვეზები, ილეთებს ვერ ასრულებდა დახვეწილად და სწორედ ამან შეიწირა მომდევნო პაექრობაში. თუმცა მანამდე უნგრელს ერთხელ მაინც ამოუსვა შედეგიანად, მაგრამ მხოლოდ იუკოზე დააგდო. სამაგიეროდ, სლოვენიელ **ანდრაზ იერებთან** წარუმატებელი ამოსმა საბედისწერო გამოდგა და მეტოქემ კონტრილეთით იპონზე გადააგდო.

შარაძე თავიდანვე ყოჩაღად ეკვეთა ყაზახ **აკერკე მირზაბეკს** და მთელი შეხვედრა უტევდა. შედეგად იუკოც მოიპოვა და გაფრთხილებებიც მიალებინა, ბოლოს კი შებოჭა. ვფიქრობთ, იტალიელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ედვიგ გვენდთან** ჩვენებურმა უფრო გამოუცდელობით წააგო – ერთ ეპიზოდში პოზიციის შერჩევისას შეცდა, დროულად ვერ გაერკვა ვითარებაში და მეტოქემ მარტივი გამოსმულით ბეჭებზე გადააგდო.

**გიორგი გუგულაშვილი** (66) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა კოსოვოელ **აკილ გჯაკოვასთან** – ოთხი გაფრთხილების გამო მოხსნეს. აღსანიშნავია, რომ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ წონაში ორივე ჩვენებური მომავალ მესამე პრიზიორთან დამარცხდა.

ჩვენთვის კვირის შეხვედრებიც ანალოგიური სცენარით წარიმართა – ტატამზე ისევ სამი ქართველი გავიდა, კვლავაც 2 ვაჟი და 1 – ქალი, რომელთაგანაც პირველ წრეში კვლავ ერთი გამოვარდა და ისევ გაფრთხილებებით... განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეორე წრეში გასულთაგან ერთი ისვენებდა და არ უჭიდავია. თავისი წილი შეხვედრა ასევე დებიუტანტმა **არჩილ გოგოლაშვილმა** (90) მოიგო – მან თურქი **ბატუჰან ეფემგილი** იოლად დააიპონა, მერე კი ვერაფერს გახდა ბევრად გამოცდილ სერბ **ალექსანდრ კუკოლჯთან** და ასევე წმინდად წააგო. ქალთა შორის პირველ წრეში ისვენებდა ჩვენი მძიმეწონოსანი **ირინე ლეონიძე**, მეორეში კი რუს **გალინა ტარასოვასთან** დამარცხდა. ის სანუგეშოშიც გადავიდა, მაგრამ იქაც პირველივე პაექრობა დათმო ჰოლანდიელ **ტესი საველკოულსთან** და საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე დარჩა.

პირველ წრეში ჩვენგან **მიხეილ ნარიმანიძე** (100) დამარცხდა – ბულგარელ **დანიელ დიჩევთან.**

**ირაკლი თავაძე**

**ქვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**60 კგ.** 1. იანისლავ გერჩევი (ბულგარეთი), 2. არტიომ არშანსკი (ისრაელი). 3. მიხაელ იტენი (შვეიცარია), მიკოს სალმინენი (ჰოლანდია).

**66 კგ.** 1. გოლან პოლაცკი (ისრაელი), 2. დმიტრი შერშანი (ბელარუსი). 3. აკილ გჯაკოვა (კოსოვო), ანდრაზ იერები (უნგრეთი).

**73 კგ.** 1. პატრიკ დოუსონი (ბრიტანეთი), 2. საგი მუკი (ისრაელი). 3. უალი კურჩევი, რუსტამ შევოცუკოვი (ორივე – რუსეთი).

**81 კგ.** 1. სზაბოლცს კრიზსანი, 2. ლასლო ჩოკნიაი (ორივე - უნგრეთი), 3. ილია კოკოვიჩი (რუსეთი), ალექსიოს ნტანაციდისი (საბერძნეთი).

**90 კგ.** 1. ალონ სასონი (ისრაელი), 2. ალექსანდრ კუკოლჯი (სერბეთი), 3. ენდრიუ ბარნსი (ბრიტანეთი), სამირ გუჩაპშევი (რუსეთი).

**100 კგ.** 1. მიხაილო ჩერკასოვი (უკრაინა), 2. ფლავიო ორლიკი (შვეიცარია), 3. დმიტრო ბერეჟნი (უკრაინა), დანიელ დიჩევი (ბულგარეთი).

**+100 კგ.** 1. როი მაიერი (ჰოლანდია), 2. ბარნა ბორი (უნგრეთი), 3. ალექსანდრ გორდიენკო, ანდრეი კოლესნიკი (ორივე - უკრაინა).

**ქალები**

**48 კგ.** 1. დისტრია კრასნიჩი (კოსოვო), 2. ბორისლავა დამიანოვა (ბულგარეთი). 3. ტატიანა ჯაბრაილოვა (უკრაინა), ვალენტინა მოსკატი (იტალია).

**52 კგ.** 1. რომი ტარანგული (გერმანია), 2. ტატიანა ლევიცკა. 3. მარია ბუიოკი (ორივე – უკრაინა), ოდეტა გიფრიდა (იტალია).

**57 კგ.** 1. ჰედვიგ კარაკასი (უნგრეთი), 2. კარლა ხრილი. 3. ჯუულ ფრანსეენი (ორივე – ჰოლანდია), ეველინე ჩოპი (შვეიცარია).

**63 კგ.** 1. ტინა ტრცენჯაკი (სლოვენია), 2. ედვიგ გვენდი (იტალია). 3. ნინა მილოშევიჩი (სლოვენია), ეკატერინა ვოლკოვა (რუსეთი).

**70 კგ.** 1. ჟევრის ემანი (საფრანგეთი), 2. სანდრა დიდრიხი (გერმანია), 3. ჯულია კანტონი, ვალერია ფერარი (ორივე - იტალია).

**78 კგ.** 1. ასუნტა ჯალეონე (იტალია), 2. ირის ლემენი, 3. კარენ სტევენსონი (ორივე - ჰოლანდია), ანასტასია ტურჩინი (უკრაინა).

**+78 კგ.** 1. კაროლინ ვაისი (გერმანია), 2. ვანესა ზამბოტი (მექსიკა), 3. ტესი ზაველკოულსი (ჰოლანდია), გალინა ტარასოვა (უკრაინა).

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალებით დაკმაყოფილდნენ

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ასპარეზობდა **ეკატერინე გორგოძე.** მეორე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ზედიზედ ორ მეტოქეს - გულმაზ დოკეისა (ყაზახეთი, 6:0, 6:3) და მელისა სეჰოვიჩს (ბოსნია, 6:1, 6:1) იოლად სძლია, მაგრამ მეოთხედფინალში ვანდა ლუკაშს ველარ გასცდა - 6:7, 4:6 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, თუმცა გორგოძე **სოფიო ქვაცაბაიასთან** ერთად ანტალიაში რჩება და დღეიდან ახალ 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. გორგოძე ისევ მეორე ნომერი იქნება და სტარტზე გაბრიელა ტალაბასთან (რუმინეთი) გაარკვევს ურთიერთობას. ქვაცაბაია მე-6 ნომრად განთესილ იულია სტომატოვას (ბულგარეთი) დაუპირისპირდება.

ამ კვირას გრენობლის (საფრანგეთი) 25.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში მე-7 ნომრად მოსინჯავს ძალებს **სოფიო შაფათავა.** რაც შეეხება **ანა ტატიშვილს**, ის მხოლოდ 10 თებერვლიდან ითამაშებს ამერიკულ მიდლენდში (საპრიზო ფონდი 100.000 დოლარი), სადაც რეიტინგფავორიტი ურსულა რადვანსკა (პოლონეთი) იქნება, რომელიც ამჟამად კლასიფიკაციაში 45-ე ადგილზეა, მეორე ნომრად რეიტინგით 67-ე ადგილზე მყოფი ხორვატი აილა ტომლიანოვიჩი განითესება.

■ ■ ■

ტუნისში ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობდა თბილისელი **ალექსანდრე ბაკში,** რომელმაც წყვილებში სერბ პეტარ კონკიჩთან ერთად წარმატებით განვლო ორი წრე, მაგრამ მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილ ფილიპ კრალჯევიჩისა და ტომისლავ პოდვინსკის (ორივე-ხორვატია) დუეტთან წააგო - 4:2, 3:5, 9:11. ბაკში ტუნისში რჩება და 4 თებერვლიდან ახალ ტურნირში აილებს სტარტს. იმავე დღეს დონეცკში (უკრაინა) ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირში მეორე ნომრად ჩაებმება **შოთა მეფარიძე.**


ალექსანდრე ბაკში

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# გვეტაძე ვაჟების პირისპირ

ერთი ქალი და თერთმეტი მამაკაცი მონაწილეობს საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 73-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელშიც უკვე გათამაშდა შვიდი ტური. მე-6 ტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა ყაიმით - **მიხეილ მჭედლიშვილი-ლევან ფანცულაია.** დანარჩენი შეხვედრები შედეგიანი აღმოჩნდა: **დავით ჯოჯუა-სოფიო გვეტაძე 1:0, დავით ბენიძე-მერაბ გაგუნაშვილი 0:1, ივერი ჭილლაძე-გაიოზ ნიგალიძე 0:1, თორნიკე სანიკიძე-კონსტანტინე შანავა 1:0, ალექსანდრე ყაშაშვილი-ლუკა პაიჭაძე 1:0.**

**მე-7 ტური.** პაიჭაძე-ჯოჯუა 0,5:0,5, შანავა-ყაშაშვილი 1:0, ფანცულაია-სანიკიძე 0,5:0,5, ნიგალიძე-მჭედლიშვილი 1:0, გაგუნაშვილი-ჭილლაძე 1:0, გვეტაძე-ბენიძე 1:0.

შვიდი ტურის შემდეგ: გაგუნაშვილი, ნიგალიძე-5,5-5,5, სანიკიძე-5, ფანცულაია-4,5, ჯოჯუა-4, მეჭედლიშვილი, ყაშაშვილი, პაიჭაძე-3,5-3,5, შანავა-3, გვეტაძე-2,5, ბენიძე-1, ჭილლაძე-0,5 ქულა.


სოფიო გვეტაძე

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ჯოჯუა-ბენიძე, ჭილლაძე-გვეტაძე, მჭედლიშვილი-გაგუნაშვილი, სანიკიძე-ნიგალიძე, ყაშაშვილი-ფანცულაია, პაიჭაძე-შანავა

**ვაჟა დანელია**

## გზის ნახევარი გავლილია

20.000 ფუნტი სტერლინგი - ასეთი პრიზი ელოდება გიბრალტარის ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალის მთავარი ტურნირის გამარჯვებულს, რომელსაც შვეიცარიული სისტემით 10 ტური გამოავლენს. მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი კი, შესაბამისად, 14.000-12.000-10.000 და 6.000 ფუნტით დაჯილდოვდებიან (სულ 12 საუკეთესოსთვისაა პრიზი დაწესებული), ხოლო ქალებში პირველ სამეულს 15.000-10.000-5.000 ფუნტი ელის. ალბათ, ამგვარი ჯილდოები განაპირობებს იმ სატურნირო დაძაბულობას, რომელიც ფესტივალზე სუფევს. ხუთი ტურის შემდეგ 8 მოჭადრაკეს 4.5-4.5 ქულა აქვს. ესენი არიან: მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი), პენტალა ჰარიკრიშნა (ინდოეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), მაქსიმ როდშტეინი (ისრაელი), ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი), ფრანცისკო ვალიეხო (ესპანეთი), ლი ჩაო (ჩინეთი) და რიჩარდ რაპორტი (უნგრეთი).

შეჯიბრებაში ორი ქართველი დიდოსტატიც ასპარეზობს. **ლელა ჯავახიშვილმა** 5 ტურში 3.5 ქულას მოუყარა თავი, **ბელა ხოტენაშვილს** კი 3 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

**ფიდემ,** ტრადიციულად, საუკეთესო მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. წინა თვის შედეგებით ქალთა პირველ ათეულში ადგილებს ინარჩუნებენ ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი.

# რას ამბობს რეიტინგი

**ქალები:** 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2693), 2. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2629), 3. ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2613), 4. ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2583), 5. ჟაო სიუე (ჩინეთი, 2549), 6. **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2546), 7. კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543), 8. **ბელა ხოტენაშვილი** (საქართველო, 2527), 9. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2527), 10. ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2520)... 33. **ნინო ხურციძე** (2456), 34. **სალომე მელია** (2453), 49. **ლელა ჯავახიშვილი** (2430), 52. **ნინო ბაციაშვილი** (2428), 65. **სოფიკო გურამიშვილი** (2400), 85. **თამარ წერეთელი** (2373), 86. **მერი არაბიძე** (2374), 91. **მაია ლომინეიშვილი** (2366).


ნანა ძაგნიძე

**ვაჟები.** 1. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2872), 2. ლევონ არონიანი (სომხეთი, 2826), 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2787), 4. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2785), 5. ფაბიანო კარუანა (იტალია, 2781), 6. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), 7. ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2776), 8. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2773), 9. სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2766), 10. ბორის გელფანდი (ისრაელი, 2761)... 44. **ბაადურ ჯობავა** (2706), 95. **მიხეილ მჭედლიშვილი** (2655).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა 2013-14

31 იანვარი, ბათუმი

ბათუმი **71**

10:18, 17:12, 27:8, 17:23

ოლიმპი **61**

**ბათუმი:** რამიშვილი (17ქ, 5ჩ), ნინუა (2ქ), ელიაშვილი (2ქ, 8მ), კეშელავა, კობიძე (3ქ), ელიაძე (5მ), ქეიდუგანი (25ქ, 6პ, 3ჩ), მაქკეფრი (14ქ, 6მ, 6პ), ბოლქვაძე, მიშკოვიჩი (8ქ, 13მ).

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (11ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), გ. მიქელაძე (2ქ, 5პ), თავართქილაძე (2ქ), ხანიაშვილი (1ქ), თენიეშვილი (8ქ, 5მ), ათანელიშვილი (4ქ), ხიზანიშვილი (3ქ), ჩიტაშვილი, ალხანაიძე (4ქ, 9მ), მათიაშვილი (26ქ, 11მ).

**მსაჯები:** დ. ბერიშვილი, გ. მიქელაძე, დ. ბერეკაშვილი

# ათი

## ნასესხები ფული და გადამწვარი ტრანსფორმატორი

31 იანვარს საქართველოს სუპერლიგის მეორე წრე განახლდა. მეათე ტურმა ინება, რომ სამიდან ორი შეხვედრა 10-ქულიანი სხვაობით დასრულებულიყო. მესამეში კი „ქუთაისმა" ოდნავ დააკლო - 9 ქულის სხვაობით იმარჯვა.

ქუთათურები დაუპირისპირდნენ „სოხუმს", რომლის კალათბურთელებსაც ხელფასები დიდი ხანია, არ მიუღიათ და იმერეთში მწვრთნელის, **ვაჟა კვარაცხელიას** ნასესხები ფულით გაემგზავრნენ.

იყო კიდევ ერთი არასასიამოვნო შემთხვევა - „შსს აკადემიასა" და „მაქაბის" დაპირისპირება შაბათს სპორტის სასახლეში უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაიწვა გენერატორი და შეხვედრაც 3 თებერვლისთვის გადაიდო. მატჩი ვაკეში, სპორტის სამინისტროს დარბაზში ჩატარდება.

გადამწყვეტი. რომ არა მესამე პერიოდში „ოლიმპის" ჩავარდნა (8:27), შეიძლებოდა დღეს დაგვეწერა, რომ მატჩში გადამწყვეტი ბათუმელთა ორი ფორვარდის არყოფნა იყო - **ჯერემი სეფოლდის** და **ჯეიმი ჯექსონისა**. საქმე ისაა, რომ ისინი რუსთავში 25 იანვარს გამართულ სუპერლიგის ვარსკვლავთა მატჩზე არ გამოცხადდნენ და სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

შეხვედრის საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა იქონია მეორე პერიოდის ბოლო წუთებმა. „ოლიმპი" 30:23-ს იგებდა, როცა ბათუმელებმა 26:5 გაქცევა მოაწყვეს და 49:35 დაწინაურდნენ.

სტატისტიკა არ ტყუის. ზღვისპირელებმა საბოლოოდ 10-ქულის სხვაობით რომ მოიგეს, სულაც არ არის გასაკვირი. მათ ხომ სამნამიანი ზონიდან (42:32) და სწრაფი გარღვევებით მოგროვილ ქულებში (24:14) 10-10 ქულიანი უპირატესობა ჰქონდათ.

რჩეული. „ბათუმს" ერთგვარად გაუმართლა - ორი ლიდერის არყოფნაში, წინასწარ ძნელი განსასაზღვრი იყო, როგორ ითამაშებდნენ საქართველოში ახლახან ჩამოსული დებიუტანტები **კამერონ მაქკეფრი** და **ნემანია მიშკოვიჩი**. პირველმა 14 ქულა და 6 პასი მიითვალა, მეორემ 8 ქულა და 13 მოხსნა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაამართლეს. თუმცა მათ ბომბარდირობა მაინც არ დაუთმეს სტაჟიანმა ბათუმელებმა - **ჯუნიორ ქეიდუგანმა** (26 ქულა) და **ნიკა რამიშვილმა** (17).

მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი კი ოლიმპელმა **რიჩარდ მათიაშვილმა** გაიფორმა - 26 ქულა, 11 მოხსნა.

გადამწყვეტი. მეოთხე პერიოდის წინ ტაბლოზე 49:49 ეწერა. ბოლო რაუნდი **დავით მაისურაძემ** ორქულიანით გახსნა და მასპინძლები დააწინაურა. როგორც აღმოჩნდა, ამ შეხვედრაში ბოლოჯერ, რადგან არმიელმა **ბექა ნივნივაძემ** ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდო და სტუმართა -2 +4-ად აქცია. ამის შემდეგ „არმიას" ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია.



არმიელი ბექა ნივნივაძე „რუსთავის" წინააღმდეგ სათასო მატჩისას

სტატისტიკა არ ტყუის. ქვემოქართლელებს შეეძლოთ ესარგებლათ „არმიას" ცენტრის **გიორგი შარაბიძის** არყოფნით და ფარქვეშ დიდი უპირატესობა მოეპოვებინათ, მაგრამ როგორც ჩანს, მათაც დიდი ძალა დააკლდათ - **სერგო ათუაშვილი** „რუსთავიდან" ტუნისში წავიდა. მოხსნებში „არმიამ" 51:40 იმარჯვა.

რჩეული. ნივნივაძემ მხოლოდ ორი სამქულიანით როდი დაგვამახსოვრა თავი, მან ყველაზე მეტი, 22 ქულა ჩააგდო და 4 პასი მიითვალა. ბექას ანგარიშზე 8-დან 7 ორქულიანი და 5-დან 2 სამიანია.

1 თებერვალი, რუსთავი

რუსთავი **58**

23:15, 14:18, 12:16, 9:19

არმია **68**

**რუსთავი:** გ. არაბული, არწივიძე (6ქ), ხმელიძე (14ქ, 11მ, 3პ), აბაიშვილი (12ქ, 4პ, 3ჩ), ჩაჩანიძე (15ქ), ყველაშვილი (6ქ, 5მ, 2დ), ჯ. არაბული, გუგავა (12მ), დ. მაისურაძე (5ქ).

**არმია:** ბაბუნაშვილი (8ქ, 5მ, 3პ), ბაბიაშვილი (6ქ, 7მ), ბერიშვილი (17ქ, 9მ, 4პ, 3დ), ჯღერენაია (3ქ), ნივნივაძე (22ქ, 5მ, 4პ, 4ჩ), ტუჯანი (6ქ, 5მ), კვეტენაძე (2ქ), ჩაჩიბაია (4ქ), კეიდია (5მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი, დ. ბერეკაშვილი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 9 | 7 | 2 | 684/595 | 16 |
| 2. ქუთაისი | 9 | 7 | 2 | 769/624 | 16 |
| 3. დინამო | 8 | 7 | 1 | 703/532 | 15 |
| 4. ბათუმი | 9 | 6 | 3 | 769/693 | 15 |
| 5. სოხუმი | 9 | 5 | 4 | 712/624 | 14 |
| 6. შსს აკადემია | 8 | 4 | 4 | 565/601 | 12 |
| 7. რუსთავი | 9 | 2 | 7 | 586/717 | 11 |
| 8. ოლიმპი | 9 | 1 | 8 | 639/753 | 10 |
| 9. მაკაბი | 8 | 0 | 8 | 556/844 | 8 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ქუთაისის 20-ქულიანი შემოტრიალება

31 იანვარი, ქუთაისი

ქუთაისი **77**

14:27, 15:13, 22:18, 26:10

სოხუმი **68**

**ქუთაისი:** ფაშაევი (14ქ, 9მ, 8პ), დიდია (6ქ, 7მ), ცეკვავა (16ქ, 6პ), ლომინაშვილი (8ქ), დვალიშვილი (21ქ, 12მ), გრძელიძე (4ქ), ცირეკიძე (2ქ), დ.ბარბაქაძე (4ქ), გ. ბარბაქაძე (2ქ)

**სოხუმი:** ივანიჩი, ჩლაიძე (12ქ), შვანგირაძე (6ქ, 8მ), ბააკაშვილი (13ქ), ქადარია (16ქ, 12მ), საიმონსი (21ქ, 18მ), დეკანოიძე.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო გადაწყვეტილი გვქონდა არ გვეთამაშა, მაგრამ ბოლო წამს მაინც გადავწყვიტეთ ქუთაისში გამომგზავრება, - აღნიშნა მატჩის შემდეგ „სოხუმის" მთავარმა მწვრთნელმა **ვაჟა კვარაცხელიამ**. მართლაც, დიდი შანსი იყო, რომ განახლებული სუპერლიგის ქუთაისური დაპირისპირება ჩაშლილიყო. „სოხუმის" კალათბურთელებს ხელფასები კარგა ხანია არ აუღიათ და ამის გამო გუნდი თამაშზე გასვლას არ აპირებდა, თუმცა, გადაწყვეტილება ბოლო წამს შეცვალეს და ქუთაისის სპორტის სასახლეში თამაშის დაწყებამდე 10 წუთით ადრე მივიდნენ. დარბაზში თავდაპირველად მხოლოდ ექვსი სოხუმელი კალათბურთელი გამოჩნდა, მთავარი მწვრთნელი და სათადარიგო კალათბურთელები კი გუნდს პირველი პერიოდის ბოლოს შეუერთდნენ.

პრობლემების მიუხედავად შეხვედრა სტუმრებმა კარგად დაიწყეს. შესანიშნავად ირჯებოდა **ჯერემი საიმონსი**, სწორედ ამერიკელი ლეგიონერის ზუსტი თამაშის წყალობით პირველი მეოთხედი სოხუმელებმა 27:14 მოიგეს. მეორე პერიოდიც სტუმართა უპირატესობით გაგრძელდა, სოხუმელთა უპირატესობამ 20 ქულასაც კი მიაღწია 37:17, მაგრამ ამის შემდეგ **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებმაც გამოასწორეს თამაში და სოხუმელთა 20 ქულიანი ფორაც ნელ-ნელა შემცირდა. ქუთაისელთაგან **გიორგი ცეკვავას** თამაში უნდა გამოვყოთ, რომელმაც გუნდის ლიდერობა იტვირთა და თანაგუნდელებიც აიყოლია. დიდ შესვენებაზე სტუმრები 11-ქულიანი სხვაობით გავიდნენ (29:40), თუმცა უკვე დაღლილობაც ეტყობოდათ.

მესამე პერიოდი უფრო აქტიურად "ქუთაისის" კალათბურთელებმა დაიწყეს. მასპინძლები სწრაფად მოქმედებდნენ და ამ ათწუთეულშივე გაათანაბრებდნენ ანგარიშს, რომ არა სოხუმელი **რატი ბააკაშვილის** 3 ზუსტი სამქულიანი. მისი წყალობით ბოლო პერიოდამდე "სოხუმმა" შვიდქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა - 51:58.

გადამწყვეტი. მატჩის ბედი დასკვნით მეოთხედში გადაწყდა. ადგილობრივი გულშემატკივრების მიერ გამხნევებულმა ქუთათურებმა მატჩის დასასრულამდე 4 წუთით და 14 წამით ადრე ცეკვავას შედეგიანი შეტევის შემდეგ პირველად შეძლეს დაწინაურება - 68:66. ამას **დიდიასა** და **ფაშაევის** სამქულიანები მოჰყვა, რამაც დაღლილი მეტოქე საბოლოოდ გატეხა. სტუმრებს თამაშის შემოსაბრუნებლად აღარც დრო დარჩათ და აღარც ძალები. „ქუთაისმა" მოპოვებული უპირატსეობა ხელიდან აღარ გაუშვა და 77:68 გაიმარჯვა.

სტატისტიკა არ ტყუის. ქუთაისელები ყოველთვის ზუსტი სამქულიანი სროლებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამ მატჩში მასპინძლები შორიდან არც თუ სახარბიელოდ ისროდნენ და 25 მცდელობიდან ბურთი მხოლოდ ექვსჯერ მოათავსეს კალათში. სამაგიეროდ, კარგად მოქმედებდნენ ფარქვეშ და საშუალო დისტანციიდანაც შედეგიანად ისროდნენ. ორქულიანებში ქუთაისელთა მონაგარი 59% იყო, 37.14%-ის წინააღმდეგ. მალხაზ კოხრეიძის შეგირდებმა კარგად გამოიყენეს საჯარიმოებიც (8-დან 7 ჩააგდეს), სოხუმელებს კი ამ მხრივ ძალიან ცუდი სტატისტიკა ჰქონდათ: მათ 31-ჯერ მიეცათ საჯარიმოს სროლის საშუალება და აქედან მხოლოდ 18 გამოიყენეს.

რჩეული. ჩვეულებისამებრ სასარგებლოდ გაისარჯა რიონისპირელთა ცენტრი **აკაკი დვალიშვილი**, რომელმაც 21 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. საუკეთესო მოთამაშად სწორედ ის უნდა ვაღიაროთ. არანაკლებ სასარგებლო იყო გოგა ცეკვავა, რომელმაც 16 ქულა ჩააგდო და 6 პასიც მიითვალა მშვენივრად ირჯებოდა ზაურ ფაშაევიც, რომელიც ქუთათურებს 14 ქულით, 9 მოხსნითა და 8 შედეგიანი გადაცემით შეეწია. რაც შეეხებათ სტუმრებს, სოხუმელთა რიგებში 21 ქულითა და 18 მოხსნით საუკეთესო საიმონსი იყო, „სოხუმს" რომ მოეგო ალბათ, MVP-ის წოდებას ვერავინ შეეცილებოდა. ორმაგი დუბლი შეასრულა **ვახტანგ ქადარიამაც** 16 ქულა და 12 მოხსნა, რომელმაც მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ქართველები NBA-ში



# ითამაშეს!

## შენგელიას დებიუტი, ფაჩულიას დაბრუნება

შაბათი დღე NBA-ში მოთამაშე ქართველებისთვის და მათი ქომაგებისთვის ისტორიული გამოდგა: „ჩიკაგო ბულსის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **თორნიკე შენგელიას**, რომელმაც „ნიუ ორლეანთან" სტუმრად გამართულ მატჩში (79:88) 2 წუთი ითამაშა და 1 მოხსნას გამორჩა.

ასევე გასახარი იყო „მემფისი"-"მილუოკის" დაპირისპირებაში (99:90) მოედანზე **ზაზა ფაჩულიას** გამოჩენა. იგი 28-მატჩიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა „ბაქსს" - წვივის ძვალი ჰქონდა გატეხილი.

ზაზამ 12 წუთში 2-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულას თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრა წაუმატა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ნაკრები

# დღეს წილისყრაა

3 თებერვალს, თბილისის დროით 16 საათზე ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა. ამ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს და იგი მეორე კალათაშია განთესილი.

26 გუნდი 7 ჯგუფად გაიყოფა (5 ოთხგუნდიანი, 2 სამგუნდიანი), საიდანაც ევრობასკეტი 2015-ის საგზურს პირველადგილოსნები მიიღებენ. მათთან ერთად ფინალურ ეტაპზე გავა ყველა მეორეადგილოსანი გარდა ერთისა (რომელსაც უარესი მაჩვენებლი აღმოაჩნდება).

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მონაწილეები 2015 წლის ევრობასკეტზე ავტომატურად მოხვდებიან: ესპანეთი, ხორვატია, საფრანგეთი, უკრაინა, სერბეთი, ლიტვა, სლოვენია, თურქეთი, საბერძნეთი, ფინეთი. მათ დაემატებათ გასულ წელს გამართული საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული ესტონეთი.

**I კალათა**

**იტალია, ლატვია, ბელგია, ბოსნია, გერმანია, ჩერნოგორია, ჩეხეთი.**

**II კალათა**

**დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ისრაელი, რუსეთი, საქართველო, შვედეთი, პოლონეთი.**

**III კალათა**

**ბულგარეთი, ბელარუსი, შვეიცარია, ავსტრია, ისლანდია, პორტუგალია, სლოვაკეთი.**

**IV კალათა**

**დანია, უნგრეთი, რუმინეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ეშმაკები გავანადგურეთ, რიგში მგლები არიან

საქართველო 35

ბელგია 0

**საქართველო** (15-9) კვირიკაშვილი (ნიკლაური 59), შკინინი, კაჭარავა, შარიქაძე, მაჩხანელი, ხმალაძე (მალაღურაძე 57), ბეგაძე (ხუციშვილი 49). (1-8) ნარიაშვილი (ჟვანია 47), ბრეგვაძე (მამუკაშვილი 57), ქუბრიაშვილი (ჩილაჩავა 47), მიქაუტაძე, დათუნაშვილი (ნემსაძე 57), თხილაიშვილი (ნარიაშვილი 75), ჩხაიძე, ბასილაია (კოლელიშვილი 57).

**ნლ:** მიქაუტაძე, კვირიკაშვილი (2), შარიქაძე, მაჩხანელი, ჩხაიძე. ს,გ: კვირიკაშვილი.

**სინბინი:** ჟვანია.

**ბელგია** (15-9) რუსი, მეგრელიძე (მაროტი 74), ბრებანი, პირონი, ჩონგე (ვილიამსი 50), ბრაუნი (დებატი 41), ბროუვერსი. (1-8) მასიმი (მირიალაკისი 41), დინსტი (ფერმიულენი 50), ჟადო (კუემუ 74), ნანა, ჰენდრიკსი (ფრატერი 64), მორელი (ლეკლუ 50), დე მოლდერი, ეპე.

**მსაჯი:** ვლად იორდაკესკუ (რუმინეთი)



ორი ლელოს ავტორი მერაბ კვირიკაშვილი

საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის წლევანდელი გათამაშება, რომელიც 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრეცაა, წარმატებით დაიწყო. „ბორჯღალოსნებმა" „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" შეჯიბრების დებიუტანტი ბელგიის ეროვნული ნაკრები დაამარცხეს მშრალი ანგარიშით - 35:0.

ამას წინ უძღვოდა რაგბის კავშირისა და საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მოთამაშეების მთელი ღამის შრომა. მათ დათოვლილი სტადიონი ნამქერისგან გაათავისუფლეს და ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გუნდს მეტ-ნაკლებად ნორმალური სათამაშო პირობები შეუქმნეს. ნათლად ჩანდა, რომ მოედანი მძიმე მდგომარეობაში იყო. მეორე ნახევრის დასაწყისისთვის ტალახი ისე აიზილა, გადაადგილება ჭირდა. ცხადია, ამან თამაშს გარკვეული დაღი დაასვა. ვფიქრობთ, უკეთეს პირობებში ანგარიშში სხვაობა ბევრად მეტი იქნებოდა.

მოედნის მძიმე გრუნტის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა მაინც შეძლო ხელდახელ ბურთაობის გაკვეთილი ჩაეტარებინა მეტოქისთვის. თუმცა, ძალისხმევა არც ჩვენს მორკინალებს დაუშურვებიათ. ერთი სიტყვით, „ბორჯღალოსნები" უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ და მეტოქე საკუთარი ჩათვლის მოედნის სიახლოვეს არ გააჭაჭანეს.

მატჩის დაწყებიდან ათ წუთში ნათელი გახდა, ვინ იყო იქაურობის ბატონპატრონი. ანგარიში „ბორჯღალოსნებმა" მე-6 წუთზე გახსნეს. თუმცა, სალელოვე იერიში ჩვენმა მორაგბეებმა ორი წუთით ადრე დაიწყეს. ბელგიელთა 22-მეტრიანი ზონის ხაზთან აგდებული დერეფანი მოვიგეთ და მარცხენა, მოკლე ფრთაზე გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** შეუტია. მერე, ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ** ბურთი მარჯვნივ გაათამაშა. იქ ჩვენმა მორკინალებმა ერთი მოკლე დარტყმა განახორციელეს და შეტევა კიდევ უფრო მარჯვნივ შუამარბებმა განავითარეს. ბეგაძემ კიდევ ერთხელ შეცვალა შეტევის მიმართულება. მან მარცხნივ მეზავ **ლაშა ხმალაძეს** გადააწოდა, რომელმაც გარღვევაზე მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია** მყისვე გაიყვანა. ამ ეპიზოდში გარემარბის პოზიციაზე ერთბაშად ორი ქართველი მეორეხაზელი აღმოჩნდა. ბასილაიამ კიდისკენ **ლევან დათუნაშვილს** გადააწოდა, რომელიც ორმა ბელგიელმა გვერდითი ხაზს იქით გადაიყვანა, თუმცა, „ჩაქუჩამ" მოასწრო და ბურთი იქვე მიმყოლ **კონსტანტინე მიქაუტაძეს** გადააწოდა, რომელსაც წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. ფულბეკმა **მერაბ კვირიკაშვილმა** გარდასახვიდან ბურთი ძელს გაარტყა - 5:0.

სამ წუთში კვირიკაშვილმა მონაგარის გაზრდა მაინც შეძლო. ბელგიელები ბურთს საკუთარი 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან ათამაშებდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში მათ ფეხით სცადეს მისი ჩვენს მოედანზე გადატანა, მაგრამ უხეიროდ დაარტყეს. ბურთი მაჩხანელის ნადავლი შეიქნა. კაპიტანმა მეტოქის ხაზის გაჭრა სცადა, მაგრამ შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან ბეგაძემ სწრაფად გამოიტანა, დროულად შენიშნა შუამარბ **დავით კაჭარავას** მანევრი, რომელიც მეტოქეს ხელიდან დაუსხლტა და ბურთი უკნიდან შეტევაში ჩართულ კვირიკაშვილს გაატანა. „მეკომ" ამჯერად გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 12:0.

ათ წუთში სალელოვე შეტევა ისევ კვირიკაშვილმა წამოიწყო. მან მეტოქის მიერ ფეხით დარტყმული ბურთი მოედნის საკუთარ ნახევარზე აიტაცა და ბელგიელთა დაცვის გაჭრა მათსავე ათმეტრიან ხაზთან სცადა. ის მოწინააღმდეგემ შებოჭა. ბეგაძემ რაკიდან გამოტანილი ბურთი მარცხნივ ხმალაძეს გადააწოდა, რომელმაც ცრუ მანევრით ორ ბელგიელს შორის გაიარა და სალელოვე გარღვევაზე დაფარული პასით იქვე მიმყოლი შუამარბი **მერაბ შარიქაძე** გაიყვანა. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 17:0.

12 წუთის შემდეგ კვირიკაშვილის მიერ გატანილი ლელო კი შედევრად შეიძლება მივიჩნიოთ. „ბორჯღალოსნებმა" მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 20 მეტრში შერკინება მოიგეს. ბასილაიამ იქიდან გამოტანილი ბურთი მარჯვნივ ბეგაძეს გაატანა, ამან შეტევაში ხმალაძე ჩართო, რომელმაც ფეხით ოსტატურად შეაცურა ბელგიელთა ლელოში, სადაც ბურთთან ყველაზე სწრაფად კვირიკაშვილი გაჩნდა. თუმცა, გარდასახვა ამჯერადაც ვერ გაიტანა - 22:0.

ტაიმის დასასრულს წამებიღა აკლდა, როცა საქართველოს ნაკრებმა მორიგი შეტევისას საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვა. ჩვენმა მორაგბეებმა კარში დარტყმა გადაწყვიტეს და კვირიკაშვილმა საერთო ყულაბას კიდევ სამი ქულა შემატა - 25:0. ასე დასრულდა მატჩის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ სტუმრები თითქოს ოდნავ გამოცოცხლდნენ. „შავი ეშმაკები" ძირითადად მორკინალების დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ „ბორჯღალოსნების" დაცვა მყარად იდგა. 56-ე წუთზე კი ჩვენმა მორაგბეებმა მეტოქის მორიგი შეცდომით ისარგებლეს. ბელგიელებმა ბურთი მოედნის ცენტრთან დაკარგეს, რომელიც შარიქაძემ აიტაცა და მეტოქის 22-მეტრიან ზონამდე ირბინა. მან მარცხნივ დაუცველი ზონა შენიშნა და ბურთი ფეხით სწორედ იქით შეაცურა. იქ ყველას გარემარბმა ირაკლი მაჩხანელმა დაასწრო და სტუმრებს მეხუთე ლელო გაუტანა. კვირიკაშვილმა გარდასახვა რთული პოზიციიდან ვერ გამოიყენა - 30:0.

ცხადია, ჩვენი გუნდის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ამიტომ, „ბორჯღალოსნების" მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** თამაშში ყველა სათადარიგო ჩართო. შეხვედრის ბოლოს, მეექვსე ლელო საქართველოს ნაკრებმა ტრადიციული მეთოდით, შერკინების მძლავრი მიწოლით 65-ე წუთზე გაიტანა. ჩვენს სასარგებლოდ შერკინება ბელგიელთა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დაინიშნა. „ბორჯღალოსნებმა" პირველივე ცდაზე მეტოქე ლელოში შეათრიეს და მესამეხაზელ **გიორგი ჩხაიძეს**, რომელიც ამ მატჩში დერეფანში დომინირებდა, ბურთის დამიწება არ გასჭირვებია. გარდასახვა ამჯერად შეცვლაზე შესულმა **ლაშა მალაღურაძემ** დაარტყა და მანაც ბურთი ძელს გაარტყა - 35:0.

ანგარიში თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა. საქართველოს ნაკრებმა წლევანდელი სტარტი შესანიშნავად აილო. მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანა, რისთვისაც დამატებით ერთი-პრემიალური ქულაც მიითვალა.



გიორგი ჩხაიძე ლელოს გასატანად ემზადება

## მატჩის შემდეგ

**რიშარ მაკკლინტოკი,** ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ამ შეხვედრაზე აქცენტს არ ვაკეთებდით. წინა სეზონებში უკრაინამ და გერმანიამ ვერ შეძლო ერთა თასზე ფეხის მოკიდება. ჩვენ ამის შანსი გვაქვს და ერთი კვირის შემდეგ ესპანეთში, ვფიქრობ, გადამწყვეტი მატჩი გველის. სწორედ ამიტომ დავასვენეთ დაახლოებით ათი მოთამაშე. აქედან გამომდინარე, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. შედეგი კანონზომიერი იყო, ამინდი აქ არაფერ შუაშია. ჩვენ საქართველოს ძლიერ ნაკრებს ვეთამაშებოდით.*



მერაბ შარიქაძის სალელოვე შეტევა

*თორნიკე მეგრელიძეს რაგბის ნიჭი გენებში აქვს. ის ახალგაზრდა მოთამაშეა და, ვფიქრობ, 2-3 წელიწადში საკმაოდ ძლიერ მორაგბედ ჩამოყალიბდება. ჩვენს ნაკრებში ადრეც თამაშობდა ქართველი მორაგბე, გიორგი ნემსაძის ძმა, დავით ნემსაძე. ასე რომ, ქართველებზე კარგი წარმოდგენა გვაქვს."*

**მიქაელ დე მოლდერი,** ბელგიის ნაკრების კაპიტანი:

*„მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ნაკრებს იმისთვის, რომ სუფთად გვეთამაშა და ტრავმების გამო არავინ დაგვაკლდება. ჩვენ ძალიან თბილად მიგვიღეს და იმდენად ალტაცებულნი ვართ, რომ დღეიდან თქვენი ყველაზე გულმხურვალე ქომაგები ვიქნებით. ძალიან გვინდა ერთა თასზე ადგილი შევინარჩუნოთ და მომავალშიც გვეწვიოთ."*

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„მადლობა მინდა გადავუხადო რაგბის კავშირის ყველა თანამშრომელს და იმ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ მოედანი სათამაშოდ ვარგისი ყოფილიყო. რთული პირობების მიუხედავად, ჩვენ ექვსი ლელო გავიტანეთ და მეტოქეს ქულების ალების საშუალება არ მივეცით, რაც კარგი შედეგია. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ. განსაკუთრებით კი, საწყის 15 წუთში. ყველაფერი დასახული გეგმის მიხედვით მიდიოდა და შედეგიც სახეზეა. უნდა ვეცადოთ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან თამაშისას გეგმას არ გადავუხვიოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ წარმატებას.*

*არ ვიცით, რა მდგომარეობაშია დავით ქუბრიაშვილის ხელი. ვიდეო ანალიზის ნახვის შემდეგ გადავწყვეტთ, რა ცვლილებები განვახორციელოთ შემადგენლობაში. პორტუგალიაში უკეთეს მოედანზე მოგვიწევს თამაში და გუნდიც ბევრად უკეთესია, ვიდრე ბელგია. პორტუგალიელები გაშლილ, უფრო მრავალფეროვან რაგბის თამაშობენ და ამიტომ, სულ სხვა შინაარსის მატჩი გველის"*

**ირაკლი მაჩხანელი,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„სეზონის დაწყება ყოველთვის გვიჭირდა, მაგრამ ამჯერად კარგად ვითამაშეთ. ვფიქრობ, ჩვენი გუნდი უკვე საკმაოდ დაბალანსებულად თამაშობს. არავის ალუნიშნავს, რომ ნოემბრის ტესტებზე ოთხი ლელო გავიტანეთ და ოთხივე უკანახაზელების ანგარიშზე იყო. თუ ადრე შერკინება თამაშობდა და უკანა ხაზი იდგა, ახლა ასე აღარ არის. დღეს შერკინებამაც და უკანა ხაზმაც თანაბარი სამუშაო გასწია. ვფიქრობ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რათა დასახულ მიზანს მივაღწიოთ".*

### ერთა თასი

| | |
|---|---|
| რუმინეთი-პორტუგალია | 24:0 |
| ესპანეთი-რუსეთი | 25:28 |

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +35 | 5 |
| 2. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +24 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +3 | 4 |
| 4. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -3 | 1 |
| 5. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -24 | 0 |
| 6. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

### მსოფლიოს თასის შესარჩევი

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 6 | 5 | 1 | 0 | +109 | 24 |
| 2. რუმინეთი | 6 | 5 | 1 | 0 | +73 | 23 |
| 3. რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | -3 | 18 |
| 4. პორტუგალია | 6 | 1 | 1 | 4 | -45 | 7 |
| 5. ესპანეთი | 6 | 0 | 2 | 4 | -60 | 6 |
| 6. ბელგია | 6 | 0 | 1 | 5 | -74 | 5 |

### II ტური

### 8 თებერვალი

პორტუგალია-საქართველო

რუსეთი-რუმინეთი

ესპანეთი-ბელგია

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ოლსტარი 2014

# ჯერ დურანტის სერია შეწყდა...

„ბრუკლინთან“ მატჩში „ოკლაჰომას“ ლიდერმა **კევინ დურანტმა** შეწყვიტა თავისი უნიკალური სერია, რომლის დროსაც, ზედიზედ 12 მატჩში მინიმუმ 30 ქულა დააგროვა. თუმცა ამაში „დამნაშავე“ კალათბურთელი არ არის. მან თამაშიდან 12-დან 10 ტყორცნა მოათავსა კალათში და 30 წუთში 26 ქულა დააგროვა. მისი ასეთი თამაშით, შეხვედრის ბედი სირენამდე დიდი ხნით ადრე გაირკვა და „თანდერის“ მთავარმა მწვრთნელმა **სკოტ ბრუქსმა** მესამე მეოთხედის დასრულებამდე ორი წუთით ადრე სათადარიგოთა სკამზე დასვა სნაიპერი. ასე რომ, დურანტმა დაკარგა **ტრეისი მაკგრეიდის** რეკორდის (ზედიზედ 14 30-ქულიანი მატჩი) გაუმჯობესების შანსი, მაგრამ მატჩის დასრულების შემდეგ, ამასთან დაკავშირებით სრული გულგრილობა გამოიჩინა და განაცხადა, რომ მისთვის მთავარი მიზანი - გუნდის გამარჯვებაა.

მოგება კი მართლაც ძალიან დამაჯერებელი იყო: უკვე დიდი შესვენებისთვის „ოკლაჰომა“ 28 ქულით იგებდა, სულ კი დასავლეთი კონფერენციის ლიდერმა ტყორცნების ორი მესამედი გამოიყენა და ფარქვეშ ბრძოლაში გაანადგურა მეტოქე - „ბრუკლინმა“, რომელმაც იანვარის თვე 10 მოგებითა და 3 წაგებით დაასრულა, მხოლოდ 17 (!) მოხსნა შეაგროვა, რაც ამ სეზონის ანტირეკორდია. საშინელი მატჩი ჩაატარა **კევინ გარნეტმა** - პირველად სადებიუტო მატჩის შემდეგ, მან ქულის გარეშე დატოვა მოედანი.

დურანტის შეწყვეტილ სერიაზე კი ყველაზე საინტერესო კომენტარი სკოტ ბრუქსს ჰქონდა. მან ხუმრობით აღნიშნა, რომ საერთოდ არ არის დამნაშავე მომხდარში: *„თუ კევინს მართლაც აწუხებდა საკუთარი სერია, მაშინ არ ააცილებდა იმ ორ ტყორცნას. ეს მისი შეცდომაა და მე ნუ დამაბრალებთ“.*

ამასობაში, ამერიკელმა სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ კევინ დურანტი გახდა მეექვსე მოთამაშე ისტორიაში, ვინც ერთ თვეში მინიმუმ 550 ქულა და 90 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. ბოლოს, ასეთი შედეგი **მაიკლ ჯორდანს** ჰქონდა 1987 წლის მარტში, უფრო ადრე კი **ნეიტ არჩიბალდს, ქარიმ აბდულ-ჯაბარს, ოსკარ რობერტსონსა** და **ჯერი უესტს.**



დურანტი ბრუკლინში

**1 თებერვალი**

**ორლანდო-მილუოკი 113:102**
35:20, 32:28, 21:18, 25:38
ო: აფლალო (21), ტ. ჰარისი (18), ოლადიპო (15).
მ: კ. ბატლერი (20), ადეტოკუმბო (15).

**ფილადელფია-ატლანტა 99:125**
21:27, 31:37, 23:38, 24:23
ფ: ტ. იანგი (29), კარტერ-უილიამსი (17), ე. უილიამსი (15), ლ. ალენი (11+10 მოხსნა).
ა: სკოტი (18), ბრენდი (18).

**ბრუკლინი-ოკლაჰომა 95:120**
16:30, 19:33, 24:26, 36:31
ბ: ლივინგსტონი (16).
ო: დურანტი (26), იბაკა (25).

**მინესოტა-მემფისი 90:94**
22:30, 15:20, 30:16, 23:28
მინ: ლავი (28+16 მოხსნა).
მემ: ზ. რენდოლფი (26+12 მოხსნა), ლი (16).

**დალასი-საკრამენტო 107:103**
24:20, 30:29, 21:32, 32:22
დ: ნოვიცკი (34), ელისი (20), ბ. რაიტი (10+10 მოხსნა).
ს: გეი (35+12 მოხსნა), ა. ტომასი (19).

**დენვერი-ტორონტო 90:100**
25:29, 28:31, 17:26, 20:14
დ: ჰიქსონი (18+13 მოხსნა), ფურნიე (18), ფოიე (10+16 პასი).
ტ: დეროზანი (19), როსი (18).

**ლეიკერსი-შარლოტი 100:110**
27:31, 22:31, 25:24, 26:24
ლ: პ. გასოლი (24), ნ. იანგი (21), მიქსი (19), მარშალი (10+12 პასი).
შ: ელ ჯეფერსონი (40+18 მოხსნა), ჰენდერსონი (20).

**იუტა-გ. სტეიტი 90:95**
21:23, 27:18, 23:25, 19:29
ი: ბერქსი (26), კანტერი (15).
გ-ს: კარი (44), ბოგუტი (16+17 მოხსნა).

# ...შემდეგ ოკლაჰომასი

**ᲗᲣ** შაბათს **დურანტის** წარმატებული სერია დასრულდა, მეორე დღეს, „ოკლაჰომამ“ წააგო შეხვედრა ზედიზედ 10 მოგების შემდეგ. ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ „თანდერის“ ეს სერია ვაშინგტონში შეწყდებოდა.

დურანტი თავის მშობლიურ ქალაქში თამაშობდა და, როგორც ჩანს, ინერვიულა ტრიბუნებზე მყოფი უამრავი მეგობრისა და ნათესავის თვალწინ. „დურანტულამ“ თამაშიდან 21-ჯერ ისროლა და მხოლოდ 8 ბურთი მოათავსა კალათში, შესაბამისად, ზედიზედ მეორე მატჩში ვერ შეძლო 30 ქულის დაგროვება. დურანტის ასეთი შედეგიანობა მისი მეურვის **ტრევორ არიზას** ბრალიცაა, რომელმაც შესანიშნავი დაცვა ითამაშა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის წინააღმდეგ.

„ოკლაჰომას“ ცუდი სამსახური გაუწია პირველ მეოთხედში დაშვებულმა 10-მა შეცდომამ, რამაც „ვაშინგტონს“ 12-ქულიანი უპირატესობა მოუტანა და სტუმრებმა მისი გაბათილება ვერ შეძლეს. „უიზარდსის“ რიგებში ორმა კალათბურთელმა შეასრულა ორმაგი დუბლი: **ჯონ უოლმა** (17+15 პასი) და **მარცინ გორტატმა** (14+14 მოხსნა) და მათი მონდომებით, დედაქალაქურ კლუბს მოგება/წაგების თანაბარი ბალანსი აქვს.

**2 თებერვალი**

**ინდიანა-ბრუკლინი 97:96**
25:24, 21:21, 26:25, 25:26
ი: ჰიბერტი (20), ჯორჯი (20), უესტი (17), სტივენსონი (14), ჰილი (10).
ბ: ლივინგსტონი (24), ჯო ჯონსონი (16), პირსი (15), დერონ უილიამსი (13), გარნეტი (12+10 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ოკლაჰომა 96:81**
25:13, 17:25, 36:26, 18:17
ვ: არიზა (18), უოლი (17+15 პასი), ნენე (17), გორტატი (14+14 მოხსნა), უებსტერი (10).
ო: დურანტი (26), იბაკა (14), რ. ჯექსონი (12).

**ატლანტა-მინესოტა 120:113**
25:24, 23:30, 38:21, 34:38
ა: კორვერი (24), მილსეპი (20+13 მოხსნა), ტიგი (19+8 პასი), კეროლი (19), სკოტი (14).
მ: ლავი (43+19 მოხსნა), კევ. მარტინი (17), ბარეა (12), კ. ბრიუერი (10).



ვაშინგტონი-ოკლაჰომა

**დეტროიტი-ფილადელფია 113:98**
32:22, 25:27, 36:21, 20:28
დ: დრამონდი (22+14 მოხსნა), მონრო (21+12 მოხსნა), სინგლერი (20+10 მოხსნა), ჯენინგსი (20), კოლდუელ-პოუპი (12).
ფ: როუტენი (18), ე. უილიამსი (15), ტერნერი (15), ტ. იანგი (14), ჯ. ანდერსონი (12).

**ჰიუსტონი-კლივლენდი 106:92**
31:23, 30:29, 23:21, 22:19
ჰ: ჰარდენი (28), ჰოვარდი (26), ჯონსი (17), ლინი (15+11 მოხსნა+10 პასი), ბევერლი (0+10 მოხსნა+8 პასი).
კ: დენგი (24), ირვინგი (21), უეიტერსი (19).

**მემფისი-მილუოკი 99:90**
17:24, 26:25, 24:20, 32:21
მემ: ზ. რენდოლფი (23+10 მოხსნა), კალატესი (22), მ. გასოლი (19), ჯეიმს ჯონსონი (14).
მილ: ნაითი (23), ილიასოვა (14+13 მოხსნა), მიდლტონი (12), სანდერსი (10), კ. ბატლერი (10).

**ნ. ორლეანი-ჩიკაგო 88:79**
23:21, 27:18, 21:18, 17:22
ნ-ო: დევისი (24), ტ. ევანსი (11).
ჩ: ოგასტინი (23), გიბსონი (17+10 მოხსნა), ნოა (14+16 მოხსნა), ჯ. ბატლერი (10).

**ნიუ იორკი-მაიამი 91:106**
22:29, 24:24, 25:24, 20:29
ნ-ო: ენტონი (26+8 მოხსნა), ჯ-ა. სმიტი (20), ჰარდუეი (17), ტ. ჩენდლერი (8+11 მოხსნა).
მ: ჯეიმსი (30), უეიდი (22), ბატიე (16), ჩელმერსი (11), ანდერსენი (10), ბოში (4+10 მოხსნა).

**სან ანტონიო-საკრამენტო 95:93**
27:24, 25:29, 19:25, 24:15
ს-ა: დანკანი (23+17 მოხსნა), პარკერი (18+10 პასი), მაილზი (15), დიაო (14).
ს: ა. ტომასი (26), გეი (23), დერიკ უილიამსი (14), ტომპსონი (10).

**ფინიქსი-შარლოტი 105:95**
32:27, 27:14, 31:22, 15:32
ფ: დრაგიჩი (25), მარკუს მორისი (15), მარკიფ მორისი (13), მ. პლამლი (6+11 მოხსნა).
შ: ტოლივერი (14), პარგო (12), კიდ-გილკრისტი (11), სეშენსი (11), ზელერი (11), მაკრობერტსი (11), ჯეფერსონი (10).

**პორტლენდი-ტორონტო 106:103**
31:19, 26:21, 26:34, 23:29
პ: ოლდრიჯი (27+15 მოხსნა), ლილარდი (21), მეტიუზი (21), ბატუმი (18).
ტ: დეროზანი (36+12 პასი), ლოური (23+8 პასი), ვალანჩუნასი (18), პატერსონი (13).

**კლიპერსი-იუტა 102:87**
19:21, 23:21, 34:23, 26:22
კ: ჯ. კროუფორდი (27), გრიფინი (25+11 მოხსნა), კოლისონი (11), ჯორდანი (10+14 მოხსნა).
ი: კანტერი (23+14 მოხსნა), ჯეფერსონი (19), ჰეივორდი (15), მარვ. უილიამსი (9+10 მოხსნა).

# სათადარიგოებიც დაასახელეს

**ᲡᲠᲣᲚᲐᲓ** დაკომპლექტდა „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილე გუნდების შემადგენლობები. სასტარტო ხუთეულების გამოცხადების შემდეგ, NBA-მ აღმოსავლეთი და დასავლეთი კონფერენციების ნაკრებთა სათადარიგო მოთამაშეების სია გამოაქვეყნა.

საბოლოოდ, „ოლ სტარის“ შემადგენლობებმა ასეთი სახე მიიღო:

| დასავლეთი | აღმოსავლეთი |
|---|---|
| **სასტარტოები** | **სასტარტოები** |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | ლებრონ ჯეიმსი (მაიამი) |
| სტივენ კარი (გ. სტეიტი) | დუეინ უეიდი (მაიამი) |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | კარმელო ენტონი (ნიუ იორკი) |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპერსი) | პოლ ჯორჯი (ინდიანა) |
| კევინ ლავი (მინესოტა) | კაირი ირვინგი (კლივლენდი) |
| **სათადარიგოები** | **სათადარიგოები** |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | კრის ბოში (მაიამი) |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუსტონი) | როი ჰიბერტი (ინდიანა) |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუსტონი) | დემარ დეროზანი (ტორონტო) |
| კრის პოლი (კლიპერსი) | ჯო ჯონსონი (ბრუკლინი) |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | პოლ მილსეპი (ატლანტა) |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორტლენდი) | ჟოაკიმ ნოა (ჩიკაგო) |
| დამიენ ლილარდი (პორტლენდი) | ჯონ უოლი (ვაშინგტონი) |
| ***მწვრთნელი:*** *სკოტ ბრუქსი (ოკლაჰომა)* | ***მწვრთნელი:*** *ფრენკ ფოგელი (ინდიანა)* |

დასავლეთის შემადგენლობაში აუცილებლად მოხდება ცვლილება, რადგან **კობი ბრაიანტი** ტრავმის გამო ვერ შეძლებს თამაშს. გარდა ამისა, კითხვის ნიშნის ქვეშ არის „კლიპერსის“ გამთამაშებლის **კრის პოლის** თამაში. ამ მომენტისთვის, მცველი მხარის ტრავმას მკურნალობს, რომელიც იანვრის დასაწყისში მიიღო. ექიმები ჯერჯერობით ზუსტ პროგნოზს ვერ იძლევიან კალათბურთელის მოედანზე დაბრუნების თარილის შესახებ.

# კობის საქმე კარგად იქნება

**ᲐᲮᲐᲚᲘ** ინფორმაცია ვრცელდება **კობი ბრაიანტის** შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, გამოტოვებს „ყველა ვარსკვლავის მატჩს“. NBA-ის ყველაზე ტიტულოვანმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა **ფილ ჯექსონმა** დარწმუნებით განაცხადა, რომ მძიმე ტრავმების მიუხედავად, „ლეიკერსის“ ლიდერი ღირსეულად დაბრუნდება მოედანზე.

*„ეჭვი არ მეპარება, რომ მოედანზე დაბრუნების შემდეგ, მისი შედეგიანობა მაინც მაღალი იქნება. გაიხსენეთ მაიკლ ჯორდანი: კარიერის ბოლოს, ის უპრობლემოდ აგროვებდა მატჩში 20 ქულას. ვფიქრობ, კობის ეს შესანიშნავად ესმის. ის ხომ კარგად მოქმედებს ფარტან ზურგშექცევით, სტაბილურად ისვრის შორი მანძილიდან და კარგად იყენებს პარტნიორების ბლოკებს. ეს ყველაფერი ასე უცებ არ გაქრება“,* - აცხადებს ჯექსონი.



კობი და ფილი

ამასოაბაში, გამოჯანმრთელდნენ „ლეიკერსის“ სხვა ტრავმირებული მოთამაშეები. უკვე შეუდგნენ ვარჯიშებს **სტივ ბლეიკი, ჯორდან ფარმარი** და, რაც მთავარია, **სტივ ნეში**. ეს, რა თქმა უნდა, გააძლიერებს გუნდის უკანა ხაზს. მაგრამ გაუგებარია, რომელმა მათგანმა უნდა ამოაგდოს შემადგენლობიდან **კენდალ მარშალი**, რომელიც ბოლო დროს ბრწყინვალე თამაშს აჩვენებს.

● ამბები

## კომისარი შეიცვალა

**ᲙᲕᲘᲠᲐᲡ**, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისრის თანამდებობა ოფიციალურად დატოვა **დევიდ სტერნმა**, რომელიც ზუსტად 30 წელი ხელმძღვანელობდა ლიგას - 1984 წლის პირველი თებერვლიდან.

ამ გადაწყვეტილების შესახებ 2012 წლის ოქტომბრიდან იყო ცნობილი, გასულ წელს კი სტერნმა გამოაცხადა, რომ ახალი კომისარი გახდებოდა მისი თანაშემწე **ადამ სილვერი**. ამ უკანასკნელმა პირველი თებერვლიდან დაიწყო მუშაობა ახალ თანამდებობაზე.

სტერნის ხელმძღვანელობის პერიოდში, NBA-ში შვიდი ახალი კლუბი გამოჩნდა: „შარლოტ ჰორნეტსი“ (მოგვიანებით ნიუ ორლეანში გადავიდა და ახლა „პელიკანსი“ ჰქვია), „მინესოტა ტიმბერვულვზი“, „მაიამი ჰიტი“, „ორლანდო მეჯიქი“, „ვანკუვერ გრიზლისი“ (ამჟამად მემფისში თამაშობს), „ტორონტო რეპტორზი“ და „შარლოტ ბობკეტსი“. გარდა ამისა, ლიგაში შემოიღეს დრესკოდი და დრაფტლატარია.

## ბაინუმი ინდიანამ შეიძინა

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ** კონფერენციის ლიდერმა „ინდიანა პეისერსმა“ კონტრაქტი გააფორმა ცენტრ **ენდრიუ ბაინუმთან**, - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. კალათბურთელი შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა და ახლა, წლევანდელი სეზონის ბოლომდე ითამაშებს „პეისერსის“ რიგებში.

შეგახსენებთ, რომ იანვრის დასაწყისში ბაინუმი „კლივლენდიდან“ „ჩიკაგოში“ გაცვალეს, „ბულზმა“ კი მაშინვე გაწყვიტა მასთან ხელშეკრულება სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვისთვის. მანამდე კი „კავალიერზმა“ ბაინუმი ვარჯიშებს ჩამოაშორა. მიმდინარე სეზონში ცენტრმა 24 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და საშუალოდ, 8.4 ქულა და 5.3 მოხსნა დააგროვა. მას 26 დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია რეგულარულ ჩემპიონატში.

## რობინსონმა სეზონი დაასრულა

„**ᲓᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲐᲒᲔᲢᲡᲘᲡ**“ მცველი **ნეიტ რობინსონი** სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას მუხლის ტრავმის გამო. კალათბურთელმა ეს დაზიანება „შარლოტთან“ პარასკევის მატჩისას მიიღო.

როგორც ამერიკული პრესა წერს, რობინსონს უკვე გაუკეთეს ოპერაცია და აღდგენით კურსს რამდენიმე თვე დასჭირდება. წლევანდელ სეზონში მან 44 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 10.4 ქულა და 2.5 შედეგიანი პასი დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2014

# დღეს წილისყრაა




კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, რომლებმაც მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის სპეციალური მიწვევა მიიღეს. ესენი არიან: ფინეთი, ბრაზილია, საბერძნეთი და თურქეთი. ასე რომ, გაირკვა ტურნირის მონაწილეების სრული სია - პლანეტის პირველობაზე 24 გუნდი გამოვა: ესპანეთი (მასპინძელი), აშშ (მოქმედი ჩემპიონი), საბერძნეთი, ლიტვა, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა, სერბეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, დომინიკის რესპუბლიკა, პუერტო რიკო, ანგოლა, ეგვიპტე, სენეგალი, ფილიპინები, ირანი, კორეა, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

დღეს ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება, გუშინ კი FIBA-მ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა წილისყრისთვის საჭირო კალათების შემადგენლობა:

**I კალათი:** არგენტინა, ლიტვა, ესპანეთი, აშშ

**II კალათი:** ანგოლა, ეგვიპტე, სენეგალი, ფინეთი

**III კალათი:** ირანი, ს. კორეა, ფილიპინები, ახ. ზელანდია

**IV კალათი:** ხორვატია, სერბეთი, სლოვენია, უკრაინა

**V კალათი:** ბრაზილია, დომინიკა, მექსიკა, პუერტო რიკო

**VI კალათი:** ავსტრალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, თურქეთი

მსოფლიოს ჩემპიონატი 30 აგვისტოს ესპანეთში დაიწყება და 14 სექტემბრამდე გაგრძელდება.

## მძლეოსნობა

# ძალიან ახლოს ბუბკასთან




ჭოკით ხტომაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფრანგმა **რენო ლავილენიმ** პოლონეთში გამართულ ტურნირზე ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა და 7 სანტიმეტრი დააკლდა ლეგენდარული უკრაინელის **სერგეი ბუბკას** რეკორდამდე.

შაბათს, 27 წლის ფრანგმა დაძლია 6.08 მეტრი. მძლეოსნობის ისტორიაში, უფრო მაღალი შედეგი ბუბკას აქვს ნაჩვენები. დარბაზებისთვის მისი რეკორდი 6.15 მეტრს უდრის და ის 1993 წელს არის დამყარებული. სხვათა შორის, ლავილენიმ სცადა პოლონეთის ტურნირზე რეკორდის დამყარება, მაგრამ 6.16-ზე სამივე ცდა წარუმატებელი გამოდგა.

15 თებერვალს, ლავილენი გამოვა დონეცკის ტურნირზე, სადაც 21 წლის წინ, ბუბკამ საკუთარი რეკორდი დაამყარა.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე, მძლეოსნობაში დარბაზებისთვის კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. გერმანიის ქალაქ კარლსრუეში, 1500 მეტრ დისტანციაზე ქალებს შორის სირბილში გაიმარჯვა ეთიოპიელმა **გენზებე დიბაბამ**. მისი დრო - 3 წუთი და 55.17 წამი მსოფლიოს ახალი რეკორდია. წინა რეკორდი რუს **ელენა სობოლევას** ეკუთვნოდა.

## ცურვა

# ტორპის დეპრესია, ლოთობა და ტრავმა

სერიოზული პრობლემების წინაშეა ლეგენდარული ავსტრალიელი მოცურავე **იან ტორპი**. მას დეპრესია შეეყარა და ამ ფონზე ალკოჰოლს მიეძალა. გაზეთ The Sydney Morning Herald-ის ინფორმაციით, გასულ კვირის დასაწყისში ნასვამი ტორპი საკუთარ სახლში დაეცა და ტრავმა მიიღო. ამის შესახებ მხოლოდ 31 იანვარს გახდა ცნობილი. 29 იანვარს კი ტორპი ალკოჰოლისადმი დამოკიდებულების სამკურნალოდ სარეაბილიტაციო ცენტრში მოათავსეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა სიტუაციაში მიიღო ტრავმა 31 წლის მოცურავემ. ტორპის ერთ-ერთმა მეგობარმა აღნიშნა, რომ სპორტსმენს მართლაც აქვს სერიოზული სირთულეები ალკოჰოლთან დაკავშირებით. ადრე, ამ პრობლემაზე თავად მოცურავე წერდა საკუთარ ავტობიოგრაფიაში.

გუშინ, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონის წარმომადგენლებმა უარყვეს ინფორმაცია სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების შესახებ. განცხადებაში წერია, რომ ავსტრალიელმა მცირე ხანი დაყო კლინიკაში, სადაც მას მხარზე ოპერაცია ჩაუტარდა.

ბოლო წელიწადნახევარია, ტორპი შვეიცარიაში ცხოვრობდა. ავსტრალიაში ის შობაზე ჩავიდა და სამშობლოში რამდენიმე ღონისძიებას დაესწრო. მაგალითად, ის შეამჩნიეს ჩოგბურთის ავსტრალიის ღია პირველობის მატჩებზე, გარდა ამისა, ვარჯიშობდა საფეხბურთო კლუბ „მელბურნ ვიქტორის" ფეხბურთელებთან ერთად.



იან ტორპი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 1 თებერვალი

**რეინჯერსი-აილენდერსი 4:1**

1:0, 0:1, 3:0

**გოლები:** 1:0 ბ. ბოილი-4 (მ. სტაალი-6), 1:1 ოკსოპო-24 (დე ჰაანი-8, ბეილი-14), 2:1 ბრასარი-9 (მ. სტაალი-7, ცუკარელო-24), 3:1 ბ. რიჩარდსი-14 (კელეჰანი-12, ჰაგელინი-9), 4:1 მაკდონაჰი-8 (დ. მური-8).

**კაროლინა-სტ ლუისი 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 გერბე-12 (სეკერა-23, ფოლკი-18), 1:1 ბეკსი-18 (როი-24, ოში-31), 2:1 სკინერი-23 (ჯ. სტაალი-15), 3:1 სიომინი-13.

**დეტროიტი-ვაშინგტონი 4:3 (ბ)**

0:1, 2:0, 1:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჩიმერა-11 (ბექსტრიომი-40, ჯ. კარლსონი-11), 1:1 დ. მილერი-6 (გლენდენინგი-4, ივსი-3), 2:1 დეკეისერი-3 (მიპენი-6), 2:2 ველმანი-2 (ოვეჩკინი-18), 3:2 ნიკუისტი-10, 3:3 ოვეჩკინი-39 (ჯ. კარლსონი-12, ჩიმერა-16).

**ბულიტები გაიტანეს:** ივსი (დეტროიტი).

**ნეშვილი-ნიუ ჯერსი 3:2 (ო)**

1:0, 0:2, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 შ. უებერი-14 (ჰორნკვისტი-18), 1:1 ელიაში-11 (იაგრი-31, ზეიჯაკი-19), 1:2 იაგრი-17 (ელიაში-22, ზეიჯაკი-20), 2:2 ლეგუანდი-10 (იოსი-17, ს. ჯონსი-16), 3:2 შ. უებერი-15 (კ. უილსონი-17).

**ვინიპეგი-ვანკუვერი 4:3**

2:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ბოგოსიანი-3 (ენსტრიომი-13, ლედი-25), 2:0 სეტოგუჩი-9 (ბაფლინი-29, შაიფელი-21), 2:1 ედლერი-4 (ბაროუზი-4, კესლერი-17), 2:2 კესლერი-19, 3:2 მ. ფროლიკი-11 (ლედი-26, ლიტლი-28), 3:3 გარისონი-6 (სტენტონი-13, კესლერი-18), 4:3 სეტოგუჩი-10 (ტროუბა-14).

### 2 თებერვალი

**ბოსტონი-ედმონტონი 4:0**

0:0, 1:0, 3:0

**გოლები:** 1:0 კრეიჩი-12 (იგინლა-22, ლუჩიჩი-22), 2:0 დ. ჰემილტონი-6 (ხარა-11, სოდერბერგი-20), 3:0 სოდერბერგი-8 (კ. კელი-5, ბარტკოვსკი-10), 4:0 კრუგი-12 (ხარა-12, იგინლა-23).

**კოლორადო-ბაფალო 7:1**

3:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ბერი-7 (მაკინონი-19), 2:0 მაკგინი-13 (ე. ჯონსონი-15, რ. ო'რაილი-18), 3:0 ლანდესკოგი-15 (მაკინონი-20, პარენტო-17), 4:0 კლიში-1 (ბორდელო-3, მაკგინი-9), 4:1 დ'აგოსტინი-3 (ენისი-15, ერჰოფი-20), 5:1 მაკინონი-20 (ე. ჯონსონი-16, ვარლამოვი-2), 6:1 ლანდესკოგი-16 (ე. ჯონსონი-17), 7:1 მაკგინი-14 (რ. ო'რაილი-19, დუშენი-30).

**ლოს ანჯელესი-ფილადელფია 0:2**

0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 სიმონდსი-18 (ლეკავალიე-10, ჟირუ-35), 0:2 ჟირუ-17 (ჰარტნელი-20, სიმონდსი-22).

**ტორონტო-ოტავა 6:3**

0:1, 2:1, 4:1

**გოლები:** 0:1 კ. ნილი-7 (კოუენი-8, გრიბა-7), 0:2 გრინინგი-5 (კ. ნილი-2), 1:2 კესელი-28 (ვან რიმსდიკი-22, გუნარსონი-9), 2:2 ლუპული-17 (კადრი-25), 3:2 კესელი-29 (რაილი-16, ფრენსონი-23), 3:3 კ. ნილი-8 (სესი-5, გრინინგი-8), 4:3 კესელი-30 (ბოჟაკი-18), 5:3 ბოჟაკი-11 (კესელი-31, ვან რიმსდიკი-23), 6:3 კადრი-15.

**კოლამბუსი-ფლორიდა 4:1**

2:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯენერი-9 (რ. იოჰანსენი-20, ჰორტონი-4), 2:0 რ. იოჰანსენი-22 (ჯენერი-7, ჰორტონი-5), 2:1 ბ. ბოიესი-15 (ბ. კემპბელი-18, აპშოლი-16), 3:1 ნ. ფოლინო-13 (ნიკიტინი-12), 4:1 ლეტესტუ-8 (ტროპი-8, მაკენზი-7).

**ანაჰაიმი-დალასი 0:2**

0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 დელეი-4 (იკინი-15, პეევერლი-19), 0:2 ჯეიმი ბენი-22 (სეგუინი-30).

**სტ ლუისი-ნეშვილი 4:3 (ბ)**

1:0, 1:1, 1:2, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 შვარცი-17 (კ. სტიუარტი-11, ტარასენკო-15), 2:0 ბეკსი-19 (ბოუმისტერი-27, როი-25), 2:1 გოსტადი-8, 2:2 მ. ფიშერი-15 (ჰორნკვისტი-19, ნისტრიომი-5), 2:3 იოსი-8 (ლეგუანდი-29, კ. სმიტი-18), 3:3 ტარასენკო-18 (პიეტრანჯელო-32, ელიოტი-2),

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სტ. ლუისი), ელისი (ნეშვილი), ტარასენკო (სტ. ლუისი).

**ფინიქსი-პიტსბურგი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რიბეირო-14 (მლემკო-6, ვერმეტი-14), 2:0 ზ. მიხალეკი-1 (ეკმან-ლარსონი-21, რიბეირო-25), 2:1 მალკინი-16 (ჯ. ნილი-24, ი. იოკინენი-24), 3:1 ვრბატა-13 (ჰანზალი-22).

**კალგარი-მინესოტა 4:3 (ო)**

1:0, 1:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 გალიარდი-2 (უესტგარტი-1, კ. ბატლერი-7), 1:1 კუკი-9, 2:1 ვიდემანი-3 (კ. ბატლერი-8, გალიარდი-9), 3:1 ბეკლუნდი-12 (ჯორდანო-18, სტემპნიაკი-15), 3:2 ჰიტლი-10 (გრანლუნდი-23, პარიზე-17), 3:3 ბალარდი-2 (ბროძიაკი-13, ჰიტლი-12), 4:3 ბეკლუნდი-13 (მონეჰანი-8, ჯორდანო-19).

**სან ხოსე-ჩიკაგო 2:1 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 1:0, 3:1

**გოლები:** 1:0 პაველსკი-29 (ჰენანი-6), 1:1 საადი-18 (ვერსტიგი-18, მარიან ჰოსა-24).

**ბულიტები გაიტანეს:** პაველსკი (სან ხოსე), ტეივზი (ჩიკაგო), მარლო (სან ხოსე), ჯ. ტორნტონი (სან ხოსე).

**მონრეალი-ტამპა ბეი 1:2 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ტომპსონი-4 (ჰედმანი-24, ჯ.-ტ. ბრაუნი-8), 1:1 ბრიერი-9 (ბ. ჯონტა-18), 1:2 ტომპსონი-5 (ჰედმანი-25, კილორნი-19).

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**NBA**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ორლანდო | 96:89 |

**ადრიატიკის ლიგა**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-იგოკეა | 62:66 |
| ცრ. ზვეზდა-ბუდუჩნოსტი | 74:64 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ოლდენბურგი | 95:62 |
| ბრემერჰავენი-მიტლდოიჩე | 86:71 |
| ჰაგენი-ტრირი | 73:57 |
| ბონი-ულმი | 90:82 (ო) |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-დრამასი | 77:71 |
| პანათინაიკოსი-ტრიკალასი | 83:63 |
| იკაროსი-ოლიმპიაკოსი | 64:87 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ობრადოირო-კანარიასი | 84:76 |
| სარაგოსა-ბილბაო | 88:72 |
| ხუვენტუდი-მანრესა | 93:72 |
| ესტუდიანტესი-უნიკახა | 84:85 |
| გრან კანარია-კახა ლაბორალი | 84:81 |
| ვალენსია-ბარსელონა | 95:93 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ვენეცია-ვარეზე | 77:93 |
| კრემონა-ბრინდიზი | 53:64 |
| ბოლონია-მონტეპასკი | 57:54 |
| მილანი-კაზერტა | 61:43 |
| პისტოია-სასარი | 81:69 |
| რომა-აველინო | 72:80 |
| სკავოლინი-კანტუ | 82:79 |
| რეჯო ემილია-მონტეგრანარო | 89:80 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ანკარა-უშაქი | 68:74 |
| ალიაგა-სელჩუქი | 82:73 |

### ჰოკეი

**NHL**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-დეტროიტი | 6:5 (ო) |
| მონრეალი-ვინიპეგი | 1:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-დიუსელდორფი | 4:1 |
| მიუნხენი-ინგოლშტადტი | 5:0 |
| შვენინგერი-კიოლნი | 2:1 |
| იზერლონი-ჰამბურგი | 2:1 (ო) |
| აუგსბურგი-მანჰაიმი | 2:5 |
| ვოლფსბურგი-კრეფელდი | 3:2 (ო) |
| შტრაუბინგი-ნიურნბერგი | 3:5 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ოლბორგი | 2:3 (ო) |
| ჰერნინგი-ფრედრიკშავენი | 1:4 |
| სონდერიისკი-ჰერლევი | 6:1 |
| ოდენსე-როდოვრე | 5:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-ლორენსკოგი | 4:5 (ბ) |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 3:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-პიეშტანი | 2:3 |
| კოშიცე-პოპრადი | 4:0 |
| ნიტრა-ზვოლენი | 1:0 |
| მარტინი-სკალიცა | 2:4 |
| ჟილინა-ტრენჩინი | 6:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიტვინოვი-კრალოვე | 3:2 |
| კარლოვი ვარი-პლზენი | 3:5 |
| კლადნო-ლიბერეცი | 2:4 |
| ბრნო-ზლინი | 0:4 |
| ხომუტოვი-სლავია | 3:4 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 4:2 |
| ტრშინეცი-სპარტა | 5:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-სერვეტი | 4:6 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფრიოლუნდა-ვექშიო | 2:1 |

### ჩოგბურთი

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| პავლიუჩენკოვა-ერანი | 3:6, 6:2, 6:3 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| მაკაროვა-კარ. პლიშკოვა | 6:3, 7:6 |

## ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი

**ჩეხეთი-ჰოლანდია 3:2**

0:1 შტეპანეკი-**ჰაასე** 6:3, 4:6, 7:6(4), 2:6, 1:6; 1:1 **ბერდიხი**-სისლინგი 6:3, 6:3, 6:0; 2:1 **ბერდიხი/შტეპანეკი**-ჰაასე/როჟერი 7:5, 1:6, 7:6(2), 7:6(4); 3:1 **ბერდიხი**-დე ბაკერი 6:1, 6:4, 6:3; 3:2 როსოლი-**სისლინგი** 3:6, 3:6.

**იაპონია-კანადა 4:1**

1:0 **ნიშიკორი**-პოლანსკი 6:4, 6:4, 6:4; 1:1 სოედა-**დანჩევიჩი** 4:6, 6:7(2), 1:6; 2:1 **ნიშიკორი/უჩიამა**-დანჩევიჩი/ნესტორი 6:3, 7:6(3), 4:6, 6:4; 3:1 **ნიშიკორი**-დანჩევიჩი 6:2, 1:0 უარი; 4:1 **სოედა**-პოლანსკი 6:1, 6:4.

**გერმანია-ესპანეთი 4:1**

1:0 **კოლშრაიბერი**-ბაუტისტა აგუტი 6:2, 6:4, 6:2; 2:0 **მაიერი**-ლოპესი 7:6(6), 7:6(4), 1:6, 5:7, 6:3; 3:0 **ჰაასი/კოლშრაიბერი**-ვერდასკო/მარერო 7:6(5), 6:7(9), 7:6(7), 6:3; 3:1 კოლშრაიბერი-**ლოპესი** უარი; 4:1 **ბრანდსი**-ბაუტისტა აგუტი 7:6(5), 6:4.

**საფრანგეთი-ავსტრალია 5:0**

1:0 **გასკე**-კირგიოსი 7:6(3), 6:2, 6:2; 2:0 **ცონგა**-ჰიუტი 6:3, 6:2, 7:6(2); 3:0 **გასკე/ცონგა**-გუჩიონე/ჰიუიტი 5:7, 7:6(4), 6:2, 7:5; 4:0 **ბენეტო**-კოკინაკისი 6:4, 6:1; 5:0 **მონფილსი**-კირგიოსი 7:6(5), 6:4.

**აშშ-ბრიტანეთი 1:3**

0:1 იანგი-**მარეი** 1:6, 2:6, 3:6; 0:2 კუერი-**უორდი** 6:1, 6:7(3), 6:3, 4:6, 1:6; 1:2 **ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი**-ფლემინგი/ინგლოტი 6:2, 6:3, 3:6, 6:1; 1:3 კუერი-**მარეი** 6:7(5), 7:6(3), 1:6, 3:6; იანგი-უორდი გვიან დასრულდა.

**არგენტინა-იტალია 1:3**

1:0 **ბერლოკი**-სეპი 4:6, 6:0, 6:2, 6:1; 1:1 მონაკო-**ფონინი** 5:7, 2:6, 2:6; 1:2 შვანკი/სებალიოსი-**ბოლელი/ფონინი** 7:6(6), 6:7(8), 6:7(3), 4:6; 1:3 ბერლოკი-**ფონინი** 6:7(5), 6:4, 1:6, 4:6.

**ყაზახეთი-ბელგია 3:2**

1:0 **კუკუშკინი**-ბემელმანსი 6:4, 6:7(3), 6:2, 6:3; 2:0 **გოლუბევი**-გოფენი 7:6(9), 3:6, 4:6, 6:2, 12:10; 1:2 კუკუშკინი/კოროლიოვი-**ბემელმანსი/ო. როხუსი** 2:6, 7:6(4), 3:6, 6:7(4); 2:2 კუკუშკინი-**გოფენი** 6:4, 3:6, 6:3, 4:6, 0:6; 3:2 **გოლუბევი**-ბემელმანსი 6:2, 6:3, 6:1.

**სერბეთი-შვეიცარია 2:3**

0:1 ბოჟოლიაკი-**ფედერერი** 4:6, 5:7, 2:6; 0:2 ლაიოვიჩი-**ვავრინკა** 4:6, 6:4, 1:6, 6:7(7); 0:3 კრაინოვიჩი/ჟიმონჟიჩი-**ჩიუდინელი/ლამერი** 6:7(3), 6:3, 6:7(2), 2:6; 1:3 **ლაიოვიჩი**-ლამერი 6:3, 3:6, 6:4; 2:3 **კრაინოვიჩი**-ჩიუდინელი 6:4, 6:4.

**1/4 ფინალი**

**ჩეხეთი-იაპონია, საფრანგეთი-გერმანია, ბრიტანეთი-იტალია, ყაზახეთი-შვეიცარია.**

*მატჩები 4-6 აპრილს გაიმართება.*

## რაგბი. ექვსი ერი. I ტური

**უელსი-იტალია 23:15 (17:3)**

**უელსი:** 2 ლელო: კატბერტი (4), უილიამსი (38); 2 რეალიზაცია: ჰალფპენი (4, 38); 3 ჯარიმა: ჰალფპენი (29, 67, 74);

**იტალია:** 2 ლელო: კამპანარო (43, 69); 1 რეალიზაცია: ალანი (69); 1 ჯარიმა: ალანი (14).

**საფრანგეთი-ინგლისი 26:24 (16:8)**

**საფრანგეთი:** 3 ლელო: უგე (1, 17), ფრიკუ (77); 1 რეალიზაცია: მაშენო (77); 3 ჯარიმა: დუსენი (11, 23), მაშენო (70).

**ინგლისი:** 2 ლელო: ბრაუნი (36), ბარელი (48); 1 რეალიზაცია: ფარელი (48); 3 ჯარიმა: ფარელი (6, 44), გუდი (73); 1 არეკნი: კეირი (57).

**ირლანდია-შოტლანდია 28:6 (11:3)**

**ირლანდია:** 3 ლელო: ტრიმბლი (40), ჰისლიპი (46), კირნი (70); 2 გარდასახვა: სექსტონი (47, 67); 3 ჯარიმა: სექსტონი (13, 22, 56).

**შოტლანდია:** 2 ჯარიმა: ლეიდლოუ (18, 42).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1. ზამთრის ტესტები. II დღე

# ხერესის ციფრები და ფაქტები



ფეტელი და რედ ბული ფავორიტები აღარ არიან?

ფორმულა 1-ში პირველი სატესტო სერია ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ხერესის ტრასაზე ცხრა გუნდი და 22 პილოტი გავიდა. მათ ჯამში 1461 წრე ანუ 6462 კილომეტრი დაფარეს.

ესპანეთში ვნახეთ ყველა გუნდი „ლოტუსის" გარდა. „მარუსია" მანქანის გაუმართაობის გამო საკუთარ ბაზაზე შეყოვნდა და სხვა საჯინიბოებს ტესტების ბოლო ორ დღეს შეუერთდა.

ტრასაზე ვიხილეთ ყველა ძირითადი პილოტი და ორი „რეზერვისტი" - **რობინ ფრეინსი** („კატერჰემი") და **დანიელ ჰუნკადელია** („ფორს ინდია").

სიჩქარე ყოველდღე იზრდებოდა, მაგრამ ბოლო დღეს წვიმა წამოვიდა. აბსოლუტურად საუკეთესო დრო „მაკლარენის" წარმომადგენელმა **კევინ მაგნუსენმა** აჩვენა - 1.23,276. ეს დრო ხუთი წამით უარესია შარშან, ანალოგიური სერიისას ნაჩვენებ შედეგზე.

შეჯამებული ცხრილის პირველი ოთხი ადგილი ერგოთ იმ გუნდებს, რომლებიც „მერსედესის" ძრავებს გამოიყენებდნენ. საუკეთესო რვა პილოტს შორის მხოლოდ „მაკლარენის", „უილიამსის", „მერსედესისა" და „ფერარის" წარმომადგენლები მოხვდნენ, შემდეგ მოდის „ფორს ინდიას" სამი პილოტი.

„რენოს" ძრავით აღჭურვილი მანქანებიდან, მოულოდნელად, საუკეთესო გახდა **მარკუს ერიქსონი** („კატერჰემი"), ხოლო ფრანგული V6-ით ყველაზე მეტი წრე „კატერჰემის" პილოტმა **კამუი კობაიაშიმ** გაიარა.

ოთხი დღის განმავლობაში ყველაზე გრძელი დისტანცია **ნიკო როსბერგმა** გაიარა (187 წრე), რომელთანაც სულ ცოტა წააგეს **ფერნანდო ალონსომ** (172) და კევინ მაგნუსენმა (160). გუნდებს შორის „მერსედესმა" (308) აჯობა „ფერარის" (248) და „მაკლარენს" (243).

განსაკუთრებით მკაფიოა განსხვავებები ძრავების სტატისტიკაში. „მერსედესის" თითოეულმა პილოტმა, საშუალოდ, 60 წრე გაიარა, „ფერარი" - 44.1, „რენო" - მხოლოდ 8.7.

ერთი დღის განმავლობაში გავლილი წრეების მიხედვით რეკორდსმენები გახდნენ - „მერსედესი" და ფერნანდო ალონსო - მათ, შესაბამისად, 132 და 115 წრე დაფარეს.

წინასასეზონო ტესტების მეორე სერია 19-22 თებერვალს, ბაჰრეინში გაიმართება.

| ხერესის ტესტების შემაჯამებელი ცხრილი | |
|---|---|
| 1. მაგნუსენი (McLaren) | 1.23,276 (160 წრე) |
| 2. მასა (Williams) | +0,424 (133) |
| 3. ჰემილტონი (Mercedes) | +0,676 (121) |
| 4. ბატონი (McLaren) | +0,889 (83) |
| 5. რაიკონენი (Ferrari) | +1,536 (76) |
| 6. ბოტასი (Williams) | +2,068 (42) |
| 7. ალონსო (Ferrari) | +2,219 (172) |
| 8. როსბერგი (Mercedes) | +2,312 (187) |
| 9. ჰიულკენბერგი (Force India) | +2,820 (17) |
| 10. პერესი (Force India) | +5,100 (37) |
| 11. ჰუნკადელია (Force India) | +6,181 (81) |
| 12. ვერნი (Toro Rosso) | +6,639 (28) |
| 13. სუტილი (Sauber) | +6,885 (102) |
| 14. ბიანკი (Marussia) | +8,946 (25) |
| 15. გუტიერესი (Sauber) | +9,994 (61) |
| 16. ერიქსონი (Caterham) | +14,699 (12) |
| 17. ფეტელი (Red Bull) | +15,044 (10) |
| 18. კობაიაში (Caterham) | +19,917 (54) |
| 19. კვიატი (Toro Rosso) | +20,740 (9) |
| 20. რიკარდო (Red Bull) | +22,098 (10) |
| 21. ფრეინსი (Caterham) | - (10) |
| 22. ჩილტონი (Marussia) | - (5) |

■ ■ ■

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, „რედ ბულის" პილოტებმა ჩააგდეს ხერესის ტესტები - მათ ჯამში მხოლოდ 20 წრე გაიარეს. ამას მაშინვე გამოეხმაურნენ ცნობილი William Hill-ის ბუკმეიკერები. თუ ტესტებამდე „რედ ბული" ლიდერობდა კონსტრუქტორთა თასზე კოეფიციენტების რეიტინგში, ახლა პირველ ადგილზე „მერსედესმა" გადაინაცვლა. პირად ჩათვლაში ისევ **სებასტიან ფეტელია** პირველი, მაგრამ მისმა კოეფიციენტმა მოიმატა.

| პილოტები | |
|---|---|
| სებასტიან ფეტელი | 2.62 |
| ლუის ჰემილტონი | 4.50 |
| ფერნანდო ალონსო | 6.50 |
| ჯენსონ ბატონი | 11.00 |
| ნიკო როსბერგი | 11.00 |
| კიმი რაიკონენი | 13.00 |
| კევინ მაგნუსენი | 17.00 |
| დანიელ რიკარდო | 34.00 |
| რომენ გროსჟანი | 67.00 |

| გუნდები | |
|---|---|
| Mercedes | 2.50 |
| Red Bull | 2.75 |
| Ferrari | 5.00 |
| McLaren | 9.00 |
| Lotus | 34.00 |
| Williams | 41.00 |



# უიმედო სულაც არ არის

მიხაელ შუმახერი

კემბრიჯის უნივერსიტეტის წამყვან ნეიროქირურგს, პროფესორ **პიტერ ჰათჩინსონს** მიაჩნია, რომ **მიხაელ შუმახერის** გამოჯანმრთელების პროცესი წარმატებით განვითარდება. სპეციალისტის სიტყვებით, ჯერჯერობით რთულია ზუსტი პროგნოზის გაკეთება მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით: პირველ რიგში, მისი ორგანიზმი უნდა გაიწმინდოს პრეპარატებისგან. გარდა ამისა, დაახლოებით ერთი კვირა იქნება საჭირო იმის გასარკვევად, გამოვიდა თუ არა შუმახერი ხელოვნური კომიდან.

*„ის ფიზიკურად ძლიერია, - ამბობს ჰათჩინსონი. - ამასთან, ის წაქცევის შემდეგ გონებაზე იყო, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ტვინის ტრავმა ფატალური არ ყოფილა. ასე რომ, არსებობს ბედნიერი დასასრულის შესაძლებლობა".*

ექიმმა აღნიშნა, რომ შუმახერი თვეზე მეტია ხელოვნურ კომაში იმყოფება, რაც უჩვეულოა, რადგან პაციენტებს ასეთ მდგომარეობაში, ჩვეულებრივ, 7-10 დღეს აჩერებენ. თუმცა ფრანგ ექიმებს შეუძლიათ გაზარდონ ხელოვნური კომის ხანგრძლივობა.

არ გამოგრჩეთ თებერვლის ნომერი!




# ბრაუნმა ცირკი დატოვა

როგორც ჩანს, ცნობილი სარბოლო ინჟინერი **როს ბრაუნი** საბოლოოდ წავიდა ფორმულა 1-დან. მას შემდეგ, რაც გასული სეზონის დასრულებისთანავე მან „მერსედესი" მიატოვა, ყველას ეგონა, რომ ბრაუნი „მაკლარენში" **მარტინ უიტმარშის** მემკვიდრე გახდებოდა.

მაგრამ, ორი დღის წინ, ბრიტანელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი კარიერა ფორმულა 1-ში დასრულდა და დროს სხვა საქმიანობას დაუთმობს, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს „დიდი ცირკის" რბოლებთან.

სხვათა შორის, როს ბრაუნს ერთხელ უკვე ჰქონდა პაუზა ფორმულა 1-ის კარიერაში, როცა მან „ფერარი" დატოვა. მანამდე ის 2000-იან წლებში „სკუდერიაში" **მიხაელ შუმახერის** ტრიუმფის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო.

მაგრამ, ფორმულა 1-ის გარეშე ბრაუნის ცხოვრება დიდი ხანი არ გაგრძელებულა და 2008 წელს ის „ჰონდას" ხელმძღვანელის რანგში დაბრუნდა „დიდ ცირკში". უკვე მომდევნო სეზონში, ბრაუნმა კონსტრუქტორთა თასი მოაპოვებინა „ბრაუნ გრანპრის", ხოლო პირად ჩათვლაში ამ გუნდის ბოლიდით **ჯენსონ ბატონმა** გაიმარჯვა.



როს ბრაუნი

2010 წელს, „ბრაუნ გრანპრი" გერმანულმა ავტოგიგანტმა „მერსედესმა" შეიძინა და ბრაუნმა საქარხნო გუნდში გააგრძელა მუშაობა ხელმძღვანელის პოსტზე, თუმცა შარშან დატოვა „მერსედესი", მისი ფუნქციები კი **ტოტო ვოლფმა** და **პედი ლოუმ** გადაინაწილეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608